ლიბერალი
№ 66 / 6-13 მარტი / 2011

უნდა მივიყვანოთ თუ არა 5 წლის ბავშვი სკოლაში? გვ. 06
ლიბია: დღეგრძელი დიქტატორი გვ. 08
ინტერვიუ: უსაფრთხოების განახლებული კონცეფცია გვ. 15
საბანკო კრედიტები გვ. 24
რა კავშირია დიპლომსა და დასაქმებას შორის? გვ. 34
სკოლა, საზოგადოება და სახელმწიფო რეზიკოს წინაალმდეგ გვ. 37
როგორ მოვიპაროთ მილა იოვოვიჩი სამ მილიონად? გვ. 44
ჯონ გალიანოს „თვითმკვლელობა“ გვ. 26
„ოსკარი“ ყველაზე მოსაწყენი შოუსთვის გადაეცემა... გვ. 48

ფასი 2 ლარი
ISSN 1987-7528
9 771987 752008

ბედნიერების ძიებაში

გვ. 29

მთავარი თემა:
სამართლიანი კორუფცია
გვ. 17-23

UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
UCNOBI FM 98.0
PRAHA
MASKVA
LENINGRADAS
VARŠUVA
KIJEVAS
OSLO
BERLYNAS
ALMA ATA
TAŠKENTAS
MASKVA
LENINGRADAS
BELGRADAS
BRIUSELIS
JEREVANAS
KIJEVAS
ROSTOVAS
FRUNZE
TBILISI
BRNO
BUKAREŠTAS
STOKHOLMAS
VILNIUS
VIENA
LVOVAS
ROMA
HILVERSUMAS
MURMANSKAS
RYGA
BRIUSELIS
SOFIJA
ČELIABINSKAS
SIMFEROPOLIS
HELSINKIS
LONDONAS
VARŠUVA
ATĖNAI
PRAHA
MASKVA
TEHERANAS
MASKVA II
STALINO
VIGRA
BUDAPEŠTAS
IB
VB
TBII
TBI
UTB

ლიბერალი

№ 66 / 6-13 მარტი / 2011

სამარშრუტო ტაქსების ერთ-ერთი გაჩერება, თბილისი 2011

ფოტო: გაბრიელ ქურციკიძე

ნომერში:

02 ლიბერალის ვებგვერდიდან
04 მოკლედ
06 **ორი აზრი**
უნდა მივიყვანოთ თუ არა 5 წლის ბავშვი სკოლაში?
ბეთ სმითი VS თინათინ ქავთარაძე
მსოფლიო
08 დღეგრძელი დიქტატორი
კონფლიქტები
13 რას საქმიანობს თურქეთი აფხაზეთში?
ინტერვიუ
15 უსაფრთხოების განახლებული კონცეფცია
ლაშა დარსალია
მთავარი თემა
17 სამარშრუტო კორუფცია
22 **სამარშრუტო ტაქსები**
შეწყვეტილი გაფიცვა
ბანკები
24 საბანკო კრედიტი
მოდა
26 ჯონ გალიანოს „თვითმკვლელობა“
საზოგადოება
29 ბედნიერების ძიებაში
განათლება
34 რა კავშირია დიპლომსა და დასაქმებას შორის?
თვალსაზრისი
37 სკოლა, საზოგადოება და სახელმწიფო რეზიკოს წინააღმდეგ
სიმონ ჯანაშია
40 დედა ენა
ნანა გამყრელიძე
42 კრიტიკული ანალიზი და პატრიოტიზმი
მარკ მალენი
კულტურა
44 იღბლიანი ხრიკი, ანუ როგორ მოვიპაროთ მილა იოვოვიჩი სამ მილიონად
ოსკარი
46 წითელი ხალიჩის ღამე
თვალსაზრისი
48 „ოსკარი“ ყველაზე მოსაწყენი შოუსთვის გადაეცემა...
ნიკო ნერგაძე
ფეხბურთი
49 კიდევ ერთი ოულდ ფირმი
50 **ტექნოლოგიები**
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
52 ბოლო ვინაა?

გარეკანზე:
ბედნიერების ძიებაში

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად,, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

არაბულ სამყაროში დომინოს პრინციპი ამოქმედდა

ეს რევოლუცია მოახდინეს მოქალაქეებმა, ეს არის ის შემთხვევა, როცა იდეის/იდეალის გარშემო შეიკრიბნენ ადამიანები.

სტუმარი

ცოტა უცნაურად ისმის, როცა ისლამის დემოკრატიისკენ სწრაფვაზე საუბრობენ, როცა ისტორიიდან მათი ყოველი გადატრიალება ზუსტად რომ დასავლური ღირებულებებისადმი ალერგიით იყო გამოწვეული.

სტუმარი

ერთ-ერთი ეგვიპტელის პოსტს მოვიყვან, რომელიც მან Twitter-ზე დაპოსტა, წყარო The Independent-ია: „ჩვენ ვაღმერთებდით ამერიკულ ოცნებას, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიისკენ მოგვიწოდებს“. მემგონი, ისტორიის მიუხედავად, ყველა ერს აქვს დემოკრატიისკენ სწრაფვის უფლება.

ნინო ნატროშვილი

„რჩეული“ პირამიდა

ღმერთო ჩემო, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ. ნუთუ მომკითხავი არავინ იქნება?! ამ ხალხმა რა დააშავა...

სტუმარი

რუსუდან კერვალიშვილს შეუძლია მოიშიშვლოს კისერი და მარგალიტების გაყიდვიდან შემოსული თანხა გადასცეს დაზარალებულებს. ასევე არმაზში არსებული რეზიდენცია და მასში არსებული ქონება! („ჩვენ არაფერი არ გვაქვს!“) ვის ატყუებენ?! მაგარი ქვეყნაა რა! ხალხი გაძარცვეს და პარლამენტის ტრიბუნიდან მართლმადიდებლობის პრინციპებზე მელაპარაკება!

სტუმარი

სამწუხაროდ, ამ ხალხს არჩევა ცუდს და უარესს შორის უწევს, ბუნებრივია, მტკივნეულია მომხმარებლისთვის დამატებითი თანხის გადახდა, თუმცა წინამორბედმა მენეჯმენტმა ისინი საერთოდ უპასუხოდ დატოვა.

სტუმარი

პრივატიზაცია, პრაქტიკულობა, იდეოლოგია და პატივისცემა

კომუნიზმის ჩავარდნაზე ლაპარაკი დღეს სასაცილოა! ბატონო მალენ, ნუთუ ფიქრობთ, რომ უწიგნურ აუდიტორიას მიმართავთ? თანაც თავისუფალი ბაზრის ზღაპრებს უყვებით, რომელმაც კრიზისი თურმე ახლახან „გამოიარა“.

ქუდო

მიმართავთ? „აბა, სხვა რა უნდა იფიქროს ამ კომენტარების წამკითხველმა?

სტუმარი

ყველა შემთხვევაში პრივატიზაცია დადებითი მოვლენა იყო საქართველოში, თუნდაც იმ დარღვევებით და გართულებებით როგორც ჩატარდა.

deme

სტუმარო, არ დაუჯერო, გატყუებენ იდეოლოგიის უსარგებლობის შესახებ, ეს მხოლოდ აშშ-ის იდეოლოგიაა სასარგებლო, სხვა დანარჩენი – სანაგვეზე მოსასროლი. მარქსი მართალი იყო, ესენი თავისით ამ პრივილეგიებს არ დათმობენ. ნახე, რა ხდება ვისკონსინში. წინ მარქსიზმისაკენ, ძირს სიხარბე და მომხვეჭელობა!“

ქუდო

ქართული კომპიუტერული თამაში „პოლიცია“ – შთაბეჭდილებები

ვნახე და ვითამაშე კიდეც... არა მგონია დასრულებული ვერსია განსხვავებული და, მით უმეტეს, უკეთესი გამოვიდეს... ღირდა ამდენი ფულის ხარჯვა?

სტუმარი

თუ არ დავიწყეთ ოდესმე, ვერც ვერასოდეს შევქმნით რაიმე ღირებულს...

სტუმარი

უმუშევრობით გადაღლილნი

17 %-იო? რატომღაც მგონია, რომ ბევრად მეტი იქნება უმუშევარი.

ეს ლიბერალური ეკონომიკაა?

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, წარმოებებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების დახურვამ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მცდელობამ, სამუშაო ძალის არაკვალიფიცირობამ, ახალი ტექნოლოგიების არარსებობამ და ომებმა უმუშევრების დიდი მასა წარმოშვა.

DreaMar

თბილისში „მარშუტკები“ ისევ დადიან

სტატია ნამდვილად არ წამიკითხავს, სათაურს მინდა გავუკეთო კომენტარი, რომლიდანაც ჩანს, რომ ტენდერი უნდა გაუქმდეს და რატომ? თუ შეიძლება, მიპასუხეთ.

toto

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნანა საჯაია** / ვებგვერდის რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**
ჟურნალისტები: მაია წიკლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონტრიბუცია: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარეული, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექიშვილი, დანიელ ნიჩი, ნიკო ნერგაძე
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ღონღაძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

დევნილი, ვეტერანი, მაღაროელი და მძღოლი, ანუ სუბალტერნული სოლიდარობა

ანა დოლიძის ბლოგი

საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გაფიცვის ათი ლიდერი დაიჭირეს და ქართული საჯარო სფერო დუმს ამაზე. ინტერნეტში გამოჩენილი რამდენიმე სიუჟეტის და ადამიანის უფლებათა ცენტრის გარდა, არც არავის დაუწერია რამე და არც განცხადება გაუკეთებია.

რითი აიხსნება ეს დუმილი საქართველოში?

ბევრი, ვისაც ხელი მიუწვდება მედიაზე, საჯარო დისკუსიის წამოწყების გზით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე (მათ შორის, პრივილეგირებული ტელევიზიების, რადიოს მესვეურები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები თუ რეალობასთან მშვენივრად მორგებული სამოქალაქო ორგანიზაციები) არ მიეკუთვნება იმ წრეს, რომელსაც ადარდებს ან პირდაპირ ეხება „მარშუტკით“ მგზავრობის მოსალოდნელი გაძვირება ან კიდევ ამის საწინააღმდეგოდ გამოსულთა ბედი. ისინი საჯარო ტრანსპორტით არ სარგებლობენ და უარეს შემთხვევაში, ამრეზითაც უყურებენ მათ, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობს. „მარშრუტკაში“ ჩართულ „არ დაიდარდოს“ დასცინიან და მძღოლების საყვარელ მომღერლებზე წარბებს ამრეზით წევენ.

დათბილული მანქანის გარეთ მომხდარ მოვლენებზე, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარი მძღოლის ან ტაქსისტისგან თუ გაიგებენ. ხოლო მათთვის, ვინც ახლოს არის დაკავშირებული ხელისუფლებასთან და მისგან პირდაპირ თუ არაპირდაპირ იღებს პრივილეგიებს, ამ თემების გაშუქება და გავრცობა პირადი ინტერესების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს.

ამ ფენას, რომელიც სულ რამდენიმე ასეული ადამიანისაგან შედგება, ზურგს უმაგრებს საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნებით დაინტერესებული ხელისუფლება, რომელიც მოქრთამვით, დაშინებით, პრივილეგიების დარიგებით ცდილობს ჩაახშოს უგუნური ეკონომიკური პოლიტიკით და კორუფციით გამოწვეული საჯარო უკმაყოფილება.

ამ ფენისთვის საოცრად უსიამოვნოა არა მარტო „მარშუტკების“ პროტესტი, არამედ მათი არსებობაც კი. მათთვის სულერთია და არც იციან, რა ელირება საჯარო ტრანსპორტით მგზავრობა, მაგრამ აი, პროტესტებით გამოწვეული საცობები კი მათ ძვირფას მანქანაში გადაადგილებას ხელს უშლის. ბევრისათვის ეს პროტესტი საშიშიც არის.

მძღოლების პროტესტამდე იყვნენ უკმაყოფილო დევნილები, შემდეგ ვეტერანები, შემდეგ ტყიბულელი მაღაროელები. ხელისუფლებას არ გააჩნია არც უნარი და არც სურვილი მოსახლეობის უმრავლესობის ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილების. ის ხან ვაუჩერების დარიგებით ცდილობს ხანძრის ჩაქრობას და ხანაც პროტესტის ორგანიზატორების დაჭერით.

ფოტო: ბარბარა ამრიკანეფლი

ამ ჯგუფებისაგან „მარშუტკების“ მგზავრების და მძღოლების მიმართ სოლიდარობას არ უნდა მოველოდეთ. სოლიდარობა, ადამიანებს შორის ბედის დაკავშირებულობით, ერთნაირ პირობებში და მსგავსი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლით გაღვივებული ერთიანობის გრძნობაა, რომელიც უკანასკნელი მოდელის ჯიპში გამოჭიმულ ჩინოვნიკს და მის ქურქიან საყვარელს „მარშუტკის“ მძღოლის და მგზავრის მიმართ ვერ და არ ექნება.

მათ ამპარტავნობასა და უაზრო თავდაჯერებულობას დაუპირისპირდება მხოლოდ სუბალტერნული სოლიდარობა – ერთიანობა და თანადგომა იმ ხალხისა, ვისთვისაც ახლოა დღე-ღამეში 10 ლარად ჯიხურში მდგომი ქალის ანდა უფულობის გამო სკოლის გარეშე დარჩენილი ბავშვის ბედი.

სუბალტერნული სოლიდარობა ტრიალებს მარტინ ნიემიოლერის ლექსის გარშემო, იმის გაცნობიერებით, რომ სადაც დევნილს გააგდებენ სახლიდან, ომის ვეტერანს გადათელავენ და მძღოლებს დაიჭერენ, იქ არც ექიმი, მასწავლებელი და ჟურნალისტი იქნება დაცული. სუბალტერნული სოლიდარობა შეიძლება გამოიხატოს ყველგან – გაფიცვაზე დგომით, საკუთარი ნაწერით ძალაუფლების გამოაშკარავებით, დაკავებული მძღოლების სასამართლოში დაცვით, მათ შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებით ან თუნდაც პირნიგნაკზე „ლაიქის“ მინიშნებით.

სუბალტერნულ სოლიდარობას შეუძლია, უყურადღოს გადაცემას და გამოპრანჭული, ჭორიკანა ქალების მიერ გადაფარული აფეთქებული ტყიბულელი მაღაროელის და გარდაცვლილი ჯარისკაცის მშიერი შვილები დაინახოს. სუბალტერნული სოლიდარობით გამოხატულ მხარდაჭერას შეუძლია ღირსების გრძნობა დაუბრუნოს ყველას, ვისაც ძალადობამ და სიღარიბემ ის თითქოსდა დიდი ხანია დააკარგვინა.

სოციოლოგ პიერ ბურდიეს კარგად აქვს დასაბუთებული ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის მოძრაობის ამოსავალი წერტილი – იერარქიის შენარჩუნება არა მხოლოდ იერარქიის სათავეში მყოფი პირების პირდაპირი ძალადობით, არამედ ჩაგრულთა აქტიური, ხშირად გაუცნობიერებელი თანამონაწილეობით ხდება. სუბალტერნულ სოლიდარობას შეუძლია ასეთი თანამონაწილეობის შემთხვევები გამოავლინოს და მათზე მითითებით იერარქიასა და სიმბოლურ ძალადობას საფუძველი გამოაცალოს.

ამრიგად, რეჟიმის პირდაპირ თუ არაპირდაპირ დამცველთათვის, სუბალტერნული სოლიდარობა საფრთხის მომცველია. ჩვენთვის კი ის ერთადერთი გამოსავალია.

მისტრალის გაუჩინარებული მომავალი

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმირ პუტინმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთ-საფრანგეთს შორის სამხედრო ხომალდ „მისტრალზე“ მიმდინარე მოლაპარაკებები ჩიხშია შესული.

პრემიერ-მინისტრის განცხადებას წინ უძღოდა რუსული გამოცემის, „კომერსანტის“ მიერ გამოქვეყნებული მასალა, რომელიც იუწყებოდა, რომ რუსეთის იარაღის ექსპორტიორ კომპანია „როსობორონექსპორტსა“ და ფრანგულ კომპანია DCSN -ს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები, რომელსაც ორივე ქვეყნის მთავრობების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, შეფერხდა:

„ორი მხარე ერთმანეთს ეწინააღმდეგება რამდენიმე პრინციპულ საკითხზე, პირველ რიგში კი, ისინი ხომალდების ფასზე ვერ თანხმდებიან“, – იუწყება „კომერსანტი“.

გაზეთის ინფორმაციით, რუსეთი მზადაა სამხედრო ხომალდში 980 მილიონი გადაიხადოს, საფრანგეთი კი ხომალდში სულ მცირე 1,15 მილიარდ ამერიკულ დოლარს ითხოვს.

რუსეთმა და საფრანგეთმა იანვარში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, რუსულ საზღვაო არმიას ოთხი გადამზიდავი ვერტმფრენი შეემატება, აქედან ორი საფრანგეთში – სან ნაზარში, ორი კი რუსეთში – სანკტპეტერბურგში, უნდა დამზადდეს.

რუსეთის უმაღლესი გენერალის განცხადებით, მსგავსი ტექნიკის გამოყენება რუსეთს იაპონიასთან სადავო – კურილიის – კუნძულებზე შეუძლია.

მისტრალის გარიგებამ შეშფოთება გამოიწვია „ნატოს“ წევრ რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, ლატვიასა და ლიტვაში, რომლებიც რუსეთისთვის ფრანგული „მისტრალის“ მიყიდვას აპროტესტებენ. ისინი ამ გადაწყვეტილებას საქართველოსთვის სახიფათოდ მიიჩნევენ, რის საფუძველსაც რამდენიმე თვის წინ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის, ადმირალ ვლადიმირ ვისოცკის განცხადება აძლევთ. ვისოცკის განცხადებით, საქართველოსთან კონფლიქტის დროს, რუსეთს „მისტრალის“ ტიპის ხომალდი რომ ჰყოლოდა, შავი ზღვის ფლოტი თავის ამოცანას 40 წუთში შეასრულებდა და 26 საათი არ დასჭირდებოდა.

საფრანგეთი საბოლოო კომერციულ შეთავაზებას, 15 მარტს წარმოადგენს.

"ბუბრბეიბი" გადადგა

გერმანიის თავდაცვის მინისტრი, კარლ-თეოდორ ზუ გუტენბერგი, თანამდებობიდან გადადგა.

39 წლის, ყველაზე პოპულარულ გერმანელ მინისტრს სადოქტორო ნაშრომის პლაგიატი ბრალდება. ამის გამო მას გერმანულმა მედიამ „ზუ გუგლბერგიც“ კი უწოდა.

გუტენბერგი ასევე გადადგა პარლამენტის წევრობიდან და მოეხსნა დეპუტატის იმუნიტეტი, რომელიც მას გამოძიებისგან იცავდა, ბავარიის ოლქის პროკურორის თქმით, გუტენბერგის წინააღმდეგ 80-მდე საჩივარი არსებობს, რაც საქმის აღსაძვრელად საკმარისი საფუძველია.

გუტენბერგს დოქტორის სტატუსი მისმა ალმა-მატერმა, ბეირუთის უნივერსიტეტმაც ჩამოართვა.

თავდასხმა ფრანკფურტის აეროპორტში

ფრანკფურტის აეროპორტის წინ ამერიკელი სამხედროების ავტობუსს ცეცხლი გაუხსნეს, შედეგად ორი სამხედრო დაიღუპა, რამდენიმე კი დაშავდა.

ჯერჯერობით გერმანელი სამართალდამცავები, ამერიკელი კოლეგებისგან განსხვავებით, ფრანკფურტის აეროპორტში მომხდარ თავდასხმას ტერორისტულ აქტად არ აფასებენ.

პოლიციის განცხადებით, ეჭვმიტანილი, 21 წლის კოსოვოელი არიდ უკაა, რომელიც რადიკალი ისლამისტია, თუმცა ის არც ერთი ტერორისტული ქსელის წევრი არ არის.

პირველ კლასში მიღების წესები იცვლება

ფოტო: ეთერ ბარიბაშვილი

2011 წლის სექტემბრისთვის პირველკლასელების რეგისტრაცია უკვე დაიწყო. თუმცა, სკოლაში მიღების წესები შეიცვალა: თუ შვილის იმ სკოლაში მიყვანა გსურთ, სადაც თქვენ ასწავლით, ან თქვენი სხვა შვილები უკვე სწავლობენ, მაშინ იქ ბავშვის დარეგისტრირება აუცილებლად 15 მარტამდე უნდა მოასწროთ. დანარჩენ შემთხვევებში პირველკლასელებს რეგისტრაციისთვის დრო ორი თვე – 15 მარტიდან 15 მაისამდე აქვთ.

წელს პირველად, პირველ კლასში 5 წლის ბავშვების მიყვანაც გახდა შესაძლებელი. განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს წესი სავალდებულო არ არის და ერთსა და იმავე კლასში სხვადასხვა ასაკის პირველკლასელების მიღება შესაძლებელია. ყველა საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წელი 15 სექტემბერს დაიწყება.

თბილისის საკრებულოს წევრების პრემიები

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" 2010 წელს თბილისის საკრებულოს წევრებზე გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნა, რომლის მიხედვითაც საკრებულოს თავმჯდომარემ, ზაალ სამადაშვილმა გასული წლის განმავლობაში პრემიის სახით 24 760 ლარი მიიღო, ხელფასის სახით კი – 42 480 ლარი. მამუკა ახვლედიანის პრემიის ჯამური ოდენობა 2010 წელს 12 390 ლარია, კოკი იონათამიშვილის – 9 870 ლარი, ვახტანგ ნაცვლიშვილის – 9 870 ლარი. გასულ წელს პრემიები აიღეს საკრებულოს ოპოზიციონერმა წევრებმაც, მაგალითად, ვიქტორ დოლიძის პრემიის ოდენობა 9 870 ლარით განისაზღვრა, ზურაბ აბაშიძისა და ჯაბა სამუშიას პრემიები – 11 970-11 970 ლარით, 9 870 ლარიანი პრემია კი გასულ წელს, ინგა გრიგოლიამ და დავით საგანელიძემ აიღეს.

პატრიარქი ჩესეთს და საქართველოს დიალოგისკენ მოუწოდებს

საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ საქართველოს და რუსეთის ლიდერებს დიალოგის დაწყებისკენ მოუწოდა. „მივმართავ ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, მოვუწოდებ მათ, გამოიჩინონ სიბრძნე, სიმამაცე და დაიწყონ დიალოგი სხვადასხვა დონეზე, რათა განიხილონ და მოაგვარონ დაგროვებული რთული საკითხები," – ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში. განცხადება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის მოსკოვში დაგეგმილ ვიზიტამდე გამოქვეყნდა. პატრიარქის განცხადებას, პრეზიდენტის ადმინისტრაციაც გამოეხმაურა, პრეზიდენტის პრეს-სპიკერის, მანანა მანჯგალაძის თქმით, განცხადება „სრულიად ეხმაურება იმ სულისკვეთებას, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია".

ციტატები

„საქართველოში აუცილებლად განვითარდება მოვლენები, სამწუხაროდ, რევოლუციური სცენარით".
„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" ლიდერი, ნინო ბურჯანაძე მოსალოდნელ რევოლუციაზე

„ჩვენ გვრჩება ერთი მექანიზმი – პოლიტიკური და სახალხო ზეწოლა ამ რეჟიმზე, რომ რაც შეიძლება სწრაფად წავიდეს".
„ქართული პარტიის" პოლიტიკური მდივანი, ეროსი კიწმარიშვილი

„საარჩევნო სისტემაზე დიალოგი უკვე მოკვდა. შეგიძლიათ, დაახუროთ კუბოს თავსახური".
„თავისუფალი საქართველოს" ლიდერი, კახა კუკავა საარჩევნო სისტემაზე დიალოგის შესახებ

„გვჭირდება ოპოზიცია, რომლის ხელისუფლებაში მოსვლაც ქვეყნისთვის ტრაგიკული კატასტროფა არ იქნება".
მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციურ ძალებზე

ციფრები

2,2%-ით
გაიზარდა სურსათზე ფასების მსოფლიო ინდექსი თებერვალში.

30%-ით
მეტ უცხოურ ინვესტიციას ელოდება საინვესტიციო სააგენტო 2011 წელს.

270
ათასი ლარის პრემია მიიღეს შარშან თბილისის საკრებულოს წევრებმა.

2
ტრილიონ ევროს დახარჯავს ევროკავშირი ინფრასტრუქტურაზე.

მომხრე
ბეთ სმითი
საერთაშორისო სკოლა „ნიუ სქულის“ ინგლისური განყოფილების დირექტორი

ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲧᲕᲐ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕ

5 წლის ბავშვები სკოლაში წასასვლელად მზად არიან. მათი განვითარების დონე ამის საშუალებას იძლევა.

ამ ასაკში მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ, ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები შეისწავლონ, რომლებიც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ. ასეთებია კომუნიკაციის, მოსმენის, მითითებების გათვალისწინების, ინფორმაციის გაცვლის უნარები. 5 წლის ბავშვებს, ასევე უკვე შეუძლიათ ჯგუფში მუშაობა, თვითორგანიზება და მოცემული წესების გათვალისწინება. ამ ასაკის ბავშვებთან უკვე მისაღებია, რომ გარკვეულ დონეზე სწავლება დავიწყოთ. ამ დროს ბავშვებმა უნდა დაიწყონ ურთიერთობების დამყარება, მათი გაღრმავება. სკოლაში სიარული კი მათ ამის საშუალებას აძლევს.

ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებისთვის სპეციალური სასწავლო გეგმა უნდა შეიქმნას. მათი სასწავლო პროგრამა უნდა განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც 6 წლის ბავშვებს ასწავლიან. მათი განვითარების შესაფერისი პროგრამა აუცილებელია, რადგან ბავშვებს მხოლოდ ის უნდა ვასწავლოთ, რაც მათ შესაძლებლობებს ზუსტად ერგება. პროგრამა ისე უნდა იყოს მომზადებული, რომ ბავშვების წინსვლას შეუწყოს ხელი და ისინი სწავლით უფრო მეტად დაინტერესოს.

5 წლის ბავშვებისთვის შექმნილი კურიკულუმი ინტეგრირებული უნდა იყოს; მოსწავლეში უნდა ავითარებდეს ცნობისმოყვარეობას, შემოქმედებითობას და უნდა ასწავლიდეს მაგალითად, საუბრის, აზრების გამოხატვის სათანადო უნარებს. ამ ჯგუფის მოსწავლეების ინსტრუქტორებს სპეციალური გადამზადება სჭირდებათ. ისინი ჯერ 5 წლის ბავშვის ჩამოყალიბების პროცესში ზუსტად უნდა გაერკვნენ. სპეციალური პროგრამა პედაგოგებს უნდა ეხმარებოდეს, რომ მათ მოსწავლეებისგან შინაარსის დაზუთხვა კი არ მოითხოვონ, არამედ ზოგადად, მათ ჩამოყალიბებაზე იზრუნონ და მოსწავლეები განაწყონ, უფრო მეტი ენთუზიაზმით ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

მთავარი სწორედ ეს არის: ამ ასაკის ბავშვებს უნდა ჩამოუყალიბდეთ სწორი სოციალური და ემოციური განწყობა, რომელიც მათ მოამზადებს და უფრო მეტად დაინტერესებს, ჩაერთონ მომავალი ფორმალური სწავლების პროცესში.

5 წლის ბავშვებს შეუძლიათ ჯგუფში მუშაობა, თვითორგანიზება და მოცემული წესების გათვალისწინება. ამ დროს ბავშვებმა უნდა დაიწყონ ურთიერთობების დამყარება, მათი გაღრმავება. სკოლაში სიარული კი მათ ამის საშუალებას აძლევს.

ილუსტრაცია თინათინ ქავთარაძეს / ვიკიპედია

...ნოთ თუ ...ია ...ვი სკოლაში?

5 წლის ბავშვი თამაშით შეიმეცნებს სამყაროს, თამაშით ამყარებს ემოციურ კონტაქტებს ადამიანებთან.

ჩვენი სკოლები ბავშვებს ამ „წამყვანი საქმიანობის“ განხორციელებისათვის საჭირო გარემოს ვერ სთავაზობენ.



მოწინააღმდეგე
თინათინ ქავთარაძე
ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი

თუ გავითვალისწინებთ 5 წლის ბავშვის განვითარების სპეციფიკასა და საქართველოს განათლების სისტემის თავისებურებებს, მიმაჩნია, რომ საქართველოში ამ ასაკის ბავშვი სკოლაში არ უნდა წავიდეს.

ხშირად ამბობენ, რომ 5 წლის ბავშვიც ითვისებს წერა-კითხვას, ითვლის და ა.შ.

მაშ, რატომ არ უნდა ვასწავლოთ მათ სკოლაში? ზოგ ბავშვს ეს უნარები მართლაც აქვს, მაგრამ, საკითხს არა ბავშვების უნარების, არამედ ამ ასაკში წამყვანი „განმავითარებელი საქმიანობის“ კუთხით უნდა შევხედოთ.

ადამიანისთვის ცხოვრების ყველა ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათთვის ღირებულ, წამყვან საქმიანობას. სწორედ ამით ახერხებს ადამიანი გარემოსთან ადაპტაციას. 5 წლის ბავშვისთვის ასეთი წამყვანი საქმიანობა თამაშია. ის თამაშით შეიმეცნებს სამყაროს, თამაშით ამყარებს ემოციურ კონტაქტებს ადამიანებთან.

ჩვენი სკოლები და პედაგოგები ბავშვებს ამ „წამყვანი საქმიანობის“ განხორციელებისათვის საჭირო გარემოს ვერ სთავაზობენ. არ არსებობს ცალკე პირველი კლასი 5 წლის ბავშვებისათვის – ერთ კლასში იჯდება 5, 6 და 7 წლის ბავშვიც კი; ამ ასაკებს შორის კი განვითარების საფეხურები ძალიან განსხვავებულია. 5 წლისები აქტიურად და თამაშით სწავლობენ, 6-7 წლის ასაკში კი ბავშვს მეტი კონცენტრაცია და ნებელობითი სწავლა შეუძლია;

5 წლის ბავშვები სკოლაში დასავლეთის ქვეყნებში კი მიდიან, მაგრამ, იქ ისინი შემზადებულები ხვდებიან შემზადებულ გარემოში; იქ ბავშვი ბაღშივე ეჩვევა ნახევრად სტრუქტურირებულ გარემოს. მას აკვირდებიან მაღალკვალიფიციური აღმზრდელები. ბავშვის ჰიპერაქტიულობის, ყურადღების კონცენტრაციის ან სხვა პრობლემების აღმოჩენისას საქმეში სპეციალისტები ერთვებიან.

ე.წ. შემამზადებელ პირველ კლასში, ასევე თამაშით ავითარებენ სწავლისათვის აუცილებელ უნარებს. იქ ბავშვები 45 წუთი კი არ სხედან მყარ მერხთან, არამედ აქტიური მოძრაობით, სხვადასხვა სენსორული არხის გამოყენებით სწავლობენ;

საქართველოში კი წინა სასკოლო განათლებას ბავშვების 40%-ზე ნაკლები იღებს. საბავშვო ბაღებს ერთიანი სტანდარტი არ გააჩნიათ და ყველა თავისებურად ეწევა ბავშვების აღზრდა-განათლებას. ამ მიზეზების გამო მგონია, რომ საქართველოში გარემო ჯერ მზად არ არის იმისათვის, რომ მოსწავლეები 5 წლის ასაკში მივიდნენ სკოლაში.

ლიბია

დლეგხძელი დიქტატორი

მუამარ კადაფი ქვეყნის სათავეში 27 წლის ასაკში მოვიდა და უკვე 41 წელია მართავს ამ აფრიკულ სახელმწიფოს.

ლექსო ჩქარეული

ფოტო REUTERS

მუამარ კადაფი

ლიბიის ჯამაჰირიის ლიდერი მუამარ კადაფი, თავისი სამტომეულის „მწვანე წიგნის“ შესავალში, საკუთარ ბავშვობას რომ იხსენებს, ნამდვილ პოეტად გვევლინება. ჭეშმარიტ დიქტატორებს ხომ რომანტიზმის შემოტევები ხშირად ახასიათებთ.

„ჩვენ, ბედუინები, ვტკბებოდით თავისუფლებით ბუნების წიაღში. იქ ყველაფერი წმინდა იყო, როგორც პირველქმნილი და ჩვენსა და ზეცას შორის არ არსებობდა არანაირი გამყოფი ზღვარი“. ზეცასთან ამ სიახლოვეს კადაფი დღემდე მძაფრად გრძნობს – პრობლემების დიდი ნაწილიც სწორედ მისი ამ უნიკალობის შეგრძნებიდან მოდის. ხშირად, უწყინარი პოეტური ფრაზები საზოგადოებისთვის საშიში ხდება, თუ მათ ძალაუფლების მქონე დიქტატორები წარმოთქვამენ. ამ პოეტურობას დღეს სრულიად მკაფიოდ შიზოფრენიას უწოდებენ კადაფის ძველი სტრატეგიული პარტნიორები.

თუმცა იყო დრო, როდესაც მუამარ ბენ მუჰამედ აბუ მენიარ აბდელ სელიამ ბენ ჰამიდ ალ-კადაფის გენიალურ მხედართმთავრად მიიჩნევდნენ. ყოველ შემთხვევაში, ასეთად იცნობდნენ მას არაბულ აღმოსავლეთში.

ახალგაზრდა კადაფი მგზნებარედ უჭერდა მხარს 1952 წლის ეგვიპტურ რევოლუციასა და ეგვიპტის პრეზიდენტს – გამალ აბდელ ნასერს. 1961 წელს მან იატაკქვეშა ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, რომლის მთავარი მიზანი, მეზობელი ეგვიპტის მსგავსად, ლიბიაშიც მონარქიის დამხობა იყო.

არაბულმა სამყარომ მუამარ კადაფის სახელი პირველად 1967 წელს გაიგო. მაშინ ჩვეულებრივმა სამხედრო კაპიტანმა ლიბიის მონარქის იდრის პირველის ნებართვის გარეშე თავისი ქვედანაყოფი ისრაელ-ეგვიპტის ექვსდღიან ომში ეგვიპტის პრეზიდენტის გამალ აბედლ ნასერის დასახმარებლად გაიყვანა. ამ ნაბიჯმა კადაფის მონარქის მრისხანება და მთელი არაბული სამყაროს სიყვარული და პატივისცემა მოუტანა.

ლიბიის მონარქი იდრის პირველი, რომელსაც კადაფი დაუპირისპირდა, ქვეყანას მას შემდეგ მართავდა, რაც იტალიის ღარიბმა კოლონიამ – ლიბიამ 1951 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა. ისტორიკოსთა შეფასებით, დამოუკიდებლობა დიდწილად გამჭრიახი პოლიტიკოსის – იდრისის დამსახურება იყო. ეს მოხუცი ბედუინი 40 წელზე მეტ ხანს აწარმოებდა ბრძოლას ევროპული კოლონიალიზმის წინააღმდეგ და, საბოლოოდ, საკუთარი ერი გამარჯვებამდე მიიყვანა.

ეგვიპტური რევოლუციით აღგზნებული მუამარ კადაფი, რომელიც ეგვიპტის საიდუმლო სამსახურების ჩუმი, მაგრამ დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, სათავეში ჩაუდგა სამხედრო გადატრიალებას მეფე იდრისის წინააღმდეგ.

1969 წლის 1 სექტემბერს ლიბიაში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. მონარქიული რეჟიმი დაემხო. ტახტის უშუალო მემკვიდრე და მონარქიის ათასობით მომხრე პუტჩისტებმა იმავე დღეს დააპატიმრეს. თვითონ ლიბიის მეფე იდრისი იმ დროს თურქეთში სამკურნალოდ იმყოფებოდა. იგი იძულებული გახდა მონარქიის დამხობას შეგუებოდა, თურქეთიდან ეგვიპტეში გადავიდა, თავი ლიბიის თავისუფალ მოქალაქედ გამოაცხადა და 1983 წელს, 93 წლის ასაკში კაიროში გარდაიცვალა.

ქვეყანის სათავეში მოვიდა 27 წლის მუამარ კადაფი, რომელიც უკვე 41 წელია მართავს ამ აფრიკულ სახელმწიფოს.

ამ 41 წლის განმავლობაში კადაფიმ გამოიგონა მმართველობის საკუთარი სისტემა, მხარს უჭერდა რადიკალურ სამხედრო დაჯგუფებებს დაწყებული ირლანდიური რესპუბლიკური არმიიდან, ფილიპინურ „აბუ საიაფამდე“ და იქცა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ტოტალიტარული, დესპოტური და ხანგრძლივი რეჟიმის ლიდერად.

მისი მმართველობის დროს ქვეყანამ მოასწრო საერთაშორისო იზოლაციაში 10-წლიანი ყოფნა და შემდეგ ამ კრიზისიდან გამოსვლაც. პოლკოვნიკ კადაფის კვლავ უღიმოდნენ დასავლელი ლიდერები, რომლებთაც თვალს სჭრიდათ ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი ლიბია და გრანდიოზული ინფრასტრუქტურული პროექტები.

თავისი მმართველობის დასაწყისში კადაფიმ ლიბიაში რევოლუციური ცვლილებები განახორციელა. პირველივე წლებში მან ქვეყნიდან უცხოური სამხედრო შენაერთები გაიყვანა. 1970 წელს ქვეყნიდან ქალაქ ტა-

ჯადაფის მცველები

მუამარ კადაფის მუდმივად თან ახლავს 40 პირადი მცველი. ისინი აუცილებლად უნდა ატარებდნენ მაკიაჟს, ძვირფას სამკაულებს, სუნამოსა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს. უკვე რამდენიმე ათწლეულია, კადაფის ქალები იცავენ. კადაფი პირადად არჩევს საკუთარ მცველებს. ერთ-ერთი მთავარი პირობა ის არის, რომ ქალი აუცილებლად ქალწული უნდა იყოს და ასეთად დარჩეს, ვიდრე იგი ლიბიის ლიდერს ემსახურება. საქმე იმაშია, რომ კადაფის აზრით, ქალწული ქალების ყურადღების მოდუნება ყველაზე რთულია. ლიბიის ლიდერს კი ბევრი მტერი ჰყავს. მის წინააღმდეგ რამდენჯერმე განხორციელდა სერიოზული ტერაქტი. 1998 წელს ლიბიისა და ეგვიპტის საზღვრის მახლობლად კადაფის უცნობმა პირებმა ესროლეს. ლიბიის ლიდერის პირადი მცველი ქალი - აიშა მას საკუთარი მკერდით გადაეფარა. ქალი დაიღუპა, ხოლო მუამარი ბარძაყში მსუბუქად დაიჭრა.

ბრუკთან დისლოცირებული ინგლისური სამხედრო ბაზა გავიდა. ცოტა მოგვიანებით კი, ლიბიის დედაქალაქის – ტრიპოლის შემოგარენში დისლოცირებულმა და რეგიონში ყველაზე მსხვილმა სამხედრო საჰაერო ბაზამ – ამერიკულმა უილუს ფილდმაც დატოვა ქვეყანა.

მან მთელი ძალით შეუტია ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელებსა და უცხოურ კაპიტალს. 1970 წლის 7 ოქტომბერს ლიბიიდან 20 000 იტალიელი გააძევეს. ეს დღე ყოფილი კოლონიზატორების მიმართ „შურისძიების დღედ“ გამოცხადდა და ამ დღესასწაულს ლიბიაში დღესაც აღნიშნავენ. 1969-1971 წლებში ლიბიაში უცხოელების კუთვნილი ყველა ბანკის, ნავთობკომპანიისა და იტალიელთა კუთვნილი მიწების სრული ნაციონალიზაცია მოხდა. ადგილობრივი ნავთობკომპანიების წილის 51 პროცენტი სახელმწიფოს დაექვემდებარა.

ერთ-ერთი პირველი, რაც კადაფიმ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გააკეთა, ევროპული წელთაღრიცხვის ჰიჯრის წელთაღრიცხვით შეცვლა იყო. თვეებს მან ძველი არაბული სახელწოდებები დაუბრუნა.

1973 წელს ლიბიის ლიდერმა კულტურული რევოლუცია გამოაცხადა, რომელიც 5 ძირითად პუნქტს მოიცავდა: 1. მონარქიული რეჟიმის მიერ მიღებული ყველა კანონის გაუქმება და მათი შეცვლა ისლამურ შარიათზე დაფუძნებული კანონებით; 2. რეპრესიების დაწყება კომუნისტებისა და კონსერვატორების წინააღმდეგ, რამაც შედეგად ყველა მოწინააღმდეგე ძალის უპირობო წმენდა მოიტანა; 3. მოსახლეობის ფართო ფენებისათვის იარაღის დარიგება, რათა ხალხს რევოლუციის მონაპოვრი დაეცვა; 4. ადმინისტრაციული რეფორმა, ზღვარგადასული ბიუროკრატიისა და მექრთამეობის აღმოსაფხვრელად; 5. მუსლიმური აზროვნების წახალისება და ბრძოლა ყველასთან, ვინც არ ეთანხმებოდა ამ ყაიდის აზროვნებას.

კადაფი აცხადებდა, რომ ლიბიის კულტურული რევოლუცია, ჩინეთის კულტურული რევოლუციისაგან განსხვავებით, სიახლის შემოტანას კი არ ესწრაფოდა, არამედ პირიქით – არაბულ კულტურულ-ისტორიულ ძირებთან დაბრუნებას.

ბუნებრივი რესურსებით მდიდარი, თუმცა ღატაკი, ჩამორჩენილი, ტრაიბალისტური ლიბია, სადაც მმართველობის პირველ წლებში კადაფი დასავლური ყოფა-ცხოვრების ყოველგვარ ნიშანწყალს საგულდაგულოდ ებრძოდა, განვითარების განსაკუთრებული გზის მქონე ქვეყნად გამოცხადდა. ოფიციალური იდეოლოგია უკიდურესი ეთნონაციონალიზმის, სოციალიზმის, სახელმწიფო ისლამის და მემარცხენე მიმართულების სამხედრო დიქტატურის ნაზავს წარმოადგენდა. რეჟიმის მთავარ დასაყრდენად არმია, სახელმწიფო აპარატი და სოფლის მოსახლეობა ითვლებოდა.

თავდაპირველად მუამარ კადაფი ეგვიპტის იმჟამინდელ პრეზიდენტთან გამალ აბდ ელ-ნასერთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ორივე ქვეყნის ლიდერი ისლამზე, ზნეობრიობაზე და სოციალისტურ პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას ცდილობდა. თუმცა, მოგვიანებით, ეგვიპტის სათავეში სადათის მოსვლისა და პროამერიკული კურსის არჩევის შემდგომ, მუამარ კადაფიმ უკვე საკუთარი პოლიტიკური დოქტრინა და იდეოლოგია ჩამოაყალიბა. ეს იდეოლოგია უმთავრესად ფორმირებული იყო სამ ნაწილად გამოცემულ „მწვანე წიგნში“, რომელიც მოგვიანებით მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა. სწორედ ამ წიგნში გამოიყენა მუამარ კადაფიმ პირველად ტერმინი „ჯამაჰირია“, რომელიც არაბულად სახალხო მასების თავყრილობას ან მმართველობას ნიშნავს.

1977 წლის 2 მარტს სებჰაში მიმდინარე ლიბიის საერთო სახალხო კონგრესის რიგგარეშე სესიაზე გამოცხადდა ე. წ. სებჰას დეკლარაცია, რომელიც მმართველობის ახალი ფორმის ე. წ. ჯამაჰირიის შემოღებას ითვალისწინებდა. ლიბიამ კი ოფიციალურად მიიღო ახალი სახელწოდება – ლიბიის სახალხო

ჯადაფის გამოსვლა გაეროში

2009 წლის სექტემბერში მუამარ კადაფი აშშ-ში გაეროს გენერალური ასამბლეის 64-ე სესიაზე დასასწრებად ჩავიდა. განსაზღვრული 15 წუთის ნაცვლად, კადაფის გამოსვლა საათნახევარს გაგრძელდა. თარჯიმანმა, რომელიც 75 წუთის განმავლობაში ასრულებდა თავის სამუშაოს, ბოლოს არაბულად დაიყვირა მიკროფონში "მეტი აღარ შემიძლია", რის შემდეგაც იგი გაეროს არაბული წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა შეცვალა. ტრიბუნასთან კადაფიმ განაცხადა: „ჩემმა ვაჟმა ობამამ თქვა, რომ ეს ისტორიული სხდომაა“. მან მკაცრად გააკრიტიკა გაეროს უშიშროების საბჭო და მას „ტერორიზმის საბჭო“ უწოდა. მან თქვა, რომ გაეროს არსებობის ისტორიაში „64-მა დიდმა ქვეყანამ აწარმოა ომი პატარა ქვეყნების წინააღმდეგ და გაერომ არაფერი არ გააკეთა ამ ომების თავიდან ასაცილებლად“. ის გამოვიდა წინადადებით გაეროს შტაბ-ბინა დასავლეთი ნახევარსფეროდან აღმოსავლეთში, „მაგალითად, ლიბიაში“ გადაეტანათ. კადაფიმ თქვა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და დიდი ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი პირადად მონაწილეობდნენ ერაყის პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯაში. მან მოითხოვა პრეზიდენტ კენედისა და მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობების გამოძიება და გამოვიდა წინადადებით, ბარაკ ობამა სიკვდილამდე დარჩეს აშშ-ს პრეზიდენტის პოსტზე. ტრიბუნა კადაფიმ ამ სიტყვებით დატოვა: „თქვენ უკვე ყველანი დაიღალეთ. ყველას გძინავთ. თქვენს წიაღში იშვა ჰიტლერი და არა ჩვენთან. თქვენ დევნიდით ებრაელებს. თქვენ მოაწყვეთ ჰოლოკოსტი“.

სამოქალაქო ომი ლიბიაში

სხვადასხვა მონაცემით, ლიბიაში სამოქალაქო დაპირისპირებას უკვე 2-დან 6 ათას ადამიანამდე ემსხვერპლა.

ლიბიის ლიდერსა და მის წინააღმდეგ ამბოხებულებს შორის რაიმე შედეგიანი მოლაპარაკებების წარმოების წინაპირობა არ არსებობს, რადგან პოლკოვნიკ კადაფის ერთადერთი მიზანია, შეინარჩუნოს ძალაუფლება ქვეყანაში, რომელსაც იგი, უკვე 41 წელია, მართავს. ამბოხებულებს კი სრულიად საპირისპირო უნდათ – ისინი კადაფისთვის ერთადერთ სცენარს ხედავენ – ლიბიის ლიდერი გადადგეს თანამდებობიდან და დატოვოს ქვეყანა.

მეამბოხეები ქვეყნის აღმოსავლეთში არიან გამაგრებულები. ესენი არიან რიგითი მოქალაქეები, სამხედრო დეზერტირები, რომლებიც შეიარაღებულნი არიან ავტომატებით, ტყვიამფრქვევებით და ყუმბარმტყორცნებით. კადაფის მოწინააღმდეგეები აკონტროლებენ მნიშვნელოვან პუნქტს – პორტ ბრეგს, სადაც ქვეყანაში სიდიდით მეორე ნავთობგადამამუშავებელი ქარხანაა.

გასულ კვირას კადაფის ჯარებმა რამდენჯერმე სცადეს ბრეგის აღება და საჰაერო თავდასხმები მიიტანეს მეამბოხეთა პოზიციებზე.

მეამბოხეთა ნაციონალურმა საბჭომ, რომელსაც ცოტა ხნის წინ გადამდგარი კადაფის ყოფილი შს მინისტრი ხელმძღვანელობს, მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას დაუყოვნებლივ ჩაერიოს ლიბიის შიდა კონფლიქტში და არ დაუშვას მორიგი ავიათავდასხმები მეამბოხეებზე.

ლიბიის დედაქალაქს ტრიპოლის მთლიანად კადაფის ჯარები აკონტროლებენ. გასულ კვირას ლიბიის ლიდერმა აქ ნამდვილი ჯოჯოხეთი მოაწყო. კადაფის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა ტრიპოლიში მასშტაბური რეიდები მოაწყვეს და ათასობით ადამიანი დააპატიმრეს. ტრიპოლიდან მოდის ცნობები მკვლელობებსა და ადამიანთა გაუჩინარებებზე. ქალაქის გარეუბნებში მთელი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ორმხრივი ბრძოლები.

სიტუაცია დღეს ასეთია – კადაფის არ შესწევს ძალა, გადაისროლოს საკუთარი ძალები კილომეტრობით უდაბნოებზე და დაიბრუნოს კონტროლი ქვეყნის აღმოსავლეთზე. მის ოპონენტებს კი ტრიპოლიზე თავდასხმის ორგანიზებისთვის არ ჰყოფნით ძალები.

საერთაშორისო თანამეგობრობამ აამუშავა თითქმის ყველა დიპლომატიური ბერკეტი ლიბიაში ვითარების განსამუხტავად, თუმცა სამხედრო გზით კონფლიქტში ჩარევას ჯერჯერობით თავს არიდებს.

გაყინულია კადაფის და მისი ოჯახის წევრების საერთაშორისო საბანკო ანგარიშები, ქვეყანას დაუწესდა სამხედრო ემბარგო, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ უკვე განაცხადა, რომ მზადაა კადაფი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის გაასამართლოს. ასევე საუბარია იმაზეც, რომ ლიბიის ცაზე შემოიღებენ აკრძალულ ზონას, რომლის დროსაც შეუძლებელი იქნება ფრენები, რათა ლიბიის ლიდერმა ვეღარ განახორციელოს ავიათავდასხმები საკუთარ ხალხზე.

აშშ-ს პრეზიდენტმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ ლიბიის ლიდერმა უნდა დატოვოს თანამდებობა. „ჩვენ ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებთ, რომ ძალადობა უნდა დასრულდეს“, – განაცხადა ბარაკ ობამამ, – „მუამარ კადაფიმ ამოწურა უფლება, იყოს ლიბიის ლიდერი და იგი უნდა წავიდეს“.

არსებობს საშიშროება, რომ კუთხეში მიმწყვდეული კადაფი რაც შეიძლება დიდხანს და ნებისმიერ ფასად შეეცდება ხელისუფლების შენარჩუნებას.

თავად ლიბიის ლიდერი მის ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებში ალ-ქაიდასა და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს ადანაშაულებს. 2 მარტს „ბი-ბი-სი“-სთან ინტერვიუში კადაფიმ თქვა: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ხალხს ვუყვარვარ. ჩემი ხალხი ჩემთანაა. ისინი მოკვდებიან ჩემს დასაცავად“.

სოციალისტური არაბული ჯამაჰირია. ამ დღიდან მუამარ კადაფი რევოლუციის ლიდერად, ხოლო მთავრობის დანარჩენი წევრები რევოლუციურ ხელმძღვანელობად იწოდებოდნენ.

ე. წ. სებჰას დეკლარაციის თანახმად, ლიბია უნდა ყოფილიყო დემოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც ადგილობრივი სახალხო რევოლუციური საბჭოები მართავდნენ. რეალურად კი მოხერხებულმა პოლიტიკურმა მანიპულატორმა კადაფიმ მკაცრი კონტროლი შეინარჩუნა ყველა საკვანძო საკითხზე და ქვეყნის სიმდიდრეზე.

ყველაზე რთული დღეები ლიბიელებს 80-იან წლებში დაუდგათ, როცა კადაფიმ სოციალური მოწყობის მისეული თეორიების საკუთარ ხალხზე გამოცდა დაიწყო. კულტურული რევოლუციის ფარგლებში მან ყველა კერძო საწარმო გააუქმა და ბრძანება გასცა ყველა ის წიგნი დაეწვათ, რომელიც, მისი აზრით, სახიფათო იყო. მან ასევე გასცა ბრძანება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები დისიდენტები მოეკლათ.

კადაფის კრიტიკოსები მის ყველაზე დიდ დანაშაულად ხალხის ქონების მითვისებასა და კორუფციას მიიჩნევენ.

6 მილიონიან ლიბიაში, რომლის ბიუჯეტშიც ნავთობგაყიდვებისგან ყოველწლიურად 32 მილიარდი დოლარი შედის, მოსახლეობა უკიდურესად ღარიბია.

სოციალიზმის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც კადაფიმ შემოიღო, მართლაც უზრუნველყოფს უფასო განათლებასა და ჯანდაცვას. თუმცა, მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია, საშუალო ხელფასი კი – ძალზე დაბალი. გამდიდრება აქ მხოლოდ პოლკოვნიკ კადაფისთან დაახლოებულ ელიტას შეუძლია.

კადაფის მმართველობის ბოლო წლებში აქტუალური გახდა მისი მემკვიდრის საკითხი. კადაფის ორი ვაჟი ღიად ეცილებოდა ერთმანეთს მამის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომელიმე მათგანმა ოდესმე ლიბიის ლიდერის პოსტი დაიკავოს.

ლიბია დღეს არეულობის ქარცეცხლშია გახვეული. ათასობით დემონსტრანტი უკვე რამდენიმე კვირაა მუამარ კადაფის გადადგომას ითხოვს.

ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ლიბიის ლიდერი მუდმივად იყო საერთო სახალხო სიყვარულისა და მხარდაჭერის ობიექტი. მას, ისევე, როგორც ამ ტიპის სხვა დიქტატორებს, რეალურად სჯერა, რომ ყველაფერს ხალხის საკეთილდღეოდ აკეთებს.

მისი ცხოვრების წესი გარეგნულად სწორედ ხალხთან სიღრმისეულ ნათესაობას, ხალხის ჭირ-ვარამის მოზიარეობას ადასტურებს – კადაფი მუდმივად ხაზს უსვამს თავის მდაბიურ წარმომავლობას, დღემდე ცხოვრობს კარავში, რომელიც ჩვეულებრივი ბედუინის საცხოვრებლისგან მხოლოდ იმით თუ განსხვავდება, რომ კართან კადაფის დაცვის უერთგულესი წევრები მორიგეობენ.

მისი ჩაცმულობა ექსტრავაგანტულია, თუმცა საკმაოდ მოკრძალებული და სახალხო. როგორც წესი, იგი გრძელ არაბულ დაშდაშასა და ტრადიციულ კაბაში დადის. ერთი სიტყვით, გარეგნულად, ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ხალხის დიდი პატივისცემა გამოიწვიოს.

ცნობილ იტალიელ ჟურნალისტს ორიანა ფალაჩის, რომელმაც მსოფლიოს სხვადასხვა დიქტატორთან სტუმრობისა და ინტერვიუების შედეგად, მათი შთამბეჭდავი და ცოცხალი პორტრეტები შექმნა, მუამარ კადაფიმ პიტერ ოტულის ეკრანული გმირი – ლოურენს არაბიელი გაახსენა.

კადაფის განსაკუთრებულ შარმს ხშირად აღნიშნავენ დასავლელი ჟურნალისტები თუ პოლიტიკოსები. სავარაუდოდ, ამ შარმის წყალობით ამართლებს იგი თავის სახელს უკვე 41 წელია – „მუამარ“ არაბულად დღეგრძელს, ხანგრძლივად მცხოვრებს ნიშნავს.

მსოფლიო ჯადოფის თვალით



- გერმანულ გაზეთ „შპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კადაფიმ ასე დაახასიათა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი: „ის ძალიან ძლიერი პიროვნებაა. უფრო კაცია, ვიდრე ქალი“. მან ასევე თქვა, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი მისი „ყველაზე ახლო ევროპელი მეგობარია“, ხოლო ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი „კეთილი ნების ადამიანი, ნამდვილი რევოლუციონერი, რომელსაც ერთი წვეთი აგრესია არა აქვს“.

- აშშ-ში 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე მუამარ კადაფიმ კანდიდატ ბარაკ ობამას „ჩვენი კენიელი ძმა“ უწოდა, რომელსაც „არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებს“.

- კადაფიმ ინგლისელი დრამატურგი უილიამ შექსპირი არაბ ემიგრანტად გამოაცხადა. მისი თქმით, შექსპირს, ვიდრე იგი ინგლისში საცხოვრებლად გადავიდოდა, შეიჰ ზუბეირი ერქვა.

- 2006 წელს მუამარ კადაფიმ ლიბია „კოკა-კოლას“ სამშობლოდ გამოაცხადა და კომპანია Coca-Cola-სგან შემოსავლის პროცენტები მოითხოვა.

- კადაფის იდეაა შეიქმნას აფრიკის შეერთებული შტატები (აშშ).

- მუამარ კადაფის ყველა საერთაშორისო ვიზიტზე საკუთარი ბედუინური კარავი მიაქვს. ლიბიის ლიდერი მაკიაჟს იყენებს და თმებს იღებავს.

აფხაზეთი

ჰას საქმიანობს თურქეთი აფხაზეთში?

1996 წლიდან აფხაზეთის სეპარატისტულ რესპუბლიკაში საქართველოს ყველა სახის უცხოურ ეკონომიკურ აქტივობაზე ემბარგო აქვს დაწესებული. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი დამკვირვებლები ამბობენ, რომ აფხაზეთსა და თურქეთს შორის სავაჭრო კავშირები, ბოლო ორი წელია, მნიშვნელოვნად გააქტიურდა.

ნიკ კლეიტონი, სოხუმი

სოხუმი, აფხაზეთი, 2011

ფოტო ნიკ კლეიტონი

1996 წლიდან აფხაზეთი დსთ-ს მიერ დაკისრებული ეკონომიკური ბლოკადის პირობებში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლიდან რუსეთმა, ფაქტობრივად, ეკონომიკური სანქციების უგულებელყოფა დაიწყო, აფხაზეთთან საზღვაო ვაჭრობას მაინც ვერ ახერხებდა. დაბრკოლება საქართველოს სანაპირო დაცვა იყო.

სხვადასხვა ცნობებით, 1999-2009 წლებში საქართველოს სანაპირო დაცვამ აფხაზეთის მიმდებარე წყლებში 60-ზე მეტი გემი დააკავა. უმეტეს შემთხვევაში, ეს გემები აუქციონზე იყიდებოდა, ხოლო მათი ეკიპაჟები ხანმოკლე პატიმრობაში რჩებოდნენ. მაგრამ 2009 წლის ბოლოს განვითარებულმა ორმა მოვლენამ აფხაზეთის საზღვაო ბლოკადა გაარღვია.

პირველი რეაქცია 2009 წლის აგვისტოში თურქული დროშით მცურავი ტანკერის – „ბუკეტის“ – დაკავებას მოჰყვა. ტანკერს, რომელზეც ეკიპაჟის 17 თურქი წევრი იმყოფებოდა, 2800 ტონა საწვავი გადაჰქონდა. ქართული მხარის მიერ თურქი კაპიტნის დაკავებას და მისთვის, ბლოკადის რეჟიმის დარღვევის გამო, 24-წლიანი პატიმრობის მისჯას თურქეთთან დიპლომატიური კამათი მოჰყვა.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ დავითოღლუ სასწრაფოდ თბილისში ჩამოფრინდა. შედეგად, განაჩენის გამოტანიდან 5 დღეში თურქი კაპიტანი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. თურქული გაზეთის – Today's Zaman-ის თანახმად, ინციდენტის კვალდაკვალ, აპრილში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ

ვაშაძე და მისი თურქი კოლეგა ერთმანეთს შეხვდნენ, სადაც თურქულ-აფხაზური ურთიერთობები განიხილეს.

ამავდროულად, 2009 წლის სექტემბერში რუსეთმა განაცხადა, რომ აფხაზეთის „ტერიტორიული წყლების“ დასაცავად საკუთარ გემებს გაგზავნიდა.

მას შემდეგ საქართველოს საზღვაო დაცვამ საჯაროდ აფხაზეთში მიმავალი მხოლოდ ერთი გემის დაკავების შესახებ განაცხადა – ეს არის უკრაინული გემი, რომელიც, ეკიპაჟთან ერთად, ყოველგვარი ბრალდების თუ ჯარიმების გარეშე, 2010 წელს გაათავისუფლეს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აფხაზეთის საზღვაო ბლოკადის და არალეგალური ვაჭრობის აღკვეთის საკითხზე კომენტარს თავი აარიდა.

ახრა სმირი, რადიო „თავისუფლების“ ბლოგერი სოხუმიდან, ამბობს, რომ უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში თურქული გემების შემოსვლა და თურქული ბიზნეს-ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა. „ლიბერალის“ კორესპონდენტმა თებერვლის დასაწყისში ორი დღის მანძილზე თურქული დროშის მქონე 5 ხომალდი დათვალა სოხუმის პორტში. ზოგიერთ გემზე აფხაზური და თურქული დროშები ერთდროულად ფრიალებდა. ყველა მათგანი თევზსაჭერი გემი იყო, ერთის გამოკლებით, რომლიდანაც ტვირთს ეზიდებოდნენ.

აფხაზი ეკონომისტის ბესლან ბარათელიას მიერ Turkish Policy Quarterly-თვის დაწერილი ანგარიშის მიხედვით, აფხაზეთის იმპორტის დაახლოებით 60% თურქეთზე მოდის. თურქეთში იყიდება აფხაზეთის ექსპორტის 45 პროცენტი. 2007 წელს, რუსეთის მიერ მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებამდე და, ასევე, თურქული ინვესტიციების ზრდამდე, აფხაზეთის ბიუჯეტის 30% თურქეთთან ვაჭრობის შედეგად შემოსული საბაჟო გადასახადებით ივსებოდა.

თურქეთმა აფხაზეთთან დიპლომატიური კავშირიც უფრო მაღალ დონეზე აიყვანა და ბოლო ორი წლის განმავლობაში დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბასთან შესახვედრად ორი მაღალი რანგის დიპლომატიც გაგზავნა. 2010 წლის აპრილში, ბოლო ვიზიტის შემდეგ, საქართველოში თურქეთის ელჩმა მურატ ბურჰანმა განაცხადა, რომ ორ მხარეს შორის ურთიერთობების გაღრმავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები და ანკარა „აფხაზეთთან პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას“ იმედოვნებდა.

თურქეთის ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ფონდის ანალიტიკოსის, ბურჩუ გულტეკინ პუნსმანის თანახმად, თურქეთის მთავრობა თურქეთის აფხაზური დიასპორისგან მზარდ ზეწოლას განიცდის. დიასპორა, დაახლოებით, 500 000-მდე ადამიანს ითვლის. სმირის განცხადებით, აფხაზეთში ბევრ ახალ ბიზნესს აფხაზური წარმომავლობის თურქეთის მოქალაქეები უდგანან სათავეში. შესაბამისად, თურქული საგარეო პოლიტიკა იძულებული გახდა, ამ ცვლილებას მორგებოდა, თუმცა – არაოფიციალურად.

აფხაზეთში ბევრ ახალ ბიზნესს აფხაზური წარმომავლობის თურქეთის მოქალაქეები უდგანან სათავეში. შესაბამისად, თურქული საგარეო პოლიტიკა იძულებული გახდა, ამ ცვლილებას მორგებოდა, თუმცა – არაოფიციალურად.

გასულ ივლისს პუნსმანმა ანგარიშში დაწერა, რომ თურქი დიპლომატები ქართველ კოლეგებთან თურქეთსა და აფხაზეთს შორის დამაკავშირებელი გზების აღდგენის შესაძლებლობას განიხილავდნენ, მათ შორის, საჰაერო და საზღვაო მარშრუტებს ტრაპზონსა და სოხუმს შორის. ერთი ვერსიით, აფხაზეთში გზის გაგრძელებამდე, თურქული გემები საბაჟო კონტროლს ბათუმში გაივლიან.

და მაინც, თურქეთის წვლილი აფხაზეთში რუსეთის ინვესტიციებისა და ბიზნეს-კავშირების ფონზე, მიზერულია, განსაკუთრებით, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ. რუსეთმა აფხაზეთის ინფრასტრუქტურის აღდგენაზე, მთავრობისათვის დახმარებასა და რეგიონში სტრატეგიული და კერძო ობიექტების შეძენაზე ასობით მილიონი დოლარი უკვე დახარჯა.

უფრო მეტიც, დე ფაქტო მთავრობა უკმაყოფილოა, რომ თურქეთი მხოლოდ ეკონომიკური კავშირებითაა დაინტერესებული და აღიარებისა და ოფიციალური პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებისაგან თავს იკავებს – განაცხადა აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა, თუმცა მან ვინაობის გამხელა არ ისურვა.

აფხაზეთის პოლიტიკურ ოპოზიციას ეს ოპორტუნიზმი კარგად აქვს გაცნობიერებული. ყოფილმა დე ფაქტო პრემიერ-მინისტრმა და ოპოზიციის ამჟამინდელმა ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ „ლიბერალთან“ საუბარში განაცხადა, რომ აფხაზეთის ერთადერთი ჭეშმარიტი ეკონომიკური პარტნიორი რუსეთია, მაშინ, როცა თურქეთი მხოლოდ აფხაზეთის იაფი ბუნებრივი რესურსებითაა დაინტერესებული.

„იყიდე-გაყიდე“ – ასე ვუწოდებთ ჩვენ ამ ურთიერთობას. ჩვენ ვჩეხავთ ტყეებს და თურქებზე ვყიდით. ისინი ამ მასალისგან ნივთებს ამზადებენ და სხვა ქვეყნებში ყიდიან. თუ წარმოების პროცესი ადგილობრივად მოხდება, ჩვენი ხალხის ჩართვით და თურქული ინვესტიციების დახმარებით, მაშინ ეს ურთიერთობა თანასწორი იქნება, მაგრამ ახლა მათ ჩვენგან, უბრალოდ, მიაქვთ“, – განაცხადა მან.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

უსაფრთხოების განახლებული კონცეფცია

ინტერვიუ უშიშროების საბჭოს ანალიტიკური დეპარტამენტის თავმჯდომარესთან,
ლაშა დარსალიასთან



ფოტო: თეიმურ ბარქაია/ბლიცი

2011 წლის ზაფხულამდე საქართველოს უსაფრთხოების ახალი კონცეფცია ექნება. უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებული დოკუმენტი ახლა განხილვის სტადიაშია. პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ ის პარლამენტს გადაეგ ზავნება,საპარლამენტო კომიტეტების მიერ განხილვის შემდეგ კი კონცეფცია პარლამენტმა ერთი მოსმენით უნდა დაამტკიცოს.

ქართული სახელმწიფოს არსებობის ისტორიაში ეს რიგით მეორე უსაფრთხოების კონცეფცია იქნება. პირველი ასეთი დოკუმენტი პარლამენტმა 2006 წლის დასაწყისში დაამტკიცა და ის დღემდე ძალაშია.

უსაფრთხოების კონცეფცია სახელმწიფოს სტრატეგიული დოკუმენტია. სწორედ მასზე დაყრდნობით ადგენს ქვეყნის უშიშროების საბჭო საფრთხეების შეფასების საიდუმლო დოკუმენტს, რომელშიც უკვე კონკრეტულად არის დასახელებული ქვეყნის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი გამოწვევები, მათი მოგვარების გ ზები და სამოქმედო გეგმა.

ბატონო ლაშა, რა გახდა უსაფრთხოების კონცეფციის განახლების ძირითადი მიზეზი?

პირველი დოკუმენტი, რომელიც შეიქმნა 2005-2006 წლებში, გათვლილი იყო, პირობითად, 5 წელზე. საერთოდ, ასეთია მსოფლიო პრაქტიკა, რომ კონცეფცია უნდა განახლდეს ყოველ 4-5 წელიწადში. გარდა ამისა, ის დინამიკური პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს საქართველოს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, უსაფრთხოების სფეროში განახლებული პრიორიტეტების დასახვის აუცილებლობას ქმნის. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთმანეთს დაემთხვა გეგ-

ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია, არსებული მდგომარეობა ზუსტად შეფასდეს და მხოლოდ ამის შემდეგ ვისაუბროთ დარეგულირებაზე. 2008 წლის ომის შემდეგ ბუნებრივია, რომ ერთ-ერთ რისკად განიხილება რუსეთისგან მომდინარე აგრესია და ალოგიკურიც იქნებოდა ამ საფრთხის იგნორირება.

მური განახლება და უსაფრთხოების გარემოს დინამიკური ცვლა.

წინა კონცეფციაში რუსეთი განიხილებოდა პარტნიორ ქვეყანად, ახალ დოკუმენტში კი მისგან მომდინარე აგრესია მთავარ საფრთხედ სახელდება. უსაფრთხოების კონცეფციის ამ ფორმით მიღება ხომ არ გამოიწვევს საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებას?

ურთიერთობის დარეგულირების მიზანი არ უნდა გულისხმობდეს არსებულ რეალობაზე თვალის დახუჭვას. პირიქით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია, არსებული მდგომარეობა ზუსტად შეფასდეს, ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი და მხოლოდ ამის შემდეგ ვისაუბროთ დარეგულირებაზე. 2008 წლის ომის შემდეგ ბუნებრივია, რომ ერთ-ერთ რისკად განიხილება რუსეთისგან მომდინარე აგრესია და ალოგიკურიც იქნებოდა ამ საფრთხის იგნორირება.

ფლობთ ინფორმაციას, რა ადგილი უჭირავს საქართველოს რუსეთის უსაფრთხოების კონცეფციაში?

იმ დოკუმენტში, რომელიც რუსეთის უსაფრთხოების მიმართულებებს განსაზღვრავს, ისევე, როგორც მათ სამხედრო დოქტრინაში, საუბარი არ არის კონკრეტულად საქართველოზე, თუმცა რუსეთის საზღვრებთან მიმდინარე კონფლიქტებში ჩარევის შესაძლებლობა, რაც ამ დოკუმენტებში მოიხსენიება, რა თქმა უნდა, საქართველოზეც ვრცელდება.

წინა კონცეფციაში ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად განიხილებოდა კორუფცია და სახელმწიფო მართვის არაეფექტიანი სისტემა. ეს საკითხები ახალ კონცეფციაშიც მოხვდება? თუ ფიქრობთ, რომ კორუფციასთან ბრძოლის გამოცხადების შემდეგ ეს თემები აღარ განიხილება სერიოზულ საფრთხეებად?

ჩემი პირადი აზრია და ამის თქმის საშუალებას მრავალი დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნებიც მაძლევს, რომ საქართველოში კორუფცია, როგორც უსაფრთხოების პრობლემა, მოხსნილია. თუმცა ეს ისეთი საკითხია, რომელსაც პერმანენტულად სჭირდება ყურადღების მიქცევა. ამიტომაც ეს ერთ-ერთი იმ თემათაგანია, რომლებიც ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია და ეს საკითხი სხვადასხვა ჯგუფს შორის მიღწეული კონსესუსით გადაწყდება.

უდავოა ქართული ეკლესიის როლი ქვეყნის განვითარებაში. შესაბამისად, რა დოზით უნდა მოხდეს მისი ჩართვა უსაფრთხოების კონცეფციაში, ამას აუცილებლად განვიხილავთ სხვადასხვა ჯგუფთან.

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების ათეული
(უსაფრთხოების ახალი კონცეფციის მიხედვით)

1. **რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია**
2. **რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი**
3. **რეგიონში არსებული კონფლიქტების გადმოდინება**
4. **საერთაშორისო ტერორიზმი**
5. **ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები**
6. **ენერგეტიკული გამოწვევები**
7. **ინფორმაციული გამოწვევები**
8. **ეკოლოგიური გამოწვევები**
9. **ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებები**
10. **დემოგრაფიული გამოწვევები.**

გავრცელებული ინფორმაციით, ახალ კონცეფციაში საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების სიიდან გაქრა სომხეთი. მართლაც ასეა?

ეს არის აბსოლუტურად არასწორი ინფორმაცია. სინამდვილეში, ყველაფერი პირიქითაა – ახალ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სომხეთთან ურთიერთობას, უფრო მეტიც, ცალკე თავად არის გამოყოფილი თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

„ქრისტიან-დემოკრატთა“ ლიდერი გიორგი თარგამაძე კონცეფციაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღნიშვნის ინიციატივით გამოვიდა. რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ეკლესიის ჩართვა ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებში?

უდავოა ქართული ეკლესიის როლი ქვეყნის განვითარებაში. შესაბამისად, რა დოზით უნდა მოხდეს მისი ჩართვა უსაფრთხოების კონცეფციაში, ამას აუცილებლად განვიხილავთ სხვადასხვა ჯგუფთან.

დასავლეთის ქვეყნების მთავრობები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ეკოლოგიის პრობლემებს და მათგან მომდინარე საფრთხეს. რა დოზით დაეთმო ყურადღება ამ საკითხს საქართველოს ახალ უსაფრთხოების კონცეფციაში?

უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად საქართველოშიც განიხილება ეკოლოგიურ რისკებზე სათანადო რეაგირების მოხდენა. გარდა ზოგადისა, არსებობს კონკრეტული ეკოლოგიური საფრთხეებიც. დღეს ჩვენი მთავარი პრობლემა, ეკოლოგიის თვალსაზრისით, არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილი ვითარება, რაც ამ რეგიონებში ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული ექსპლუატაციით არის განპირობებული. შესაბამისად, ეს მთელ ქვეყანას უქმნის საფრთხეს.

ფოტო: თეგი ბარძიმაშვილი

თვალსაზრისი

სამარშუტო ტოტალიტარიზმი

თბილისის მერის კორუფციული სქემა ასეთია: ავტობუსების ქსელის „რეფორმით“ სამარშრუტო ტაქსების უპირატეს და მომგებიან მდგომარეობაში ჩაყენება; სამარშრუტო ტაქსების სისტემის ისეთი „რეფორმის“ გამოცხადება, რომელიც ამ სფეროდან წვრილ მეწარმეებს განდევნის და ბოლოს, სატრანსპორტო მომსახურების ამ სეგმენტის მონოპოლისტებისთვის გადაცემა.

თინათინ ხიდაშელი, საკრებულოს წევრი, რესპუბლიკური პარტია

25 თებერვალს, დილიდან თბილისელების მნიშვნელოვანი ნაწილი სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მათ, ვისაც არ აღმოაჩნდა ზედმეტი 3, 5 ან 10 ლარი რომ კერძო ტაქსით გადაადგილებულიყვნენ, საათობით უწევდათ ქუჩაში დგომა ტრანსპორტის მოლოდინში.

თბილისში სამარშრუტო ტაქსების მძღოლები გაიფიცნენ.

მოსახლეობის ნაწილი მათზე გაბრაზდა და აღშფოთებულნი პროტესტს გამოთქვამდნენ, უფრო მეტი კი მიხვდა რომ ეს მძღოლების არჩევანი და სურვილი კი არა, იძულებითი ნაბიჯი იყო საკუთარი ოჯახების გადასარჩენად.

შეიძლებოდა თუ არა პროცესის ამგვარი განვითარების წინასწარ გამოცნობა? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა.

ეს იყო გარდაუვალი შედეგი იმ უსამართლო და კორუფციული სატრანსპორტო პოლიტიკისა, რომელსაც თბილისის მერია ატარებდა. ნუ შეგაშფოთებთ ნურც ერთი სიტყვა, ნურც „უსამართლო“ და ნურც „კორუფციული“. სიტყვებს დიდი ფასი აქვს და ყოველ ბრალდებას დასაბუთება სჭირდება. სწორედ ამიტომ დაიწერა ეს სტატიაც.

თბილისის სატრანსპორტო სისტემა კორუფციის ერთი დიდი ხვრელია, სადაც ქვეყნის ყველა ხელისუფალი მუდამ უმსხვილეს ლუკმას შოულობდა. კორუფციული გარიგებებისა და მშვიდად ფულის შოვნის ყველაზე გამოცდილი ფორმა კი დაუსრულებელი და მუდამ „გაუმჯობესებაზე ორიენტირებული“ რეფორმაა. როდესაც ბუნდოვანია მომავალი, არ იცი, როგორ ვითარდება სფერო, მრავლად არის სიურპრიზები და სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილებები. შესაბამისად, ადვილია „რეფორმა“ ისეთი პირობებით წამოიწყო, რომელსაც შენი მეგობრის ან ბიზნეს პარტნიორის გარდა, ვერავინ დააკმაყოფილებს.

თბილისის სატრანსპორტო სისტემაში ბოლო ექვსი თვის მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა ბევრი კითხვა გააჩინა და მათი უმრავლესობა პასუხგაუცემელია. ჩემი ამოცანა, სწორედ ამ კითხვებზე დასაბუთებული, დოკუმენტებითა და მტკიცებულებებით გამყარებული პასუხის გაცემაა.

ყველაფრის სათავე დედაქალაქის პირველი არჩეული მერის სამეტაპიანი გეგმაა: 1) ავტობუსების ქსელის „რეფორმით“ თბილისში სამარშრუტო ტაქსების ბიზნესის უპირატეს და მომგებიან მდგომარეობაში ჩაყენება; 2) სამარშრუტო ტაქსების სისტემის ისეთი „რეფორმის“ გამოცხადება, რომელიც ამ სფეროდან წვრილ მეწარმეებს განდევნიდა; 3) სატრანსპორტო მომსახურების ამ სუპერმომგებიანი სეგმენტის საკუთარი ბიზნეს პარტნიორებისათვის გადაცემა.

მივყვეთ მოვლენებს:

1. ავტობუსებით მომსახურების „რეფორმა“

თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი დოტაციურია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად თბილისის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი, რამდენიმე ათეული მილიონი ლარი, ყვითელი ავტობუსებისათვის იხარჯება. 2011 წელს ეს ბიუჯეტი კიდევ უფრო გაიზარდა და მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია. წლევანდელი დოტაცია ოცდაათ მილიონ

ლარს აღემატება. დასაბუთება მგზავრთა ნაკადის მატებაა. თბილისის მერიის დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ ავტობუსებში გაუმჯობესებულმა მომსახურებამ შედეგი გამოიღო და უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს დღეს ყვითელი ავტობუსებით, ვიდრე ოდესმე.

თუმცა, ეს მანამდე იყო, სანამ მერიაში ბიუჯეტის პროექტს ამზადებდნენ. საკრებულოს ნაციონალურმა უმრავლესობამ, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ გაიზიარა მერიის მიერ შემოთავაზებული ბიუჯეტის პროექტი და ყვითელი ავტობუსებისათვის ერთი ათეული მილიონით გაზრდილი ბიუჯეტი.

სულ რამდენიმე დღეში ვითარება რადიკალურად შეიცვალა – ავტობუსებში გაჩნდა წარწერები, რომ მათი ნაწილი მოსახლეობას აღარ მოემსახურებოდა. საკრებულოში კი გამოგვიცხადეს, რომ ბევრ ხაზზე ავტობუსები, პრაქტიკულად, ცარიელი დადის და ამიტომ სრულიად არ არის საჭირო მათი არსებობა. გუშინ ამბობდნენ, გაიზარდა მგზავრთა ნაკადი და ფული მეტი გვჭირდებაო. ფული მიიღეს. დღეს ამბობენ, ამდენი ავტობუსი აღარ გვინდა, ხალხს აღარ სჭირდებაო.

ავტობუსები შეამცირეს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის, ამ „რეფორმას“ სხვა „დიადი“ ამოცანაც ჰქონდა, კერძოდ:

1. შემცირდა ავტობუსების ხაზების რაოდენობა. შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნილება სამარშრუტო ტაქსებზე.
2. შემცირდა ავტობუსების რაოდენობა დარჩენილ, უკვე შემცირებულ ხაზებზე. შესაბამისად, კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნილება სამარშრუტო ტაქსებზე.
3. დამოკლდა ავტობუსების ხაზები; შესაბამისად, კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნილება სამარშრუტო ტაქსებზე;
4. გაიზარდა გადასახადი ავტობუსით მგზავრობაზე. შესაბამისად, აზრი დაკარგა ავტობუსმა, როგორც იაფმა ტრანსპორტმა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ სამარშრუტო ტაქსების მგზავრთა რიცხვს დაემატა;

ცხადია, რომ ამ „რეფორმის“ შედეგად მოხდა სამარშრუტო ტაქსების ხელოვნური პრიორიტეტიზაცია თბილისის სატრანსპორტო სისტემაში. ნაკლები ავტობუსი, ნაკლები ხაზები, ავტობუსების დამოკლებული მარშრუტები, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე თბილისელებისათვის ნიშნავს იმას, რომ:

- ავტობუსის ლოდინის დრო გაიზარდა;
- ავტობუსით მგზავრობა კიდევ უფრო არაკომფორტული გახდა მისი გადატვირთულობის გამო;
- ერთ ავტობუსს, უმეტეს შემთხვევებში, ველარ მივყავართ “ა“ პუნქტიდან “ბ“ პუნქტამდე და გვიწევს ტრანსპორტის გამოცვლა, რაც ნიშნავს დამატებით ლოდინს და დისკომფორტს;
- დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად ერთის ნაცვლად ორი ავტობუსით მგზავრობა ნაცვლად 40 თეთრისა, როგორც „რეფორმამდე“ იყო, 80 თეთრი (50 თეთრი პირველი ავტობუსი, 30 თეთრი გადაჯდომა) ჯდება;

რეფორმამ „გაამართლა“ – სტატისტიკური მონაცემებით, სამარშრუტო ტაქსების მომხმარებელთა რაოდენობა „ავტობუსების ხაზების რეფორმიდან“ ერთი თვის შემდეგ 15 პროცენტით გაიზარდა.

სამარშრუტო ტაქსების და ავტობუსების პაექრობა გრძელდება, თბილისი 2011

ფოტო: ბარბარა ქორბასვ�sული

„რეფორმის“ შედეგად მოხდა სამარშრუტო ტაქსების ხელოვნური პრიორიტეტიზაცია. ნაკლები ავტობუსი, ნაკლები ხაზები, ავტობუსების დამოკლებული მარშრუტები – შედეგად, სამარშრუტო ტაქსების მომხმარებელთა რაოდენობა „ავტობუსების ხაზების რეფორმიდან“ ერთი თვის შემდეგ 15 პროცენტით გაიზარდა.

2. სამარშრუტო ტაქსების ტენდერი

2010 წლის 6 დეკემბერს მერიამ გამოაცხადა სამარშრუტო ტაქსების ტენდერი. ტენდერის პირობები ისე დაიწერა, რომ ერთმნიშვნელოვნად უზრუნველყოფდა ამ სფეროდან მცირე მეწარმეების განდევნას და ბაზრის დათმობას წინასწარ მომზადებული მონოპოლისტისთვის.

სამარშრუტო ტაქსების სფეროში ტენდერამდე მუშაობდა ოთხ ათეულზე მეტი კომპანია და უამრავი მათი ქვეკონტრაქტორი. რეფორმა დაიგეგმა არა ისე, რომ ბაზრის მცირე სეგმენტებზე წლების მანძილზე დამკვიდრებულ მცირე საწარმოებს მისცემოდათ ახალი მოთხოვნების ეტაპობრივად დაკმაყოფილების და ბაზარზე დარჩენის საშუალება, არამედ ისე, რომ მათ ამისი შანსიც კი არ ჰქონოდათ. კერძოდ, ტენ-

დერი გამოცხადდა 5 მსხვილ ლოტად და, შესაბამისად, თითო მათგანზე პრეტენზიის გამცხადებელს მოეთხოვებოდა ათობით მილიონი დოლარის მობილიზება და ახალი მანქანების შეძენა. ბაზარზე დამკვიდრებულ წვრილ მეწარმეებს კი ჰქონდათ არა ათობით მილიონი, არამედ ათობით მომუშავე ავტომანქანა, რომლებიც ტენდერის პირობებიდან გამომდინარე ჯართად ექცეოდათ – მათ, რომც მოეხერხებინათ გაერთიანება და თვითგამსხვილება, მხოლოდ ახალი ავტომანქანების შესაძენი ფული კი არ უნდა ეშოვათ, არამედ მომუშავე ავტომანქანების გაჩერებით მიღებული ზარალიც უნდა დაეფარათ.

მერიის „გენიალური“ სქემის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითი – ვთქვათ, სახელმწიფოს კუთვნილ 100 ჰექტრიან მიწის ნაკვეთზე თითო ჰექტარს იჯარით ამუშავებს 100 ფერმერი და ამით არჩენს ოჯახს. სახელმწიფო აცხადებს ტენდერს ამ ნაკვეთის პრივატიზაციაზე, ოღონდ იმ პირობით, რომ ყოველმა მყიდველმა უნდა შეიძინოს არანაკლებ 20 ჰექტრისა და თან ამ ნაკვეთზე უნდა აიკრძალოს ყველა ტიპის სასოფლო სამეურნეო ტექნიკის გამოყენება, გარდა 2011 წლის გამოშვების ვარდისფერი ტრაქტორებისა (ცხადია იმისათვის, რომ გაიზარდოს მიწის პროდუქტიულობა და პროდუქტის ხარისხი, დავეწიოთ და გავუსწროთ გერმანიას და ა.შ.)... ძნელი სავარაუდოა, თუ რას უდრის ამ „ტენდერში“ იმ გლეხების მონაწილეობისა და გამარჯვების შანსი, რომლებიც თითო ჰექტარის დამუშავებით შოულობდნენ ლუკმა–პურს?

სამარშრუტო ტაქსების ბიზნესში დაკავებული მეწარმეების შანსი არაფრით არ აღემატებოდა ამ გლეხების შანსს...

თუმცა, ყოველი შემთხვევისათვის, მერიამ თავი მაინც დაიზღვია და ტენდერი ისეთ დროს და ისეთ ვითარებაში გამოაცხადა, რომ მცირე მეწარმეების გაერთიანების შესაძლებლობა მინიმუმამდე დაეყვანა – საკონკურსო პერიოდის უდიდესი ნაწილი საშობაო და საახალწლო უქმეები იყო.

შედეგმაც არ დააყოვნა და ფორმალური კონკურენციაც კი ვერ იქნა მიღწეული. 5 ლოტზე სულ 8 კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ტენდერის პირობების არასამართლიანობა და მათი შესრულების შეუძლებლობა ამ სფეროში დაინტერესებული, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე და მასზე სასიცოცხლოდ დამოკიდებული მცირე ბიზნესის მხრიდან.

3. ტენდერში „გამარჯვებულები“

ტენდერის შედეგად თბილისში კიდევ ერთი სფერო გახდა მონოპოლიური. სამარშრუტო ტაქსების ბიზნესში, ნაცვლად ათასობით მცირე მეწარმისა, დღეს ერთი მონოპოლისტი შემოვიდა.

ტენდერში მონაწილე 8 კომპანიიდან 4 ერთი ბიზნეს ჯგუფის – „ჯი-ემ-სი“-ის შვილობილი კომპანიაა. ისინი სპეციალურად ამ ტენდერში გამარჯვებისათვის, კომპანია „ჯი-ემ-სი ჯგუფის“ მისამართზე, მათ რესტორანში, ერთდროულად, ამავე კომპანიის ადვოკატის მიერ, მის ნოტარიუსთან ხუთწუთიანი დროის შუალედით შეიქმნა, მათ სადამფუძნებლო დოკუმენტებიც იდენტური აქვთ და ქონებაც, რომელიც სულ 100 ლარს შეადგენს. თუმცა, მათ უკან დიდი, მრავალი ასეული მილიონის ქონების მფლობელი ბიზნეს ჯგუფი დგას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი ტიპის საგარანტიო წერილს მისცემს.

> **■ ტენდერში მონაწილე 8 კომპანიიდან 4 ერთი ბიზნეს ჯგუფის – „ჯი-ემ-სი“-ის შვილობილი კომპანიაა.** ისინი სპეციალურად ამ ტენდერში გამარჯვებისათვის, ერთ დღეს, ხუთწუთიანი დროის შუალედით შეიქმნა.

გარდა უკვე აღწერილი „დამთხვევებისა“, დამატებითი ინფორმაცია მათთვის, ვისაც მეტი არგუმენტი სჭირდება – გამარჯვებული 4 კომპანიის დამფუძნებლები და დირექტორები, იმავდროულად, სწორედ „ჯი-ემ-სი ჯგუფის“ სხვადასხვა შვილობილი საწარმოების ხელმძღვანელები ან მეწილეები არიან.

თუმცა, ამ ადამიანების ურთიერთობა მხოლოდ „ჯი-ემ-სი ჯგუფთან“ კავშირით არ სრულდება. უცნაური დამთხვევაა, რომ იგივე ადამიანები, სხვადასხვა დროს, გიგი უგულავას მიერ სხვადასხვა მუნიციპალური საწარმოების ხელმძღვანელებად ინიშნებოდნენ.

მეტი სიცხადისათვის, ერთი მაგალითი განვიხილოთ:

ტენდერის შედეგების შესაბამისად, ფორმალურად, თბილისის სამარშრუტო ტაქსების ყველაზე დიდი ნაწილი (ვაკე-საბურთალოს და გლდანი-ნაძალადევის სეგმენტი) კომპანია "თბილ-ლაინის" საკუთრება გახდა. ანუ ეს უკანასკნელი, ორ ყველაზე დიდ ლოტზე გამოვლინდა გამარჯვებულად. მისი ერთადერთი დამფუძნებელი და დირექტორი გია გაგოშიძეა.

გია გაგოშიძე კომპანია „ჯი-ემ-სი ჯგუფის“ მიერ დაფუძნებული შპს „ჯი-ემ-სი საწყობის“, და იმავდროულად გიგი უგულავას ბრძანებით, თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული შპს „სპორტული ეზოს“ დირექტორია. სხვათა შორის, ეს ის „სპორტული ეზოა“, რომელსაც საბურთალოზე, ყაზბეგის გამზირზე პარკის ტერიტორიის ნაწილი გადაეცა, და სადაც მრავალი წელია, მოსახლეობა უკანონო მშენებლობებს აპროტესტებს. ბაღში უკანანოდ აშენებული ერთ–ერთი სასახლის პატრონი კი „ჯი-ემ-სი ჯგუფის“ პატრონი ხვიჩა მაქაცარიაა.

უცნაური დამთხვევაა, მით უფრო, რომ ანალოგიური სქემა მეორდება კიდევ ერთი კომპანიის „ფაბლიქ ქარ“-ის დამფუძნებლისა და დირექტორის ხვიჩა სექანიასა და „მუშთაიდის“ პარკის შემთხვევაში. ბატონი სექანია „მუშტაიდის“ პარკის დირექტორად, ასევე „თბილისი-პარკინგის“ ხელმძღვანელად თბილისის მერის გადაწყვეტილებით დაინიშნა.

და ბოლოს, კიდევ ერთი ფაქტი – ტენ-

დერის დასრულებისა და 4 „სხვადასხვა“ გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ გაირკვა, რომ თურმე ამ „შემთხვევით“ ერთნაირად და ერთდროულად დაფუძნებულ 4–ვე კომპანიის მეპატრონეებს „შემთხვევით“ ფერთა შორის ყველას ყვითელი, ხოლო მიკროავტობუსებს შორის „ფორდი“ გამოურჩევიათ და, რაც მთავარია, სრულიად „შემთხვევით“ მათი ავტო–ფერული გემოვნება სრულად ემთხვევა თბილისის მერისას – და ყველა ეს „შემთხვევითობა“ მხოლოდ ცალ–ცალკე დალუქული და ერთად გახსნილი სატენდერო პაკეტების გახსნის შემდეგ გაირკვა...

თბილისის მერის მზრუნველობა ბიზნეს პარტნიორებზე ამით არ ამოიწურება გიგი უგულავა მათ რაიმე დანაკარგების ალბათობის გამოსარიცხად ბიუჯეტით მომსახურებას სთავაზობს. ანუ, თუკი დღემდე სრულიად აღურიცხავი და დაუსაბუთებელი სოციალური სუბსიდია მხოლოდ ყვითელი ავტობუსებისაკენ მიექანებოდა, მომავალში თანხა გადაირიცხება სამარშრუტო ხაზების მფლობელთა ანგარიშებზეც.

ხელისუფლების პოლიტიკა ნათელია – იტყვიან, რომ პენსიონერები, სკოლის მოსწავლეები და კიდევ რამდენიმე კატეგორიის ადამიანი შეღავათიანი ფასით იმგზავრებს. ეს ადამიანები კმაყოფილი იქნებიან, მოგებული კი – მხოლოდ კორუფციული პირამიდის თავში მდგომი პირები, ვინაიდან კომპანიას ვირტუალურ ზარალს ისევ თბილისელები, იგივე პენსიონერების შვილები და სკოლის მოსწავლეების მშობლები აუნაზღაურებენ, თანაც ისე, რომ (როგორც ყვითელი ავტობუსების შემთხვევაში) არავის ეცოდინება, რამდენი ადამიანი სარგებლობს რეალურად იმ შეღავათით, რომლის სანაცვლოდაც ჩვენ – ყველა დანარჩენი თბილისელი – ექვსასი ათას ადამიანზე ვიხდით სუბსიდიას.

ამ გზით ბიუჯეტიდან არამიზნობრივად დახარჯული თანხის ზუსტი ოდენობა არ ვიცი. მაგრამ ის კი ვიცი, რომ არც ჩემს პენსიონერ დედას და არც სკოლის მოსწავლე შვილს ბოლო წლების მანძილზე არც ერთხელ ყვითელი ავტობუსით არ უსარგებლია, მათი შეღავათიანი მგზავრობისათვის სუბსიდიას კი ყოველდღიურად ნამდვილად ვუხდი ყვითელი ავტობუსების კომპანიას. ხვალიდან კიდევ დამატებით გადავუხდი ფულს „ჯი-ემ-სი ჯგუფის“ მილიონერ დამფუძნებლებს. მიმღები კი ორივე შემთხვევაში თბილისის მერია და „ნაციონალური მოძრაობაა“.

მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან მოითხოვა ელიტარული კორუფციის ფაქტები. „მითხარით, ჩემი გუნდიდან ვინ მდიდრდება ხალხის ხარჯზე, „ა“-ს „ბ“-ც უნდა მოაყოლოთო“. ესეც „ბ“ ბატონო პრეზიდენტო. ორ-სამ დღეში „გ“-ც იქნება, შემდეგ „დ“ მოჰყვება, და მერე „ჰაე“-ც...

ჯიპიაი
ვენის საფაზღვევო ჯგუფი

საჭესთან
ქალია

მხოლოდ ქალბატონებისთვის!!!
მხოლოდ მარტში!
ავტომობილის დაზღვევის
ექსკლუზიური პირობები!
სრული პაკეტი—3,5%-ად!
საჩუქრად მქამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა

505 111
www.gpih.ge

სამარშრუტო ტაქსების გაჩერება ელბაქიძის დაღმართზე, თბილისი 2011

ფოტო: თეგი ბარიგაბაშვილი

სამარშრუტო ტაქსები

შეწყვეტილი გაფიცვა

სამარშრუტო ტაქსების ერთდღიანი გაფიცვის შემდეგ, ტენდერით უკმაყოფილების მიუხედავად, მძღოლებმა საპროტესტო აქცია შეწყვიტეს.

ნინო რობაქიძე

სანზონა-საბურთალოს ხაზის სამარშრუტო ტაქსის მძღოლი მინდია მახარაძე 26 თებერვალს ფალიაშვილის ქუჩაზე მისთვის სრულიად მოულოდნელად დააკავეს. როგორც ადვოკატი, ნათია კორკოტაძე და ოჯახის წევრები აცხადებენ, მინდია მახარაძე დაკავების წინა დღეს სამარშრუტო ტაქსების მძღოლების მიერ ორგანიზებულ გაფიცვაში მონაწილეობდა.

25 თებერვლის დილით ქალაქში გამოსული მგზავრები საათობით ელოდნენ სამარშრუტო ტაქსებს. მალე გავრცელდა ცნობა, რომ სამარშრუტო ტაქსების მძღოლების უმრავლესობა გაფიცული იყო. ეს პირველი შემთხვევაა, როცა თბილისში ერთი პროფესიის ადამიანები სოლიდარულად გაიფიცნენ.

„ჩვენ ვაპროტესტებთ ტენდერს,

რომელიც მერიამ ჩაატარა და რომლის გამარჯვებული კომპანიები გვიძვირებენ გადასახადს, რომ მერე ჩვენგან ამოღებული ფულით ის მანქანები იყიდონ, რომლის შესყიდვის ვალდებულებაც აიღეს", – აცხადებდნენ გაფიცული მძღოლები. ისინი ვარდების მოედანზე შეიკრიბნენ და აქციის დაშლას მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე არ აპირებდნენ.

„ძალიან კარგია, რომ გაიფიცნენ მძღოლები! დღეს გამიჭირდება, მაგრამ მათ ჩვენც სოლიდარობას ვუცხადებთ!" – ამბობდა ხნიერი ქალბატონი, რომელიც იმის გამო, რომ ქალაქში სამარშრუტო ტაქსები აღარ დადიოდნენ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისათვის საჭირო პლასტიკური ბარათის რიგში ნახევარ საათზე მეტ ხანს იდგა. ამ დღეს საზოგადოებრივ ტრანსპორტში მართლაც განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო. ქალაქის მერიამ დამატებითი ავტობუსები გამოიყვანა, თუმცა, ქალაქის სატრანსპორტო პრობლემის მოსაგვარებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

მძღოლების მოთხოვნებს იმ დღესვე გამოეხმაურა მერიის სატრანსპორტო სამსახური და გადასახადების მომატება უარყო. ნაციონალური მაუწყებლების საინფორმაციო გამოშვებებში რამდენჯერმე გააკეთეს განცხადება მერიის ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენლებმაც, რომლებიც მძღოლებს სამუშაო ადგილების შენარჩუნებას ჰპირდებოდნენ.

მიუხედავად ამ განცხადებებისა, მძღოლების თქმით, ისინი აქციას რამდენიმე დღის განმავლობაში არ შეწყვეტდნენ. თუმცა უკვე 26 თებერვალს დილით ქალაქში სამარშრუტო ტაქსების ნაწილი ჩვეულებრივ გამოვიდა სამუშაოდ.

„დღეს დილით მოვიდნენ ჩვენთან ბირჟაზე პატრულები და გვითხრეს, რომ ყველას გვემუშავა. ზოგი უმანქანოდ ვიყავით გამოსული იმიტომ, რომ გაფიცვა იყო და არ წავედით მაინც სამუშაოდ, ზოგი წავიდა, ალბათ შეეშინდათ," – ამბობს „ლიბერალთან" საუბარში №17 სამარშრუტო ტაქსის ერთ-ერთი მძღოლი.

გაფიცვის პირველი დღის შემდეგ მძღოლებში მალევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მათი რამდენიმე კოლეგა დააკავეს. ბევრი სამუშაოდ სწორედ ამის გამო გავიდა: „რა ვქნა, სამი შვილი მყავს. ჯერ ისე რას ვაკეთებ, ახლა ციხეში ნაღდად ვერ ჩავჯდები, ესენი მაინც თავისას გაიტანენ," – ამბობს სამარშრუტო ტაქსის მძღოლი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

25 თებერვლის აქციის შემდეგ, მინდია მახარაძესთან ერთად, სამარშრუტო ტაქსების კიდევ 4 მძღოლი დააკავეს. მათ ბრალად პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა ედებათ. მძღოლებს ადმინისტრაციული კოდექსის 173-ე მუხლის თანახმად 7-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს. ადვოკატის განცხადებით, მინდია მახარაძე მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორშია და იქ მასთან ერთად №40 სამარშრუტო ტაქსის ერთი მძღოლი იმყოფება.

25 თებერვლის საღამოს პოლიციამ კიდევ ორი მძღოლი დააკავა, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა 25 დღით მიუსაჯეს.

ამავე დღეს ერთ-ერთმა გაფიცულმა მძღოლმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ პოლიციამ შელაპარაკების გამო მისი 20 წლის ვაჟი სამარშრუტო ტაქსის გაჩერებაზე დააკავა.

იმ ხუთი მძღოლის გარდა, რომლებსაც შვიდდღიანი პატიმრობა პოლიციის დაუმორჩილებლობისთვის შეეფარდათ, გაფიცვის მონაწილეებიდან დაკავებულია კიდევ ათი სამარშრუტო ტაქსის მძღოლი. რვა მათგანის პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში 25 თებერვალსვე, ღამის 01:00 საათზე დაიწყო და დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა. ამ მძღოლებს ბრალად ედებოდათ ადმინისტრაციული კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა – წვრილმანი ხულიგნობა და სასამართლომ მათ ადმინისტრაციული სასჯელი – 30 დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

დაკავებულები აცხადებენ, რომ მათ შელაპარაკება მოუვიდათ სრულიად უცნობ ადამიანთან, რომელიც №10 სამარშრუტო ტაქსის ტრაფარეტიანი ავტომანქანით მოძრაობდა ხაზზე, თუმცა ამ მძღოლს №10 ხაზის სხვა არც ერთი მძღოლი არ იცნობდა. „კონსერვატიული პარტიის" წევრის, ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, დაკავებულ მძღოლებს ყალბ ჩვენებებზე ძალდატანებით მოაწერინეს ხელი.

25 თებერვლის საღამოს საათებში პოლიციამ სამარშრუტო ტაქსების კიდევ ორი მძღოლი დააკავა – გია ლიმიშვილი და გიორგი კულიევი, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა 25 დღით მიუსაჯეს. მათ მიერ წაყენებული ბრალდება ჯერჯერობით უცნობია. 25 თებერვალსვე ერთ-ერთმა გაფიცულმა მძღოლმა გოჩა სხირტლაძემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ პოლიციამ შელაპარაკების გამო მისი 20 წლის ვაჟი ლადო სხირტლაძე ნაძალადევის რაიონში №122 სამარშრუტო ტაქსის გაჩერებაზე დააკავა.

მიუხედავად იმისა, რომ ტენდერის შედეგების გაუქმების მოთხოვნაზე სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა უარი მიიღეს, ისინი აქციას აღარ მართავენ. 26 თებერვლის შემდეგ ქალაქში სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა აღდგენილია. ხაზზე მოძრაობს ყველა მძღოლი, რომელიც გაფიცვის შემდეგ არ დაუჭერიათ.

საბანკო კრედიტი

ეჯასჩავად, თქვენ შემოსავალი ეჩ ბყოფნით

საქართველოში ბანკებიდან სესხის აღება საშუალო და დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის ხელმიუწვდომელია. არადა, ქვეყნისთვის, რომელიც საბაზრო ეკონომიკას აშენებს, მცირე და საშუალო საქმიანობის ხელშეწყობა და გაფართოება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

კახა ჯავახიშვილი

საქართველოში, კრედიტი მიმზიდველი მხოლოდ ბანკების ვებგვერდებზე და რეკლამებში ჩანს, ისიც მხოლოდ იპოთეკური სესხები. მაგალითად, ერთ ბანკს ასეთი შემოთავაზება აქვს – იპოთეკური სესხები, მაქსიმუმ, წლიურ 14 პროცენტში (ლარში), მეორე ბანკი ასეთ სესხს 13 პროცენტიდან (აშშ დოლარში) გასცემს, მესამე – 12 პროცენტიდან (აშშ დოლარში) და ა.შ.

სინამდვილეში, სურათი მთლიანად იცვლება, როცა ადგილზე მიხვალთ და ე.წ. კრედიტ-ოფიცერს გაესაუბრებით.

ზემოთ დასახელებული „საწყისი საპროცენტო განაკვეთებიდან“ ვაჭრობა კრედიტორსა და კრედიტ-ოფიცერს შორის მაშინ იწყება, თუ კრედიტორის მინიმალური წმინდა შემოსავალი 400 აშშ დოლარის ეკვივალენტია ლარებში (ერთი „პრესტიჟული“ ბანკი მინიმალურ წმინდა შემოსავლად 950 ლარს ითხოვს). ამის შემდეგ დაახლოებით 5-8 დამატებითი მოთხოვნაა – სესხის მიზნობრიობა, რომელ ბანკში გერიცხება ხელფასი, საკუთარი შემოსავლის წყარო ერთია თუ ორი და ა.შ – და თუ მათ იდეალურად არ აკმაყოფილებ, საწყის საპროცენტო განაკვეთს ყოველ დამატებით კრიტერიუმზე 1 პროცენტი ემატება.

ხშირად კურიოზული სიტუაცია იქმნება. ვთქვათ, წმინდა შემოსავლის მინიმალურ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებ, მაგრამ სესხად ასაღებ თანხას, რომელსაც დაფარვის სიხშირის მიხედვით ბანკში თვეებზე გადაგინაწილებენ, თქვენი წმინდა ხელფასი დაახლოებით 4-ჯერ აღემა-

ტება. ამავე დროს, სესხად ასაღებ თანხაზე 7-8-ჯერ დიდია საუზრუნველყოფო უძრავი ქონება. ასეთ შემთხვევაშიც ბანკის წარმომადგენლები ღიმილით გეუბნებიან – „ბოდიში, მაგრამ თქვენ შემოსავალი არ გყოფნით“.

შემდეგ, ეძებ ვარიანტებს – ბანკს სთავაზობ ოჯახის სხვა წევრის შემოსავლის, ან თანამშრომლის/ნათესავის ხელფასის დამატებას და ა.შ. თუ თანხმობაზე წამოვიდნენ, საპროცენტო განაკვეთი მაღლა და მაღლა იწევს და ყველაზე კარგ შემთხვევაში, შეიძლება, საბოლოოდ წლიურ 20 პროცენტზე გაჩერდეს.

ზე. მაგალითად, თუ კრედიტორი ახალადშექმნილი ოჯახია, საწყისი საპროცენტო განაკვეთი 10.5%-დან იწყება და კრედიტის მაქსიმალური თანხა შეადგენს გირაოში დასატვირთი ქონების 30%-ს. არ არის დაწესებული მინიმალური შემოსავლის დონე. მაგრამ, საჭიროა გირაოს ქონების და კრედიტორის სიცოცხლის დაზღვევა. მთლიანობაში საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა, მაქსიმუმ 15%-ზე ავიდეს. პირგასამტეხლო კი მხოლოდ 0.5%-ია, რომელიც გადაიხდება დარჩენილი თანხიდან.

მიუხედავად იმისა, რომ კომერციული

„იპოთეკური სესხები, მაქსიმუმ, წლიურ 14 პროცენტში“ – სინამდვილეში, სურათი მთლიანად იცვლება, როცა ადგილზე მიხვალთ და კრედიტ-ოფიცერს გაესაუბრებით.

სესხის აღების შემდეგ, თუ გადაწყვიტე, დროზე ადრე დაფარო სასესხო ვალდებულება, პირგასამტეხლოს გადახდა მოგიწევს – 1-7 პროცენტის ფარგლებში (რანჟირებულია ბანკების მიხედვით).

ბანკის მენეჯერები მაღალ პირგასამტეხლოს ორი მიზეზის გამო ითხოვენ. პირველი – თავიდან რომ არ ეძებონ ახალი კლიენტები და მეორე – რომ მათ კლიენტს სხვა ბანკში უფრო დაბალ პროცენტში სესხის აღების სურვილი არ უნდა გაუჩნდეს.

საქართველოზე ბევრად უკეთ გამოიყურება იპოთეკური სესხის აღების პირობები სომხეთის საკრედიტო ბაზარ-

ბანკების უმრავლესობა 100%-იან კერძო საკუთრებაშია, საქართველოს საბანკო სისტემა არაკონკურენტული და არაეფექტიანია. ამაზე ისიც მიუთითებს, რაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს მოხდა: 2009 წელს, საქართველოში, ყველაზე მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში, ბანკებმა სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ნაცვლად, ის პირიქით, დაახლოებით 4.0 პროცენტით (22.4%-მდე) გაზარდეს. ეს იმ დროს, როცა ინფლაცია 3.0 პროცენტი იყო და როდესაც, ამავე პერიოდში, თითქმის მთელ მსოფლიოში საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია იყო.



ლიბერალი

სპეციალური შეთავაზება

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით, გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ თქვენი ჟურნალი ყოველ ორშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: (899) 48 62 41 ან მოგვაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: subscribe@liberali.ge

ჯონ გალიანოს "თვითმკვლელობა"

შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო ბრიტანელ დიზაინერს პატიმრობა ემუქრება.

თამარ ალავიძე

მილანის 2011 წლის შემოდგომა-ზამთრის მოდის კვირეული სკანდალის ფონზე წარიმართა: ცნობილი ბრიტანელი დიზაინერის – ალექსანდერ მაკქვინის თვითმკვლელობიდან ერთი წლის თავზე, კიდევ ერთმა ბრიტანელმა დიზაინერმა ჯონ გალიანომ დაასრულა „თვითმკვლელობით" თავისი კარიერა.

1 მარტს Christian Dior-ის სახლმა გამოაქვეყნა გადაწყვეტილება, სადაც ნათქვამი იყო, რომ მაღალი მოდის ლეგენდარული სახლი ჯონ გალიანოს კრეატიული დირექტორის თანამდებობიდან ათავისუფლებს.

ეს რადიკალური ნაბიჯი Dior-ის მენეჯმენტს მობილური ტელეფონით გაკეთებულმა ვიდეო-ჩანაწერმა გადაადგმევინა. ვიდეოში კარგად ჩანს, როგორ ესაუბრება ჯონ გალიანო კაფეში გვერდით მაგიდასთან მსხდომებს. „მე მიყვარს ჰიტლერი", – ამბობს გალიანო, რომელიც აშკარად არაფხიზელია. „თქვენ, ებრაელები, არც ერთი ცოცხალი არ იქნებოდით, თქვენი მშობლები, წინაპრები, ყველანი გაზის კამერებში უნდა დახოცილიყვნენ," – აგრძელებს ის და ბოლოს მოსაუბრეს დემონსტრაციულად აქცევს ზურგს, – „ჰო, პრობლემა მაქვს. ჩემი პრობლემა შენ ხარ – მახინჯი ხარ".

რამდენიმეწამიანი ვიდეო, რომელიც ბრიტანული ტაბლოიდი ვებგვერდის მეშვეობით 28 თებერვალს გავრცელდა, 2010 წლის დეკემბერშია გადაღებული.

„ჩვენ ერთმნიშვნელოვნად ვგმობთ ჯონ გალიანოს განცხადებებს, რომლებიც სრულიად ეწინააღმდეგება Christian Dior-ის სახლის მრავალწლიან ღირებულებებს", – აღნიშნავს „დიორის" აღმასრულებელი დირექტორი სიდნი ტოლედანო საჯარო განცხადებაში.

Dior-ის მიერ გალიანოს „მოკვეთა" ამ სახლის ერთ-ერთი „სახის", ნატალი პორტმანის კატეგორიულმა განცხადებამაც დააჩქარა. ოსკაროსანი მსახიობი საერთაშორისო მედიასთან საუბარში აცხადებს: „ღრმად შოკირებული და შეძრწუნებული ვარ ვიდეოჩანაწერით ...როგორც პიროვნებას, რომელიც ამაყობს საკუთარი ებრაული წარმომავლობით, არ მსურს რაიმე ფორმით ვიყო დაკავშირებული ჯონ გალიანოსთან".

„გალიანოს სკანდალი" 24 თებერვალს დაიწყო. ამ დღეს ჯონ გალიანო პარიზის კაფე „La Perle"-ში პარიზის პოლიციამ დააკავა. როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, ექსცენტრიკულმა დიზაინერმა გვერდით მაგიდასთან მსხდომ 35 წლის ჟერალდინ ბლოჰს და მის 41 წლის მეგობარს ფილიპ ვირგიტის რასისტული და ანტისემიტური გამონათქვამებით შეურაცხყოფა მიაყენა. დაკავებიდან მეორე დღესვე Christian Dior-ის სახლმა უფლებამოსილება შეუჩერა გალიანოს, თუმცა მისი თანამდე-

ვიდეოში კარგად ჩანს, როგორ ესაუბრება ჯონ გალიანო კაფეში გვერდით მაგიდასთან მსხდომებს: „მე მიყვარს ჰიტლერი".

ბობიდან გაშვების საკითხი ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი.

გალიანოს საქმე მას შემდეგ დამძიმდა, რაც შაბათს, 26 თებერვალს პარიზის პოლიციას 48 წლის ქალბატონმა მიმართა. ის ამტკიცებდა, რომ გასული წლის ოქტომბერში გალიანომ ანტისემიტური გამონათქვამებით მასაც მიაყენა შეურაცხყოფა. თუმცა Christian Dior-ის ხელმძღვანელობას საბოლოო გადაწყვეტილება ვერც ამ ახალმა გარემოებამ მიაღებინა.

კიდევ ერთი ინციდენტის ამსახველმა ვიდეო ჩანაწერმა კი ყველაფერი შეცვალა. ჯონ გალიანოსა და Christian Dior-ის გზები სამუდამოდ გაიყარა.

ცნობილი ბრიტანელი დიზაინერი Christian Dior-ის სახლის კოლექციებს 15 წლის განმავლობაში ქმნიდა. 1996 წლიდან დღემდე, მოდის კრიტიკოსების აზრით, მან დახვეწილ, კონსერვატიულ ფრანგული მოდის სახლს ახალი იმიჯი და დიდძალი ფინანსური წარმატება შესძინა. ამ სახლის კლიენტები არიან საფრანგეთის პირველი ლედი, განსაკუთრებული გემოვნებით ცნობილი კარლა ბრუნი, მსოფლიო ვარსკვლავების უმრავლესობა, ასევე, რამდენიმე სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ქალბატონი. ჯონ გალიანოს კლიენტი და მეგობარი, მსახიობი ნიკოლ ქიდმანი გალიანოს მხარდასაჭერად ოსკარების ნომინაციაზე მისი შექმნილი კაბითაც კი გამოცხადდა. (თუმცა ეს ვიდეოჩანაწერის გამოქვეყნებამდე იყო).

საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მეუღლე კარლა ბრუნი

გიბრალტარში დაბადებულმა და სენ-მარტინის პრესტიჟული სასწავლებლის კურსდამთავრებულმა, ექსცენტრულმა და გამორჩეულად ნიჭიერმა გალიანომ საკუთარი ხაზის პირველი ჩვენება 1984 წელს გამართა. 1987, 1994 და 1997 წლებში ის წლის საუკეთესო ბრიტანელი დიზაინერის ჯილდოს მფლობელი გახდა. 1995 წელს მან Givenchy-ის სახლის კრეატიული დირექტორის ადგილი დაიკავა და ფრანგული მაღალი მოდის ისტორიაში პირველი ბრიტანელი ხელმძღვანელი გახდა.

როგორც გალიანოს ადვოკატი სტეფან ზერბიბი აღნიშნავს, თავად გალიანო კატეგორიულად უარყოფს რასისტულ და ანტისემიტურ განცხადებებს. ადვოკატმა წარმოადგინა კაფეში იმ დროს მყოფი 4 ადამიანის ჩვენება, რომლებიც ადასტურებენ, რომ დიზაინერის მხრიდან მსგავს განცხადებებს ადგილი არ ჰქონია.

უახლოეს დღეებში პარიზის პროკურატურა მიიღებს გადაწყვეტილებას, წარდგება თუ არა გალიანო სასამართლოს წინაშე 24 თებერვალს კაფეში მომხდარი ინციდენტის გამო, თუმცა დაზარალებული წყვილის ბრალდების მხარდასაჭერად მოწმე არ არსებობს და შესაძლოა ეს საკითხი დიზაინერის სასარგებლოდაც კი გადაწყდეს. თუმცა ვიდეოჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ გალიანოს კარიერის დასასრული უკვე დანამდვილებით დადგა.

ბედნიერების ძიებაში

არის თუ არა ბედნიერება თანდაყოლილი ნიჭი, თუ მისი, როგორც რიგითი უნარის, გამომუშავებაც შეიძლება?

ეკა ჭითანავა

„56 წლის ვიყავი, როცა გავკოტრდი. სახლიც დავკარგე და მთელი ქონებაც. თითქოს, ყველაფერი თავზე დამექცა. მე და ჩემმა მეუღლემ პირადი ნივთები ყუთებში ჩავაწყვეთ და მოცუცქნულ, ერთოთახიან ბინაში გადავედით. სტრესმა და განცდებმა ავად გამხადა, ცხოვრება აზრს კარგავდა. მაგრამ ერთ დღეს გავიღვიძე და ვთქვი, რომ რაღაც უნდა შემეცვალა. მაშინ გავიგე ამ საოცარი ტრენინგის შესახებ...

ახლა ქალაქგარეთ საკუთარი მიწის ნაკვეთი და სახლი გვაქვს, ჩვენი ფანჯრებიდან გოლფის მწვანე, ბიბინა მდელო მოჩანს. აღარც ჯანმრთელობას ვუჩივი, ენერგიით სავსე ვარ და ვტკბები იმის წარმოდგენით, რომ ყველაფერი მაქვს, რაზეც მანამდე არც ვოცნებობდი. 65 წლის იუბილე კანადის გზებზე ქროლვით აღვნიშნე – მე და ჩემმა მეუღლემ ველოტური მოვაწყვეთ და 75 წლის იუბილეზეც იმავეს ვგეგმავთ. 70 წლის ასაკში კილიმანჯაროც კი დავლაშქრე. ჩვენი ჯგუფიდან მწვერვალს პირველი მე მოვექეცი.

ძვირფასო, ჯონათან და ჯენეტ, მთელი გულით გმადლობთ იმისთვის, რომ მასწავლეთ, როგორ მექცია ეს ყველაფერი რეალობად“, – საუკეთესო სურვილებით, თქვენი იზაბელ შირდაუნი.

ჯონათან და ჯენეტ კრამერები, რომელთაც ეს ქალბატონი უხდის მადლობას, მთელ კანადაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წყვილია. მათი კომპანია უკვე 20 წელია, არსებობს და ამ დროის განმავლობაში 25 000 ადამიანი გააბედნიერა.

DynaMIND Inc – ასე ჰქვია კრამერების მიერ 1981 წელს დაარსებულ კომპანიას. იგივე სახელწოდება აქვს მათ მიერ შედგენილ „გაბედნიერების“ მთავარ კურსსაც. ეს კურსი, ერთი მხრივ, ტრენერი ცოლ-ქმრის იუმორზე, უშუალო და არაფორმალურ ურთიერთობაზე, მუსიკალურ და პოეტურ ფორმებზეა აგებული, მეორე მხრივ კი, ადამიანების ქცევისა და ფსიქიკის შესახებ ყველაზე თანამედროვე სამეცნიერო კვლევებს ეყრდნობა.

კრამერების კლიენტები სწავლობენ: როგორ გახდნენ უფრო ჭკვიანები,

უფრო გამბედავები, როგორ დააპროგრამონ გონება პოზიტიურად. კრამერებთან ინდივიდუალურადაც მიდიან და ოჯახიანადაც, ბავშვებიც დაჰყავთ და კორპორატიული მომსახურების პაკეტსაც იღებენ. მაგალითად,

DynaMIND-ის 75-მდე კორპორატიულ კლიენტს შორის არიან: „კოდაკი“, „იკეა“, „ჰიულეტ პაკარდი“. როგორც თავად ცოლ-ქმარი ამბობს: DynaMIND-ი ყველასთვისაა 12-დან 112 წლამდე.

მათი კომპანიის სახელწოდება კი – DynaMIND-ი, სავარაუდოდ, სიტყვებით თამაშია და მეორე ინგლისურ სიტყვასთან Dynamite-თან (დინამიტი) არის კავშირში. ეს პირდაპირი მინიშნებაა – ცოლ-ქმარი თავიანთი კლიენტების გონებასა და „უაზრო არსებობას“ დინამიტივით აფეთქებს.

კრემერები გონებას ტყუილად არ ახსენებენ. ყველაზე მთავარი, რაც ამ 25 ათასმა ადამიანმა ტრენინგზე ისწავლა, არის ის, რომ ბედნიერება განყენებული მდგომარეობა არაა. ის გონების ვარჯიშით ხელშესახები ხდება:

„გონება კუნთივითაა, რაც უფრო მეტად ავარჯიშებ მას, მით უკეთ აკონტროლებ მის მუშაობას“, – ახლა უკვე დაბეჯითებით ამტკიცებს DynaMIND-ის „კურსდამთავრებული“, ბლოგერი და მოგზაური პიტ მაქსველი.

არადა, კრამერების კომპანიის დაფუძნებამდე სულ რამდენიმე წლით ადრე მეცნიერება თითქმის არ აღიარებდა კვლევებს ადამიანის პოზიტიური განცდებისა და მდგომარეობის შესახებ. ჯერ კიდევ 1979 წლამდე, ფსიქოლოგიის უმთავრესი ინტერესის საგანი იყო ის, რაც ადამიანებს აავადებს, თრგუნავს და სასოწარკვეთილს ხდის: დეპრესია, ნევროზი, პარანოია. ამ კვლევების მიზანი იყო, პაციენტებს ნეგატიური ემოციებისგან დაცლასა და განკურნებაში დახმარებოდნენ.

თუმცა, თანდათან მეცნიერებმა ადამიანის ფსიქიკაზე დაკვირვებისას ბედნიერების გამოკვლევის მნიშვნელობაც აღიარეს.

„მივხვდი, რომ საკითხი უნდა დაგვესვა ასეც – რა არის ის პოზიტივი, რაც ადამიანებს წინსვლასა და წარმატებაში ეხმარება?“ – ეს კითხვა პირველად პენსილვანიის უნივერსიტეტის მკვლევარმა მარტინ სელიგმანმა დასვა. დღეს, მეცნიერებაში უკვე არის მიმართულება, რომელსაც პოზიტიური ფსიქოლოგია ჰქვია. იგი ადამიანის ბუნების დადებით მხარეებს იკვლევს და ძვირადღირებული და გრძელვადიანი ექსპერიმენტებით დღემდე უტრიალებს კითხვებს:

– რა კონკრეტულ ფაქტორებზეა დამოკიდებული ადამიანის ბედნიერება?

– არის თუ არა ეს თანდაყოლილი ნიჭი, თუ მისი, როგორც რიგითი უნარის, გამომუშავებაც შეიძლება?

– რა ხდება ადამიანის ტვინში, როცა ის ბედნიერია?

ამ უკანასკნელ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვისკონსინის უნივერსიტეტის ფსიქოლოგმა რიჩარდ დევიდსონმა თავის ლაბორატორიაში 2004 წელს ექსპერიმენტი ჩაატარა.

ვიდრე ბუდისტი ბერი მედიტაციას დაიწყებდა, დევიდსონმა მას თავზე 128 სენსორიანი მოწყობილობა დაუმაგრა, რომლის საშუალებითაც ტრანსის დროს ბერის ტვინში ელექტროდების მოძრაობას აკვირდებოდა. აღმოჩნდა, რომ როცა ბერი ტრანსის მდგომარეობაში შევიდა, ელექტროდებმა განსაკუთრე-

ჰობოჰ მივაღნიოთ ბედნიერებას

მომავლის ვიზუალიზაცია

ვიზუალიზაცია ეფექტიანი გზაა კონკრეტული მიზნების მისაღწევად. კვლევები ადასტურებს, რომ პოზიტიურ განწყობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ტვინის ბიოქიმიაზე. ბევრი ფსიქოლოგი თავის პაციენტს ურჩევს, წარმოიდგინოს მომავლის სასურველი

სურათი, მაგალითად, სახლი რომელშიც იცხოვრებდა, სამუშაო, რომელსაც შეასრულებდა. როცა თვალს ხუჭავთ, და მომავალს წარმოიდგენთ, ტვინმა არ იცის, ეს რეალობაა თუ არა, თქვენ გიჩნდებათ შეგრძნება, რომ მიზანს უკვე მიაღწიეთ, ეს თავდაჯერებულობასაც გმატებთ და მიზანთანაც უფრო გაახლოებთ.

ბედნიერი ქორწინება

ვორვიკის უნივერსიტეტის მკვლევარები ამბობენ, რომ თუკი თქვენი მეორე ნახევარი ბედნიერია, დიდი შანსია, რომ თქვენც იყოთ ბედნიერი, ანუ ბედნიერება ისევე, როგორც მატერიალური ქონება, ხშირად თანაზიარია.

ბალანსი

2003 წელს მიჩიგანის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ის ადამიანები, რომლებიც დროის გარკვეულ ნაწილს ოჯახს უთმობენ, უფრო ბედნიერად გრძნობენ თავს, ვიდრე ისინი, ვისაც ამისთვის დრო არ რჩება. მეცნიერები ამბობენ, რომ სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის პოვნა ადამიანის ბედნიერებაზე პოზიტიურ გავლენას ახდენს.

ცხოვრების არსი

ცხოვრების არსის გაცნობიერება ბედნიერების აუცილებელი კომპონენტია. ზოგი მას რელიგიაში პოულობს, ზოგი ფილოსოფიაში და ზოგიც მატერიალურ სფეროში. გრძელვადიანი მიზნების დასახვა ადამიანებს ბედნიერების მიღწევაში ეხმარება.

მუსიკა

მუსიკა ააქტიურებს ტვინის იმ ნაწილს, რომელსაც შეუძლია თქვენში ბედნიერების შეგრძნება გააღვიძოს. ისევე, როგორც სექსის ან ჭამის დროს, მუსიკის მოსმენისას ტვინში გამოიყოფა ქიმიური ნივთიერება ენდორფინი. მუსიკა ხელს უწყობს სხეულის რელაქსაციას და ტვინსაც ასვენებს. კვლევამ აჩვენა, რომ მოზრდილებს, რომლებიც თვალის ოპერაციისას მუსიკას უსმენენ, გულისცემა და წნევა ურეგულირდებათ.

ბული სისწრაფით დაიწყეს მოძრაობა.

დევიდსონმა დაასკვნა, რომ ტვინის ქერქის მარცხენა პრეფრონტალურ ნაწილში ელექტროდების აქტივობა ბედნიერების ერთ-ერთი მაჩვენებელია. შესაბამისად, ამ ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ბედნიერება ტვინის ფიზიკური მდგომარეობაა, რომელსაც ხელოვნურად, მაგალითად, ტრანსის საშუალებით შეიძლება, მიაღწიო.

1996 წელს ქცევის გენეტიკის ამერიკელმა სპეციალისტმა, დევიდ ლიკენმა გამოაქვეყნა 4 ათას ტყუპისცალზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები და დაასკვნა, რომ იქნება თუ არა ადამიანი ცხოვრებით კმაყოფილი, ამას 50 პროცენტით მისი გენეტიკა განსაზღვრავს. ხოლო ისეთი გარემო ფაქტორები, როგორიცაა, ფინანსური შემოსავალი, ქორწინება, რელიგია, განათლება – ბედნიერებას მხოლოდ 8 პროცენტით განაპირობებს.

ლიკენის თეორიის მიხედვით, გენებს იმდენად დიდი გავლენა აქვს ადამიანზე, რომ როგორი მოვლენებიც არ უნდა ჭარბობდეს მის ცხოვრებაში – ცუდი, კარგი, შესანიშნავი, თუ გამანადგურებელი – გარკვეული პერიოდის შემდეგ ის ბედნიერების იმავე ნიშნულს უბრუნდება, რაც გენეტიკურად თან დაჰყვა. მისი მტკიცებით, „ეცადო, იყო ბედნიერი, ისეთივე ფუჭია, როგორც ეცადო, სიმაღლეში გაზრდას“. ზუსტად რვა წლის შემდეგ მეცნიერმა თავისი სიტყვები უკან წაიღო. ლიკენმა ბოდიში მოიხადა და აღიარა, რომ ბედნიერების დოზების შეცვლა ადამიანს თავისუფლად შეუძლია. ლიკენის ეს განცხადება დაემთხვა პოზიტიური ფსიქოლოგიის მთავარ კონცეფციასაც, რომლის მიხედვითაც, გენეტიკა მართლაც არის მთავარი ფაქტორი და „დაბადებისთანავე ბედნიერი ან უბედური ტვინებიც“ არსებობს, ამავდროულად, ადამიანს შესწევს უნარი, ხელოვნური ჩარევის შედეგად შეცვალოს თანდაყოლილი გენეტიკური კოდი.

ფსიქოლოგები, რომლებიც საკუთარი პაციენტების თვითშეფასების ამაღლებასა და მათ გაბედნიერებაზე ზრუნავენ, ხშირად იმეორებენ, რომ თითოეული ადამიანი გენიოსის პოტენციით იბადება, მაგრამ გენიოსი ვერ ხდება. ეს იმიტომ, რომ მის უნარს, იოლად, სიამოვნებით მიიღოს სიახლეები და ისწავლოს, სასკოლო განათლების სისტემა და ხშირად მკაცრი მშობლებიც კი ახშობენ. იგივე ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ასეთმა მშობლებმა გაუცნობიერებლად შეიძლება შვილის „ბედნიერების“ გენეტიკური კოდიც შეცვალონ.

გარემოსა და ოჯახს ადამიანის ბედნიერების გენეტიკური კოდის შეცვლა მხოლოდ 16 წლამდე შეუძლია. შემდეგ მან უკვე თავად უნდა აღადგინოს თანდაყოლილი ბედნიერების ბალანსი ან მისი გამომუშავება უნდა ისწავლოს. ეს კი, როგორც მეცნიერები ამბობენ, მხოლოდ საკუთარ თავზე დიდი მუშაობის შედეგად მიიღწევა.

ფსიქოლოგებს დიდი ძალისხმევის დახარჯვა უწევთ იმ პაციენტებზე, რომლებიც ბედნიერებას ეძებენ. უბედური პაციენტების გასამხნევებლად, ე.წ. „ბედნიერების ფორმულასაც“ ხშირად ციტირებენ. ამ ფორმულის მიხედვით, ბედნიერება 50 პროცენტით გენეტიკურად თანდაყოლილი მდგომარეობაა, 40 პროცენტით მას ჩვენი ქცევები განსაზღვრავს, დანარჩენი 10 პროცენტი კი დამოკიდებულია გარემოზე, ცხოვრების წესზე, ოჯახურ მდგომარეობასა და ადამიანის გარეგნობაზე.

„ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორ არიან ადამიანები განწყობილი მომავლისადმი, რას აკეთებენ იმისთვის, რომ აწმყო უკეთესობისკენ შეცვალონ. ბედნიერება იმაშია, რასაც ვაკეთებთ, როგორ ვიქცევით, როგორ აღვიქვამთ ჩვენს ყოველდღიურობას“, – ასკვნის კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარი, სონია ლუბომირსკა.

მეცნიერებმა ის კომპონენტებიც კი ერთ ფორმულად შეკრეს, რითაც ადამიანური ბედნიერება შედგება. ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ ბედნიერების გამოსამუშავებლად საჭიროა სამი ბანალური ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა: 1. ცხოვრებისგან მაქსიმალური სიამოვნების მიღება, 2. საყვარელ საქმეში ბოლომდე დახარჯვა და 3. იმ გზების პოვნა, რითაც ადამიანი საკუთარი ცხოვრების აზრს ჩაწვდება.

"ქალური ბედნიერება"

2005 წელს სამეცნიერო ჯგუფმა ნობელის პრემიის ლაურეატის, პრინსტონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგის – დანიელ კანემანის ხელმძღვანელობით, ბედნიერების გაზომვის ახალი საშუალება მოიგონა – დღის „აღდგენის“ მეთოდი. ექსპერიმენტის მონაწილეები სპეციალურად შედგენილ დღიურს ავსებდნენ, სადაც დეტალურად უნდა ჩაეწერათ, რა გააკეთეს წინა დღეს და იმ მომენტებში განცდილ გრძნობებს (ბედნიერება, მოუთმენლობა, დეპრესიულობა, მწუხარება, დაღლილობა და ა.შ.) შვიდბალიანი შკალით აფასებდნენ.

მკვლევარებმა ეს მეთოდი ტეხასში 900 ქალბატონზე გამოსცადეს და გამაოგნებელი შედეგები მიიღეს. აღმოჩნდა, რომ ამ ქალებისთვის 5 ყველაზე პოზიტიური აქტივობაა: (კლებადობის მიხედვით) სექსი, ურთიერთობა, დასვენება, ლოცვა ან მედიტაცია და ჭამა. მათ დიდად არ ჩამორჩებოდა ვარჯიში და ტელევიზორის ყურება. სიაში თითქმის ბოლო ადგილზე აღმოჩნდა „შვილების მოვლა“, რომელიც საჭმლის მომზადებაზე ნაკლებად პრიორიტეტულადაც კი დაასახელეს.

შედეგებმა მკვლევარები გააკვირვა, რადგან ქალები ბედნიერების მთავარ წყაროდ ხშირად შვილებს ასახელებენ. ჟურნალ „ტაიმის“ 2004 წელს ჩატარებული ერთ-ერთი გამოკითხვისას, ქალების 35 პროცენტმა თქვა, რომ ცხოვრებაში ყველაზე დიდ ბედნიერებას შვილები და შვილიშვილები ანიჭებენ. მეუღლეები პირველ ადგილზე (შვილებზე წინ) ქალების მხოლოდ 9%-მა დააყენა.

პოზიტიური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარი, ედვარდ დიენერი, რომელსაც „დოქტორ ბედნიერებასაც“ კი ეძახიან, ამბობს, რომ ცხოვრებაში არსებობს ორი რამ, რასაც შეუძლია, ადამიანს ბედნიერების განცდის უნარი ხანგრძლივად წაართვას. ესაა მეუღლის გარდაცვალება, ანდა სამსახურის დაკარგვა.

ქვრივი წონასწორობის აღდგენას მხოლოდ 5-8 წლის შემდეგ ახერხებს. საკმაოდ დიდხანს გრძელდება სამსახურის დაკარგვით გამოწვეული სტრესიც. დიენერის თქმით, ამ განცდისგან ადამიანმა შეიძლება, მაშინაც კი ვერ გაითავისუფლოს თავი, თუკი ახალ სამსახურს იშოვის.

სკეპტიკოსები, რომლებიც, ბედნიერების მიღწევის თეორიას ეჭვქვეშ აყენებენ, ხშირად სვამენ კითხვას: ნუთუ მარტოსული ადამიანი შეიძლება გააბედნიეროს „სიკეთის სავარჯიშოების“ ჩატარებამ? შეიძლება წყალწაღებულმა პესიმისტმა ერთ დღესაც გაიღვიძოს, შეხედოს ჭიქას და თქვას, რომ ის ნახევრად ცარიელი კი არა, ნახევრად სავსეა?

ამ სკეპტიციზმს პოზიტიური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები უპირისპირდებიან და ამბობენ – აბსოლუტურად შესაძლებელია, პესიმისტ ადამიანს ჭიქა ნახევრად სავსე მოეჩვენოს. სონია ლუბომირსკა ამბობს: „ერთხელ ოპრა უინფრის ჰკითხეს, როგორ ახერხებს ყოველ დღე 5 მილის გარბენას და მან უპასუხა: „გადაწყვეტილებას, რომ აუცილებლად უნდა ვირბინო, ყოველ დილას ხელახლა ვიღებ“. ბედნიერებაც ასეა. ყოველ დღე თავიდან უნდა გადაწყვიტო, იყო ბედნიერი. დროთა განმავლობაში გაბედნიერების გარკვეული ხერხები ჩვევაში გადავა და ამ სასიამოვნო კონდიციის მიღწევასაც ამდენი ძალისხმევა აღარ დასჭირდება“.

ლუბომირსკა ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტისგან მიღებულ გრანტს იმისთვის იყენებს, რომ ბედნიერების სხვადასხვა სტიმულატორებს მიაკვლიოს. მისი აზრით, ერთ-ერთი ასეთი სტიმულატორი – მადლიერების დღიურის წარმოებაა – დღიურის, რომელშიც ადამიანები ჩაწერენ იმ დეტალებს, რისთვისაც მადლიერები არიან. ლუბომირსკამ კვლევებით დაადასტურა, რომ თუკი ადამიანი საკითხს სერიოზულად მიუდგება და საკმარის ყურადღებას დაუთმობს ასეთი მოვლენების გახსენებას, ექვსი კვირის შემდეგ ცხოვრებით კმაყოფილებას იგრძნობს.

ყოველდღიური მადლიერებისა და სასიამოვნო შეგრძნებების დაფიქსირება უკვე ელექტრონულად, ipone-ის პროგრამა Live Happy-თაცაა შესაძლებელი. ნარინჯისფერ ეკრანზე „სმაილი“ – ღიმილის ყვითელი ნიშანი ჩნდება და სხვადასხვა ალბომებს გიხსნით. ერთში შეგიძლიათ ფოტოები შეინახოთ, მეორეში ჩაწეროთ ცხოვრების მიზნები, მესამეში კი „თქვენი შესაძლო საკუთარი მე“ აღწეროთ. ტრანსპორტში, სამსახურსა თუ აეროპორტში გადაღებულმა ლამაზმა ფოტომ ან იმის გახსენებამ, რომ ორი დღის წინ განსაკუთრებული კომპლიმენტი გითხრეს, განწყობა შეიძლება მომენტალურად გაგიუმჯობესოთ. პოზიტივისტების მტკიცებით, ბედნიერებაც ხომ სწორედ ესაა – ხალისიანი, ოპტიმისტური, ნათელი მომენტების ერთობლიობა.

ბედნიერი ხარ?

ტესტი

ცხოვრებით კმაყოფილების შკალა (The Satisfaction With Life Scale (SWLS)) ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორმა, ედ დინერმა გამოიგონა. ხუთ მარტივ კითხვაზე პასუხის გაცემას სულ რამდენიმე წუთი სჭირდება.
ქვემოთ ჩამოთვლილი განაცხადებების გასწვრივ დაწერეთ შესაბამისი ქულა.

1. ჩემი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი ახლოსაა იდეალურთან
2. ზოგადად, ჩემი ცხოვრების პირობები შესანიშნავია
3. მე ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ
4. ყველაფერი, რაც ამ ეტაპზე ცხოვრებიდან მინდა, უკვე მივიღე
5. სამუდამოდ რომ ვიცოცხლო, არაფერს შევცვლიდი ჩემს ახლანდელ ცხოვრებაში

1	კატეგორიულად არ ვეთანხმები
2	არ ვეთანხმები
3	მთლად ასეც არ არის
4	არც კი, არც არა
5	თითქმის ვეთანხმები
6	ვეთანხმები
7	ნამდვილად ასეა

დააჯამეთ პასუხები:

31–35 ქულა
ბედნიერების დონე: ძალიან კმაყოფილი

თქვენ გიყვართ თქვენი ცხოვრება, იღებთ მისგან სიამოვნებას და საქმე კარგად მიგდით.

26–30 ქულა
ბედნიერების დონე: კმაყოფილი

თქვენ მოგწონთ თქვენი ცხოვრება და მის ბევრ ასპექტს დადებითად აფასებთ.

20–25 ქულა
ბედნიერების დონე: თითქმის კმაყოფილი

ეს საშუალო მაჩვენებელია. თქვენ, ზოგადად, გაკმაყოფილებთ თქვენი ცხოვრება, მაგრამ მისი ბევრი ასპექტის შეცვლას ისურვებდით.

15–19 ქულა
ბედნიერების დონე: ცოტათი უკმაყოფილო

თქვენ პატარა, უმნიშვნელო პრობლემები გაქვთ სხვადასხვა ფლანგზე. შესაძლოა, თქვენი ცხოვრება, ძირითადად, კარგად მიდის, მაგრამ ერთ სფეროში გაქვთ მძიმე და სერიოზული პრობლემა. ცხოვრებისადმი თქვენი მოლოდინების მოდიფიკაცია და მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება დაგეხმარებათ.

10–14 ქულა
ბედნიერების დონე: უკმაყოფილო

თქვენ მნიშვნელოვნად უკმაყოფილო ხართ. ცხოვრების ბევრ ფლანგზე გაქვთ პრობლემები. სასწრაფოდ უნდა შეიცვალოთ დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ. მიმართეთ ფსიქოლოგს, ჩაერთეთ ოპტიმისტურ, აქტიურ საქმიანობაში. უბედურების განცდა თქვენ ნორმალურ ფუნქციონირებაში გიშლით ხელს.

5–9 ქულა
ბედნიერების დონე: ძალიან უკმაყოფილო

თქვენ უბედური ხართ და ამ უბედურების მიზეზი თქვენი ცხოვრებით უკმაყოფილებაა. ბოლო ხანს დაკარგეთ საყვარელი ადამიანი, გაგათავისუფლეს სამსახურიდან, გაქვთ ალკოჰოლიზმის ან სხვა დამოკიდებულების პრობლემა – აუცილებლად უნდა მიმართოთ პროფესიონალ ფსიქოლოგს დახმარებისთვის.

უმაღლესი განათლება და შრომის ბაზარი

ის ჯავშირია დიპლომსა და დასაქმებას შორის?

მომავალი კურსდამთავრებულების კარიერაზე თანმიმდევრული ზრუნვა – ის, რაც დასავლური უნივერსიტეტების ჩვეულებრივი ფუნქციაა, საქართველოს 70 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლიდან უმრავლესობა ვერ ასრულებს.

რუსუდან ფანოზიშვილი

„ზაფხულისთვის პრაქტიკანტ სტუდენტებს ეძებთ? დაგვიკავშირდით. თქვენ შეძლებთ, სრულგანაკვეთიან საზაფხულო პრაქტიკაზე უსასყიდლოდ დაიქირავოთ ჩვენი სტუდენტი, რადგან ხელფასს თქვენ ნაცვლად მას ჩვენი უნივერსიტეტის საკარიერო სამსახური სპეციალური გრანტით გადაუხდის“, – ზაფხულამდე ჯერ სამი თვეა, მაგრამ ბოსტონში, Tufts-ის კერძო ამერიკული უნივერსიტეტი საკუთარი სტუდენტების საზაფხულო დასაქმების პერსპექტივაზე უკვე ზრუნავს.

ამ უნივერსიტეტის გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 50 პროცენტი მიიჩნევს, რომ მათი კარიერის წარმატება, 50-75 პროცენტით, სწორედ Tufts-ში მიღებულმა გამოცდილებამ განსაზღვრა.

მომავალი კურსდამთავრებულების კარიერაზე თანმიმდევრული ზრუნვა დასავლური უნივერსიტეტების ჩვეულებრივი ფუნქციაა, საქართველოს 70 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლიდან უმრავლესობა ვერ ასრულებს.

„არც ჩვენთან, არც სხვაგან, არ გამიგია, რომელიმე უნივერსიტეტს ჰქონდეს სპეციალური სამსახური, რომელიც სტუდენტებს სამსახურის პოვნაში ეხმარება“, – ამბობს 23 წლის თამთა კალატოზიშვილი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლობს.

ზოგადად, უნივერსიტეტები საკუთარ წარმატებად მიიჩნევენ შემთხვევებს, როცა დიპლომის მიღების საზეიმო ცერემონიალიდან ერთი წლის განმავლობაში კურსდამთავრებული იმ სპეციალობით დასაქმდება, რაც უნივერსიტეტში შეისწავლა.

დასავლეთის ქვეყნების უნივერსიტეტებისათვის სასწავლო პროგრამების შედგენისას მთავარი განმსაზღვრელი შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევაა, რის შედეგადაც უმაღლესი სასწავლებლები იგებენ, თუ რა სპეციალობები სჭირდება ბაზარს. ამ ინფორმაციის მიხედვით ადგენენ მისაღები ადგილების რაოდენობასაც.

საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტებში მისაღები ადგილების რაოდენობა 18 ათასიდან 33 ათას ადგილამდე გაიზარდა, ოღონდ ისე, რომ შრომის ბაზარი არავის გამოუკვლევია. უნივერსიტეტების უმრავლესობა ამას უსახსრობის გამო ვერ ახერხებს. ამიტომაცაა, რომ მაგალითად, არქიტექტურის ფაკულტეტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობას უნივერსიტეტები აბსოლუტურად თვითნებურად ადგენენ – ისე, რომ არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია, რამდენი არქიტექტურული ბიურო მუშაობს ქვეყანაში და რამდენი და როგორი კვალიფიკაციის მქონე არქიტექტორი სჭირდება შრომით ბაზარს.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც უნივერსიტეტებს აკრედიტაციას ანიჭებს, არაა უფლებამოსილი უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ადგილების რაოდენობა დაარეგულიროს. უნივერსიტეტები კი ძველი ფაკულტეტების დახურვის თუ ახლის გახსნის გადაწყვეტილებას ან ინერციით, ანდა მეტი მოგების ნახვის სურვილით იღებენ.

2010-11 წლებში უნივერსიტეტებმა 3 ათასით გაზარდეს საერთო მისაღები ადგილების ოდენობა და ეს იმ ფაკულტეტების ხარჯზე გააკეთეს, რომლებზეც აბიტურიენტთა მხრიდან მოთხოვნა მაღალია.

„უნივერსიტეტების დიდი ნაწილი, ძირითადად, ხსნის ისეთ მიმართულებებს, რომელთაც გარანტირებული კლიენტი ეყოლება, რადგან თვითონვე უყურებენ ამ საქმეს, როგორც ბიზნესს“, – ამბობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქეთი გურჩიანი, რომელიც

რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა უნივერსიტეტების აკრედიტაციის საბჭოში. „ბოლო დროს იხსნებოდა ბიზნესი, სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები და ცოტა სტომატოლოგია, რომელიც სამედიცინო დარგებიდან ერთადერთია აბიტურიენტების მხრიდან სტაბილურად მაღალი მოთხოვნით“, – დასძენს ქეთი გურჩიანი.

თუმცა, კონკრეტულ პროფესიაზე აბიტურიენტთა მოთხოვნა არ ნიშნავს, რომ ამ პროფესიაზე მაღალია მოთხოვნა შრომითი ბაზრის მხრიდანაც. კვლევის არარსებობის გამო, არავინ იცის, ერთ კონკრეტულ წელს გამოშვებული ეკონომისტების რა პროცენტი დასაქმდა თავისი პროფესიით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღიარებენ, რომ ფაკულტეტების გახსნისა და დახურვის პროცესი ჯერ კიდევ ინერციით მიდის, თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის, ნინო ჯავახიშვილის თქმით, სწორედ ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე, წელს იქაც გახსნეს „სოციალური მუშაობის“ სპეციალობა.

არსებობს უნივერსიტეტების მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი, სადაც ფაკულტეტების გახსნა ან შრომის ბაზრის მოთხოვნას ემყარება, ანდა შრომის ბაზრის საჭიროებას. მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მდგრადი მეტყევეობის ფაკულტეტი მომავალი წლის სექტემბრიდან მხოლოდ იმიტომ გაიხსნება, რომ ამ სფეროში პროფესიონალთა რიცხვი ძალიან მცირეა. თუმცა, წინასწარ არ იციან, იქნება თუ არა მოთხოვნა ახალგაზრდების მხრიდან ამ არაპოპულარულ პროფესიაზე.

თავისუფალ უნივერსიტეტში კი შარშან ეკონომიკის ფაკულტეტი მხოლოდ იმიტომ არ გახსნეს, რომ კვლევამ აჩვენა – შრომის ბაზარს მეტი ეკონომისტი აღარ სჭირდებოდა. „სამაგიეროდ, კვლევის დროს აღმოჩნდა, რომ დიდი მოთხოვნაა პროგრამისტებზე. ამიტომაც შევქმენით მათემატიკისა და პროგრამირების სკოლა, რამაც გაამართლა. სტუდენტები ჯერ პირველ კურსზე არიან და უკვე მათ დამსაქმებლები ითხოვენ“, – აღნიშნავს თავისუფალი უნივერსიტეტის პრორექტორი, მარინა ქარჩავა.

რომელი სპეციალობები სჭირდება დღევანდელ შრომის ბაზარს და რომელ დარგებშია პროფესიონალთა დეფიციტი? განათლების ექსპერტები მხოლოდ ვარაუდობენ, რომ არსებობს რამდენიმე „გადაშენების პირას“ მდგარი პროფესია და მათ შორისაა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

ერთი წლის წინ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე გამოცხადებულ მისაღებ კონკურსში ადგილები მეტი იყო, ვიდრე – მსურველები. გამოყოფილი 1683 ადგილიდან ფიზიკა, ბიოლოგია და სხვა ასეთი მეცნიერებები მხოლოდ 1324 სტუ-

საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტებში მისაღები ადგილების რაოდენობა 18 ათასიდან 33 ათას ადგილამდე გაიზარდა, ოღონდ ისე, რომ შრომის ბაზარი არავის გამოუკვლევია.

ილუსტრაცია რუსლან ბერიძე

დენტისთვის აღმოჩნდა პირველადი არჩევანი. საინჟინრო მეცნიერებებისთვის გამოყოფილ 4200 ადგილზე კი ჩაბარება პრიორიტეტული სულ 1878-ი აბიტურიენტისთვის გახდა.

23 წლის საბა სულაძე პროფესიით ბიოფიზიკოსია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ამერიკაში აგრძელებს სწავლას და თუ საკუთარი არჩევნით ბედნიერია – მხოლოდ ამიტომ. „თსუ-ში მეცნიერება თითქმის არ არსებობს, ერთი გამართული ლაბორატორია არ აქვთ. იქ ნასწავლის გამოყენების შანსი კი, საქართველოში, თითქმის ნულის ტოლია“, – ამბობს საბა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კვლევითი ინსტიტუტების დახურვის, კვლევის დაფინანსების შემცირებისა და მთლიანი საწარმოო ინფრასტრუქტურის მოშლის გამო, საქართველოში საგრძნობლად შევიწროვდა იმ პროფესიათა არეალი, რომელთაც ახალგაზრდები მომავალი კარიერისთვის ირჩევენ.

ბლემაზე – სტუდენტთა დეზორიენტაციაზე მიუთითებს. „როდესაც გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებს გადავხედე, ვნახე, რომ მხოლოდ აბიტურიენტების მცირე ნაწილია დარწმუნებული საკუთარ არჩევანში, დანარჩენები ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ პროფესიებს ირჩევენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ კონტინგენტისთვის მთავარია უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება და არა ის, მოხვდებიან თუ არა სასურველ სპეციალობაზე“, – ამბობს ტემპუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი, ლიკა ღლონტი. მისი თქმით, ამ ახალგაზრდების მშობლები ფულს აბანდებენ არა შვილის განათლებაში, არამედ იმაში, რომ შვილი „ქუჩაში არ იდგეს“. უნივერსიტეტები კი უმოტივაციო სტუდენტების გარიცხვას ერიდებიან, რადგან მათ უნივერსიტეტში ფული შემოაქვთ. „ეს სხვა არაფერია, თუ არა ამ ახალგაზრდების უმუშევრობის გადავადება 4 წლით“, – ასკვნის ლიკა ღლონტი.

ახალგაზრდების მშობლები ფულს აბანდებენ არა შვილის განათლებაში, არამედ იმაში, რომ შვილი „ქუჩაში არ იდგეს“.

უნივერსიტეტები კი უმოტივაციო სტუდენტების გარიცხვას ერიდებიან, რადგან მათ უნივერსიტეტში ფული შემოაქვთ.

ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტის, 21 წლის ქეთი წკრიალაშვილისთვის საოცნებო პროფესია დღემდე ფსიქოლოგიაა. თუმცა, ამბობს, რომ ამ სპეციალობის შესწავლის უფლება თავს ვერ მისცა: „ეკონომიკაზე ჩავაბარე, რადგან ეს უფრო სარფიანი პროფესიაა“.

22 წლის თეა ჰასრათოვა ამბობს, რომ როდესაც ეროვნული გამოცდებისთვის ფაკულტეტების სიას ადგენდა, პირველ რიგში, საბანკო საქმე აირჩია, „რადგან მეგონა, რომ ამ სფეროში უკეთ დავსაქმდებოდი, შემდეგ ჩავწერე ჟურნალისტიკა და სამედიცინოც, რადგან ეს ორივე პროფესია სულიერად ახლოს იყო ჩემთან“.

განათლების ექსპერტებისთვის თეას მსგავსი შემთხვევები კიდევ ერთ პრო-

თუმცა, პროფესიების ხშირი ცვლისა და მერყეობის მიზეზი არა მხოლოდ ახალგაზრდული დეზორიენტაცია შეიძლება იყოს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც სტუდენტი უნივერსიტეტში უნდა იღებდეს.

თეა ჰარსათოვა საბანკო საქმეს უკვე ექვსი წელია, წარჩინებით სწავლობს და ახლა უკვე მაგისტრატურას ამთავრებს, თუმცა, კარგი ნიშნების მიუხედავად, დამსაქმებლები მას ყოველ ჯერზე უარით ისტუმრებენ, ერთი მიზეზით – „შენ ზოგადი, თეორიული ცოდნა გაქვს, ჩვენ კი უფრო პრაქტიკული უნარები გვჭირდება“.

როგორ უნარ-ჩვევებს მოითხოვს პროფესიონალებისგან თანამედროვე შრომის ბაზარი – ამ საკითხზე უმაღლესი სასწავლებლები, პირველ რიგში, დამსაქმებლებთან ერთად უნდა მსჯელობდნენ. თუმცა, თუ ასეთი თანამშრომლობა არსებობს, ის ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურია და არსებულ სურათს ვერ ცვლის.

სახელმწიფო შრომის ბაზრისა და უმაღლესი სასწავლებლების დაკავშირებას ხელოვნური გზებით ცდილობს. ასეთია, მაგალითად, სტუდენტთა საგრანტო დაფინანსების სისტემის შეცვლა. ცვლილების დეკლარირებული არსი აბიტურიენტებს შორის ნაკლებად პოპულარული, მაგრამ შრომის ბაზრისთვის საჭირო პროფესიების პოპულარიზაციაა. გეგმის მიხედვით, ბიზნესის, სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებებისა და სამართლის სტუდენტებს სახელმწიფო 100-პროცენტიანი გრანტით დააფინანსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მისაღებ გამოცდებზე უმაღლეს შედეგებს უჩვენებენ. სამაგიეროდ, სხვადასხვა ოდენობით სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება ადვილი იქნება ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე – იქ, სადაც მისაღები ადგილები ბოლომდე არ ივსება.

„სახელმწიფო მიტოვებს არჩევანს, ვისწავლო პროფესია, რომელიც დაბალშემოსავლიანია. ვთქვათ, ბიოლოგიის ფაკულტეტზე, დამიფინანსებ სწავლის 4 წელს სახელმწიფო გრანტით, მაგრამ მერე რა ვქნა, როცა კვლევაზე თანხა აღარ გამოიყოფა?“ – ამბობს ქეთი გურჩიანი.

განათლების ექსპერტები ფიქრობენ, რომ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან შრომის ბაზრის შესწავლა და ამ კვლევაზე დაყრდნობით უმაღლესი სისტემის რეფორმირება. პროაქტიული უნდა იყოს თავად უმაღლესი განათლების ინსტიტუტები – მათ უნდა იზრუნონ ახალგაზრდებში დავიწყებული, მაგრამ საჭირო პროფესიების პოპულარიზაციაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღე, როცა კურსდამთავრებულთა შორის არც ერთი ფიზიკოსი, აბსოლუტური უმრავლესობა კი ეკონომისტი აღმოჩნდება, ძალიან ახლოსაა.

სკოლა, საზოგადოება და სახელმწიფო ჩეზიკოს წინაალმდეგ

ინგლისურში დონეების მიხედვით კლასების დაყოფა პირდაპირი გზაა სეგრეგაციისკენ.

სიმონ ჯანაშია



ილუსტრაცია სერგო ქირთაძე / ვირგვინი

2023 წელს, საახალწლო კონცერტზე პარიზში ცნობილი ქართველი მომღერლები მღერიან. ამ დროისთვის საქართველოს ექსპრემიერი უკვე გაეროს გენერალური მდივანია, ნობელის პრემიის ლაურეატი ქართველი ქიმიკოსი – საქართველოს განათლების მინისტრი. რიგითმა თბილისელმა, რეზო ტაბიძემ კი თავის მე-18 დაბადების დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

რეზოს არ ჰყოფნის კომპეტენცია, საგანმანათლებლო ბაზარზე სხვებს კონკურენცია გაუწიოს. მას მეცხრე კლასის შემდეგ აღარ უსწავლია. სკოლის მეგობრებიც ვერაფრით ეხმარებიან, რადგან ისინიც მსგავს დღეში არიან. რეზოს არ ჰყოფნის ფული იმისთვის, რომ სწავლა გააგრძელოს. სულ რამდენიმე არჩევანი დარჩა – ეძებოს დროებითი, დაბალანაზღაურებადი სამსახური, რამდენიმე წელიწადის განმავლობაში იმსახუროს შეიარაღებულ ძალებში, ან ბედი კრიმინალურ სამყაროში სცადოს.

ვისაც რეზოს ამბავი არ აინტერესებს, შეუძლია, კონცერტებისა და პოლიტიკის შესახებ იკითხოს. სხვებს კი გთავაზობთ, იმ გზას დავაკვირდეთ, რომლითაც რეზო ამ ვითარებამდე მოვიდა.

რეზიკოს და მის უმცროს დას ბებია ზრდიდა. მამა ომში დაიღუპა. დედამ ვალი აიღო და საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ. ბებია ბევრს შრომობდა სახლში, რომ

რეზიკოს და მის დას ობლად არ ეგრძნოთ თავი.

რეზიკოს სკოლაში შესვლის დრო რომ მოვიდა, ბებიამ იმ სკოლას მიაკითხა, რომელიც მათი სახლის სიახლოვეს უკეთეს სკოლად იყო ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის დაწყებამდე კიდევ სამ თვეზე მეტი იყო დარჩენილი, აღმოჩნდა, რომ სამინისტროს დადგენილი წესით, სკოლაში რეგისტრაციის ვადები გასულიყო, ადგილები კი უკვე შევსებული იყო. ამიტომ, ბებია იძულებული გახდა, სხვა სკოლისთვის მიემართა.

ბებიის მოუცლელობის გამო, რეზიკო სკოლაში მარტო მიდიოდა და ხშირად აგვიანებდა. დაგვიანებულს მანდატურები სკოლაში აღარ უშვებდნენ და ისიც ქუჩებში სეირნობითა და ვიტრინების თვალიერებით ირთობდა თავს.

რამდენიმე წლის შემდეგ რეზიკოს სკოლაში კლასები ინგლისურის ცოდნის დონის მიხედვით დაიყო. ინგლისური უმეტესად იმ მოსწავლეებმა იცოდნენ უკეთ, ვინც უფრო შეძლებულ ოჯახებში იზრდებოდა. ეს ის ბავშვები იყვნენ, რომლებიც სხვა საგნებშიც უკეთეს შედეგებს აჩვენებდნენ. რადგან სკოლაში ორი ინგლისურის მასწავლებელი იყო, უკეთესი პედაგოგი ძლიერების ჯგუფს შეხვდა. მართალია, სუსტების მშობლებმა გააპროტესტეს ეს, მაგრამ სხვა მშობლებისა და ადმინისტრაციის მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს. ძლიერების მშობლები უფრო მეტს აკეთებდნენ სკოლისთვის და ადმინისტრაციაც მათ აზრს განსაკუთრებულ პატივს სცემდა.

რეზიკო სუსტების ჯგუფში მოხვდა.

რეზიკოს სკოლაში მასწავლებლები მოსწავლეებს მუდმივად ახალ-ახალი წიგნებისა და რვეულების შეძენას სთხოვდნენ. ბებია შვილიშვილისთვის ამ ყველაფრის ყიდვას ზოგჯერ ვერ ახერხებდა. ამიტომაც მასწავლებლები და კლასელები რეზიკოს ხშირად საყვედურობდნენ.

რეზიკოს აკადემიური მიღწევები ნელ-ნელა უარესდებოდა. ბებიამ დამრიგებელს სთხოვა, იქნებ მისთვის და ასეთივე პრობლემების მქონე სხვა ბავშვებისთვის დამატებითი გაკვეთილები დაენიშნათ. აღმოჩნდა, რომ ასეთი მომსახურება სკოლაში უკვე ფასიანი იყო. გახანგრძლივებულ კლასებში და დამატებით გაკვეთილებზე, ძირითადად, ის ბავშვები დადიოდნენ, ვისაც ნაკლები პრობლემა ჰქონდა სწავლის თვალსაზრისით.

რეზიკოს სკოლის დირექტორი ენერგიული ქალი იყო და ყველანაირად ცდილობდა, მის სკოლას სხვებისთვის ღირსეული კონკურენცია გაეწია. ბრენდირების სისტემაში სკოლამ ოთხ წელიწადში ორი დამატებითი ვარსკვლავი მოიპოვა. სკოლადამთავრებულების მაღალი პროცენტი წარმატებულად აბარებდა გამოსაშვებ და უმაღლესში მისაღებ გამოცდებს. რეზიკო კი, თავისი არსებობით, ამ სტატისტიკისთვის პრობლემას წარმოადგენდა. ამიტომაც ბებიამისს ურჩიეს, ის სხვა სკოლაში ან პროფესიულ სასწავლებელში გადაეყვანა.

> **საყოველთაო და საჯარო განათლების სისტემას ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფუნქციას ვაცლით, როცა შემოგვაქვს წესები, რომლებიც სახელმწიფო, ანდა სკოლის დონეზე სოციალურ სეგრეგაციას უწყობს ხელს.**

რეზიკოს არ სჯეროდა, რომ საკუთარი აკადემიური პრობლემების დაძლევას შეძლებდა. მან იცოდა, რომ სუსტების ჯგუფში იყო, უარესი მასწავლებლები ჰყავდა, ნაკლები შესაძლებლობები ჰქონდა, ვიდრე სხვებს, ნაკლებ გაკვეთილებს ესწრებოდა და ნაკლები მხარდაჭერა ჰქონდა ოჯახისგანაც, ვიდრე მის პარალელურ კლასში მყოფებს. ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის იყო, როდესაც სკოლას მიანება თავი და სამსახურის ძებნა დაიწყო. პროფესიულ სასწავლებელში სასწავლებლად უნარების ტესტებით გამართულ კონკურსში რეზიკოს სახელმწიფოსგან ფინანსური დახმარების მიღება შეეძლო, მაგრამ ამაშიც სხვებმა აჯობეს. ასე მივედით 2023 წლამდე.

რეზოს სოციალური წარუმატებლობა მისი ოჯახური ვითარების, საზოგადოების დამოკიდებულებისა და სახელმწიფოს არასწორი საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგია. მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ოჯახური ვითარებით გამოწვეული ნაკლულობის კომპენსირებისთვის საზოგადოებისა და სკოლის ერთობლივი ძალისხმევის ნაცვლად საპირისპიროდ ახალ ბარიერებს ვქმნიდით. ერთი მხრივ მშობლებს, სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის დაბალი იყო სოციალური პასუხისმგებლობის აღქმა. მეორე მხრივ კი, სახელმწიფო რეგულაციები ყველანაირ პირობებს ქმნიდა რეზიკოს და რეზიკოსნაირების სოციალური წარუმატებლობისთვის.

ამგვარი რეგულაციების მიღება ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებების უმეტესობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი გახდა. შემოვიღეთ ბრენდირება, სასკოლო საატესტატო გამოცდები. მივეცით სკოლებს უფლება, რომ დამატებითი ფასიანი მომსახურება შესთავაზონ მშობლებს იმავე საგნებში, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული. შემოვიღეთ განსაკუთრებულად მკაცრი ზომები დაგვიანებებთან და სკოლაში პირველკლასელთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით. სულ ბოლოს კი, რამდენიმე დღის წინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თავისივე სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინტერვიუთი გვაცნობა, რომ ინგლისურის უკეთ შესწავლისთვის მოსწავლეების ძლიერებისა და სუსტების ჯგუფებად დაყოფა დაიწყება.

ჩამოთვლილი გადაწყვეტილებების ნაწილი სკოლის კედლებში მოსწავლეთა სოციალური ნიშნით განცალკევებას უწყობს ხელს. ინგლისურში დონეების მიხედვით კლასების დაყოფა პირდაპირი გზაა ამგვარი სეგრეგაციისკენ.

სამინისტროს გადაწყვეტილებების ნაწილი კი ხელს უწყობს იმას, რომ სეგრეგაცია სკოლის შიგნით და სკოლას მიღმა დარჩენილებს შორის მოხდეს. როდესაც სკოლის რეიტინგის გასაუმჯობესებლად

ზოგიერთი სკოლა „სუსტ“ მოსწავლეებს თავიდან იშორებს, სკოლების ნაწილში, დამამთავრებელ კლასებში სოციალური პრობლემების მქონე ოჯახების შვილები სულ უფრო ნაკლებად რჩებიან.

რადგან სოციალური ნიშნით მოსწავლეების დაყოფის უარყოფითი მხარეების დანახვა საზოგადოებას ხშირად უჭირს, სკოლებშიც გადაწყვეტილებები, ამ თვალსაზრისით, ხშირად გაუცნობიერებლად მიიღება. ამის თვალსაჩინო მაგალითი თბილისის 21-ე (ე.წ. მე-6 გერმანული გიმნაზია) საჯარო სკოლაში მინახავს. დაახლოებით ხუთი წლის წინ სკოლაში, რომელიც მოსწავლეებზე ორიენტირებულობით იყო ცნობილი, მოქმედებდა გახანგრძლივებული ჯგუფების სისტემა. ვინც ფულს იხდიდა, მათი შვილები დღის მეორე ნახევარში სკოლაში რჩებოდნენ და გაკვეთილებს სკოლაშივე, მასწავლებლის დახმარებით ამზადებდნენ. გადატვირთულ სკოლაში სწავლა ორცვლიანი იყო. გახანგრძლივებულ ჯგუფებში მყოფი ბავშვების კლასები დილის ცვლაში სწავლობდნენ, ხოლო ჩვეულებრივები – დღის მეორე ნახევარში. ამგვარად ყალიბდებოდა სკოლაში მათი კლასები, ვისაც უნდოდა და შეეძლო ფულის გადახდა და მათი, ვისთვისაც დამატებითი მომსახურების შეძენა არასასურველი, ან შეუძლებელი იყო.

საყოველთაო და საჯარო განათლების სისტემას ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფუნქციას ვაცლით, როცა შემოგვაქვს წესები, რომლებიც სახელმწიფო, ანდა სკოლის დონეზე სოციალურ სეგრეგაციას უწყობს ხელს. განათლების სისტემის ფუნქციაა, დაეხმაროს საზოგადოების ყველა წევრს, მისი სოციალური წარმომავლობის მიუხედავად, მაქსიმალურ შესაძლებელ წარმატებას მიაღწიოს. საზოგადოების ყველა წევრის სოციალური წარმატება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ გვყავდეს წარმატებული პოლიტიკოსები, ხელოვანები, ან მეცნიერები. ხოლო თუ ამაზე დღეს არ ვიზრუნეთ, თორმეტი წლის თავზე გვეყოლება რეზიკოების უკვე მთელი თაობა, რომელთა წარუმატებლობასაც საზოგადოებამ და სახელმწიფომ ერთად შეუწყვეს ხელი.

ლიბერალი

მხოლოდ
ლიბერალის პორტალზე
www.liberali.ge

მულტიმედია
კინო ცენზურის პირობებში
„საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ პროექტი

ანა დოლიძის ბლოგი
დევნილი, ვეტერანი, მაღაროელი და მძღოლი ანუ სუბალტერნული სოლიდარობა
საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გაფიცვის ათი ლიდერი დაიჭირეს და ქართული საჯარო სფერო დუმს ამაზე. ინტერნეტში გამოჩენილი რამდენიმე სიუჟეტის და ადამიანის უფლებათა ცენტრის გარდა, არც არავის დაუწერია რამე და არც განცხადება გაუკეთებია. რითი აიხსნება ეს დუმილი საქართველოში?

ლენკა მაყაშვილის ბლოგი
მაცდური ვაშლი
ტექნოლოგიებს რაც არ უნდა სდიო ვერ დაეწევი.
ისისაა გგონია, რომ ყველაზე მაგარი „გაჯეტი“ ჩაიგდე ხელში და რამდენიმე კვირაში უფრო მაგარი გამოდის. Apple -ის დამფუძნებელ სტივ ჯობსს უყვარს სიურპრიზები. ყველა მისი ახალი პროდუქტი კონსპირაციულად მუშავდება და მერე ერთბაშად იპყრობს ხოლმე დახლებს, ისე რომ, მის შესახებ წინასწარ არავინ არაფერი იცის. ამის გამო, თქვენ წარმოიდგინეთ, მაკ-ჭორებისთვის განკუთვნილი ცალკე საიტიც არსებობს

მულტიმედია
ნაბეჭდი სიტყვის რეინკარნაცია



www.liberali.ge

ღელა ენა

დიდი ხანია, თავს ვიკავებ, მაგრამ ჩემ მიერ ეპიგრაფად გამოტანილი ფრაზა უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა ჩემი მოთმინების ფიალაში.

ნანა გამყრელიძე, ფილოლოგი

„[კლასები] როგორც გ ა ი ყ ო ფ ე ბ ო დ ა, ასევე გ ა ი ყ ო ფ ე ბ ა“
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, 14.01.2011



ერთხანს ამგვარ „გამონათქვამებს“ სრულიად ავტომატურად ვაფიქსირებდი. ტელეყუთი სამზარეულოშიც მაქვს და ორიოდე „მარგალიტის“ დამახსოვრების შემდეგ სამზარეულოს მაგიდის აუცილებელ ატრიბუტად, შაქარ-მარილთან ერთად, ქაღალდ-ფანქარიც იქცა. განურჩევლად ვინერდი – ვინ, რომელ არხზე და რა თქვა არასწორად (ამის დახარისხებაც შეიძლება). შემდეგ უკვე ისე გახშირდა ეს შეცდომები და მეც ისე ვლიზიანდებოდი, რომ ჩაწერას თავი დავანებე.

მაგრამ ა ს ე გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა ა ღ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა. მივხვდი, რომ ვიღაცამ (თუნდაც უჩინომ) სათქმელი უნდა თქვას. სანამ კომპიუტერი მოვიპოვე, შ ე ც დ ო მ ე ბ ი ქრონოლოგიურად დავალაგე და ავკრიფე, საკმაო დრო გავიდა, მაგრამ მოთმინების ფიალას ამით წვეთები არ დაჰკლებია, უფრო – მოემატა.

ვიცი, რომ პრობლემა ბევრია – დევნილები, ექიმები, ვეტერანები, მასწავლებლები, ტაძრები, კონცერტები, შადრევნები და ა.შ., მაგრამ ენა არის ქართული იდენტობის პირველი ნიშანი. ებრაელებისთვის და სომხებისთვის იდენტობის ნიშანი არის აღმსარებლობა, ქართველებისთვის – ე ნ ა .

არასდროს არაფერი დამიწერია, ორიოდე მოკრძალებული სამეცნიერო სტატიის გარდა, რეგალიები და ხარისხები არ გამაჩნია, მაგრამ ქართული ნამდვილად ვიცი (სალიტერატუროც, სლენგიც, დიალექტიზმებიც) და ვგრძნობ კიდევაც.

სანამ უშუალოდ შეცდომების ნუსხას მოგაწვდიდეთ, კიდევ ის მინდა ვთქვა, რომ:

1) ენას ნასესხობები (ბარბარიზმები) ვერ დაანგრევს, ზოგი დაანაგვიანებს, ზოგიც – მოერგება.

2) ენას და მეტყველებას ანგრევს და არღვევს სხვა ენებისათვის (თუნდაც მონათესავე) დამახასიათებელი მახვილისა და ინტონაციური ქარგის ხმარება-გამოყენება. ქართულში მახვილი არ არის სიტყვათგანმასხვავებელი, მაგრამ მახვილის არასწორი დასმისა და ფრაზის შეუსაბამო ინტონაციური გაფორმების შედეგად ვიღებთ ფონეტიკურად დამახინჯებულ მეტყველებას.

ბოლო 15-20 წელიწადში კი მახვილმა, რატომღაც, სიტყვის ბოლო მარცვალზე გადაინაცვლა: აღარ მომწონხა'რ, ძალიან მინდა', მადლობა' (სწორია – გმადლობ / შენ/). ჩემი ყურისთვის ამ საქმის პიონერი იყო პარლამენტის ტრიბუნიდან მეტყველი ვახტანგ რჩეულიშვილი. შემდეგ კი ასეთი მახვილი თანდათან გავრცელდა.

3) ენას და მეტყველებას არღვევს და ანგრევს მყარი შეთანხმებების არასწორი ხმარება: მ ა დ ლ ო ბ ა მ ო უ ხ ა დ ა (უნდა ითქვას – გ ა დ ა უ ხ ა დ ა), მ ხ ა რ შ ი დ ა ვ უ დ გ ე თ (უნდა ითქვას – ა მ ო ვ უ დ გ ე თ). ზოგჯერ მხოლოდ „დავუდგეთ“-საც ხმარობენ.

4) ენისთვის დამანგრეველია წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი ქ ს ო ვ ი ლ ი ს რღვევა:

ლირიკული წიაღსვლა: საბჭოთა ეპოქაში ერთი ფილმის რუსული სათაური – ЭСКАДРИЛЬЯ ЛЕТУЧАЯ МЫШЬ რომელიღაც სოფლის კლუბის აფიშაზე (თუ სწორად მახსოვს) ასე იყო თარგმნილი: ეს ეკადრება მფრინავ მიშას?

ენობრივი შეცდომები TV სივრცეში

▸ **ტრადიციებს სჭირდება**
მ ო ფ რ თ ხ ე ლ ა /მოფრთხილება/
დავით ბაქრაძე, 01.07.

▸ **პრეზიდენტი მიდის სიმფონიური**
მუსიკის ორკესტრზე
ლიკა ხურციძე, 07.07. „მოამბე“

▸ **დაგპირდნენ, რომ დასაბამი დაედოს**
ძალადობას
დავით აქუბარდია, 06.07.

▸ **ამჟამად ვართ წლისთავის მდგომა-**
რეობაში
დავითდ არჩიაშვილი, 08.08. „მოამბე“

▸ **ქვეყანა ოკუპაციის ქვეშ იმყოფება**
ეკა ტყეშელაშვილი, 17.09.

▸ **ოპერაცია დაახლოებით რამდენიმე**
საათის განმავლობაში მიმდინარეობდა
ნიკა მოლოდინაშვილი, 17.09 , „I
არხი“

▸ **<....> მაღალი საჭიროების ხარისხით**
ხასიათდება ჩვენი საზოგადოებისა-
თვის
მაგდა ანიკაშვილი, 08.10

▸ **აქცია ეძღვნება კლიმატის ცვლი-**
ლებასთან დაკავშირებით
სტუდენტი ბენდელიანი, 09.10

▸ **<...> განსახილველად გაიტანენ**
საზოგადოების გასამრჯელოზე /სამსჯა-
ვროზე/
.....,14.10, „რუსთავი -2“

▸ **რატი მუჯირი აშუქებს მინისტე-**
რიალს, რომელიც პირდაპირ ეთერში
გვესაუბრება
....., 23.10, „I არხი“

▸ **<რასმუსენი> საგანგებო ბრიფინგს**
მართავს, რომელიც „ნატოს“ დამცავ
ფარზე ლაპარაკობს
....., 23.10. „იმედი“

▸ **უნივერსიტეტის გამომცემლობა**
გამოსცემს ამ გამოცემას
რექტორი გია ხუბუა, 23.10

▸ **აფხაზური დღეები დამთავრდება**
აფხაზური ოდის ი ნ ა უ გ უ რ ა ც ი ი თ
დალი ხომერიკი, აფხაზეთის ლეგიტ.
მთავრობის განათლებისა და კულ-
ტურის მინისტრი, 08.11

▸ **რადგან <.....> ეკონომიკური აქტი-**
ვობა იყოს ფუნქციონირებადი
ლაშა თოდრია, 16.11

▸ **ეკამ მოგიყვათ**
გრიგოლ ვაშაძე, „კავკასია“, 17.11

▸ **რომ ავმაღლდეთ ერთმანეთის ამბი-**
ციების წინააღმდეგ
ლევან გაჩეჩილაძე, 19.11

▸ **მან გამოვიდა და გააკეთა განცხა-**
დება
თეა თუთბერიძე, „მაესტრო“, 3.12

▸ **მომატებულია ვირუსის გრიპის**
გავრცელება
დალი ხორავა, აფხაზ. ჯანდაცვის
მინისტრი, 18.12

▸ **<რაღაც წიგნი> დამაინტრიგებელ**
ფაქტორს თამაშობს
ზაალ სამადაშვილი, მწერალი, საკრე-
ბულოს თ-რე, „რუსთავი-2“, 15.12

▸ **ველოსიპედი**
გია ხუროშვილი, საპარლამენტო
მდივანი, „კავკასია“, 8.12

▸ **სტრატეგიული გეგმა ფინალიზირე-**
ბული იქნება
ეკა ტყეშელაშვილი, „რუსთავი-2“, 21.12

▸ **გვქონდა საკმაოდ ბევრი ბილატერა-**
ლური შეხვედრები
გოგა ხაჩიძე, მომღერალი, მინისტრი,
21.12

▸ **რა გიჭერია ხელში**
ნანუკა ჟორჟოლიანი, „ნანუკას შოუ“,
„იმედი“, 23.12

▸ **ჩემმა მეგობარმა მომიყვა**
ლელა წურწუმია, „ნანუკას შოუ“,
„იმედი“, 23.12

▸ **იმ მოტივის მიზეზის გამო, რომ ....**
ნინო თოლორდავა, „მოამბე“,
„I არხი“, 26.12

▸ **პიარზე დაასხამს წყალს**
თეა თუთბერიძე, „სტუდია რე“, 27.12

▸ **ღვინის გამოხდა მოხდება**
წამყვანი, „I არხი“, 30.12

▸ **სანახაობას /იგულისხმება ა ლ ი ლ ო/**
მამა გიორგი მიუძღვება
„ქრონიკა“, „იმედი“, 7.01

▸ **მათი ადგილმდებარეობა /ადამიანე-**
ბის ადგილსამყოფელი/
მერიის მაღალჩინოსანი ნიკო ხაჩი-
რაშვილი, „ქრონიკა“, „იმედი“, 08.01

▸ **იყო ხაზგასმა, რაოდენ დიდ წვლილს**
თამაშობს მაკკეინი
პარლამენტარი დავით დარჩიაშვილი,
„რუსთავი 2“, 11.01

▸ **ვმუშაობდით რამოდენიმე საკითხებზე**
პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური,
„რუსთავი 2“, 11.01

▸ **ამოცანაა, რომ ოპოზიციამ თავი**
იგრძნოს პროცესებში ჩართულად
ფილოლოგი, პარლამენტარი გოკა
გაბაშვილი, პარლ. სხდომაზე, 12.01

▸ ჩვენ მოვამზადებთ ბავშვებს, რომ
ისინი ჩააბარონ მინიმალური დონე
დიმიტრი შაშკინი, „კურიერი“ „რუს-
თავი 2“, 13.01

უფრო ვრცელი ჩამონათვალი
იხილეთ liberali.ge-ზე

ისტორიული ანალიზი და პატრიოტიზმი

მარკ მალენი

გასულ კვირას საქართველოს განათლების სამინისტრომ დააჯილდოვა საშუალო სკოლის მოსწავლეები მთელი საქართველოდან. მოსწავლეებს უნდა დაეწერათ ნაშრომი, სადაც ერთმანეთს დაუკავშირებდნენ 1921 წლისა და 2008 წლის მოვლენებს – რუსულ ინტერვენციას. სააგენტო „პრაიმ ნიუსის“ ცნობით, კონკურსის მიზანი იყო „პატრიოტული და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და ისტორიული ფაქტების და მოვლენების ანალიზის უნარების განვითარება“. ამ ფაქტმა პატრიოტიზმსა და კრიტიკულ ანალიზს შორის დამოკიდებულებაზე დამაფიქრა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორია საოცარი პერიოდია და საშინელებაა, რომ საბჭოთა დროს ამ პერიოდის შესახებ ინფორმაციას არათუ უგულებელყოფდნენ, არამედ ჩქმალავდნენ კიდეც. ოცი წლის წინ ქართველებმა ამ პერიოდის შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ. საქართველოში ახლაც ძალიან ცოტა ადამიანი შემხვედრია, ვინც იცის, რომ ქალებმა საქართველოში უფრო ადრე მიიღეს არჩევნებზე ხმის მიცემის უფლება, ვიდრე ამერიკაში. ახლაც კი, პირველი ქართული რესპუბლიკის პერიოდი არასაკმარისად არის შესწავლილი. მაგალითად, ცოტამ თუ იცის, რომ ლენინი ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი იყო და 1920 წელს მან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლითაც პირობას დებდა, რომ საქართველოს საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ დასავლეთის რეაქციის ეშინოდა. მისი დარწმუნება სტალინმა და ორჯონიკიძემ მოახერხეს. ლენინიც საბოლოოდ დათანხმდა.

ჩემი მიზანი არ არის, ვინმეს საქართველოს ისტორია ვასწავლო. მე, უბრალოდ, იმას ვუსვამ ხაზს, რომ ისტორიული ფაქტების გაგება ბევრნაირად შეიძლება. მირიანმა საქართველოს გაქრისტიანების დროს უამრავი ადამიანი დახოცა და თავის მემკვიდრე რევსა და მეუღლე ნანას ანდერძად დაუტოვა, რომ მისი ეს საქმე გაეგრძელებინათ. საქართველოს მიერ ქრისტიანობის მიღება სულ არ იყო ისეთი მშვიდობიანი პროცესი, როგორც ამას წარმოგვიდგენენ ხოლმე.

„ენა, მამული, სარწმუნოება“ ილია ჭავჭავაძის სლოგანი არ ყოფილა. მართალია, მან ეს ფრაზა ახსენა თავის ესეში, რომელიც 1861 წლის აპრილის „ცისკარში“ გამოქვეყნდა (სინამდვილეში ფრაზა ასე ჟღერდა: „...მამული, ენა, სარწმუნოება“), მაგრამ ამის შემდეგ ის აღარ უხსენებია. ის კი არა, აჭარელი ქართველებისთვის მიძღვნილ ესეში – „ოტომანური საქართველო“ – ილია წერდა, საერთო სარწმუნოება სულაც არ არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე საერთო ისტორიაო. მისი დამოკიდებულება საქართველოს ტერიტორიის, ენისა და რელიგიის მიმართ ბევრად რთული, ღრმა და ბრძნული იყო, ვიდრე რომელიმე ერთ სლოგანს შეუძლია ამის გადმოცემა.

ისტორია გამარტივების პროცესია – სხვადასხვა წყაროს მიერ აღწერილი ფაქტების შეგროვება და მათგან აზრის გამოტანის მცდელობა, მათთვის ნარატიული, ლოგიკური ფორმის მიცემა. ნარატიული სტილი კი ერთ ჯგუფს ანიჭებს უპირატესობას და იგნორირებას უწევს ან ადანაშაულებს მეორეს. ისტორია ხშირად გამოიყენება იმ ნარატივის გასამართლებლად, რომელიც კონკრეტული ჯგუფისთვის არის ხელსაყრელი.

პატრიოტიზმი ხშირად პირდაპირ კონფლიქტშია კრიტიკულ აზროვნებასთან. მათ, ვინც ბევრს საუბრობენ და მეტი გავლენა აქვთ, შეუძლიათ სხვები ისტორიის საკუთარ ინტერპრეტაციაში დააჯერონ. ეს ინტერპრეტაცია მათთვის ყველაზე მომგებიანია და მას პატრიოტულად წარმოადგენენ. უარეს შემთხვევაში, ისტორიის მათი ვერსიისგან განსხვავებული ინტერპრეტაცია აღიქმება როგორც მიუღებელი, არალოიალური, ან გამყიდველური პოზიცია.

ნაცისტებს სჯეროდათ, რომ გერმანია დიადი სახელმწიფო იყო, რადგან გერმანული წარმოშობის ხალხი ბუნებრივად სრულყოფილი იყო. თითქოს, ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ გერმანელებს სხვა ჯგუფები უწყობდნენ საბოტაჟს, ამ არაგერმანულ ჯგუფებში კი განსაკუთრებული ადგილი ებრაელებს ეკავათ. ბევრისთვის, ვინც ვაიმარის რესპუბლიკა გადაიტანა, ეს იდეა მიმზიდველი იყო. რა თქმა უნდა, მთელი კონცეფცია მცდარია, მაგრამ მხოლოდ ჭკვიან და გამბედავ ხალხს შეეძლო ნაცისტები გაეკრიტიკებინა, ნაცისტები კი მათ მოღალატეებს უწოდებდნენ და სიკვდილით უსწორდებოდნენ.

ლენინი

სტალინი

ნოე ჟორდანია

ისტორია გამარტივების პროცესია – სხვადასხვა წყაროს მიერ აღწერილი ფაქტების შეგროვება და მათგან აზრის გამოტანის მცდელობა, მათთვის ნარატიული, ლოგიკური ფორმის მიცემა. ისტორია ხშირად გამოიყენება იმ ნარატივის გასამართლებლად, რომელიც კონკრეტული ჯგუფისთვის არის ხელსაყრელი.

2002 წელს ამერიკას ერაყში ომის დაწყება ეჩქარებოდა, 2001 წლის 11 სექტემბრის ჭრილობები კი ჯერ კიდევ მოუშუშებელი იყო. და მათ, ვინც ამბობდნენ, რომ ომი არ უნდა დაგვეწყო, მოღალატეებს უწოდებდნენ. დღევანდელი გადმოსახედიდან, „მოღალატეები“ მართლები იყვნენ.

ზოგიერთ გაბატონებულ წარმოდგენას სოლიდური კრიტიკული ანალიზი უმაგრებს ზურგს. რა ვუყოთ ისეთ კრიტიკულ ანალიზს, რომელიც გაბატონებულ წარმოდგენებს საეჭვოს ხდის? და რა კავშირშია ეს განათლების თემასთან ქართულ საშუალო სკოლებსა და უნივერსიტეტებში?

ჩემი გამოცდილებით, ქართულ სკოლებსა და უნივერსიტეტებში მასწავლებლები და ლექტორები დარწმუნებულები არიან, რომ ფაქტების მათეული ინტერპრეტაცია ერთადერთი ჭეშმარიტებაა. რა თქმა უნდა, მასწავლებლებს და პროფესორებს, წესით, მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ თავიანთ საგნებზე, ვიდრე მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მაგრამ წარმოვიდგინოთ სტუდენტი, რომელიც საკითხს კარგად გამოიკვლევს და თავის განსხვავებულ მოსაზრებას წარმოადგენს. როგორ შეხვდებიან ამას მასწავლებლები? თუ საზოგადოების რომელიმე წევრი წარმოადგენს მოსაზრებას, რომელიც გაბატონებულ მოსაზრებას შეეწინააღმდეგება, რამდენად მზად ვართ, მოვუსმინოთ მას. ღირსეულად ვუპასუხოთ, და ინსტინქტურად მის მოტივებზე არ დავიწყოთ საუბარი? პატრიოტიზმი ყველა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია. განათლების უმაღლესი მიზანი კი კრიტიკული ანალიზის ნათლად გამოხატვაა. სამწუხაროდ, პატრიოტიზმი და განათლება ყოველთვის ჰარმონიულად ვერ თანაარსებობს.

ილბლიანი ხრიკი, ანუ ჩობოჩ მოვიპაროთ მილა იოვოვიჩი სამ მილიონად

ლევან გაბრიაძის „ვიკრუტასები“: კორპორაცია, კომერცია, კომედია...

დავით ბუხრიკიძე

მილა იოვოვიჩი და კონსტანტინ ხაბენსკი ლევან გაბრიაძის ფილმში „ვიკრუტასები“

ის, რაც „ცხელი ვნებებით“ შეპყრობილმა პოლიტიკოსებმა ვერ მოაგვარეს, რეჟისორმა ლევან გაბრიაძემ, როგორღაც, შეძლო. რუსული კომერციული კინოს ახალი ნიმუში სახელწოდებით „ვიკრუტასები, ანუ ილბლიანი ხრიკი“ სწორედ მისი სრულმეტრაჟიანი რეჟისორული დებიუტია. ეს ქართულ ეკრანზე რუსული ლირიკული კომედიის დახვეწილ და დიპლომატიურ შემოტყუებას უფრო ჰგავს. თუმცა, რამდენად წარმატებული იქნება მისია თბილისში, ძნელი სათქმელია.

არცთუ ხარისხიანად, მაგრამ კომერციულად კარგად ნაკეთ „ვიკრუტასებს“ საეჭვოდ თუ საბედისწეროდ დაჰყურებს ბაადურ წულაძის მიერ 1971 წელს გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმის, „ფეოლას“ აჩრდილი. აქვე უნდა ვახსენოთ რეჟისორის მამის, რეზო გაბრიაძის სცენარიც, თუმცა მისი ხარისხიანი და ხალასი იუმორი ახალ ფილმთან უკვე არავითარ კავშირშია... ამას დაუმატეთ სამ მილიონად „ნაშოვი“, მაგრამ აქტიორული თვალსაზრისით უფერული, საერთაშორისო ვარსკვლავი მილა იოვოვიჩი; ახალი რუსული კინოს მთავარი რომანტიკული გმირი კონსტანტინ ხაბენსკი და წარმატებული პროდიუსერი ტიმურ ბეკმამბეტოვი,

რომელიც რეჟისორობას, კარგა ხანია, ყოჩაღად ითავსებს.

ვისაც კარგი კინემატოგრაფიული მეხსიერება აქვს, აუცილებლად გაახსენდება მის მიერ გადაღებული „ბედის ირონია 2“, რომელიც ელდარ რიაზანოვის ფილმის ცუდი, მაგრამ კომერციულად მომგებიანი რიმეიკი აღმოჩნდა. ამჯერად კი „რუსთაველსა“ და „ამირანში“ პროდიუსერ ბეკმამბეტოვის სახელით აღბეჭდილი, ქართველი რეჟისორის მიერ გადაღებული ფილმის ნახვაც შეგიძლიათ.

...თითქმის არაფრით გამორჩეული რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სლავა (კონსტანტინ ხაბენსკი) პროვინციიდან მოსკოვში ჩადის, რათა ახალი რომანის ხელნაწერი გამოაქვეყნოს. სრულიად აუხსნელი და აბსურდული მიზეზების გამო საკინიგზო სადგურზე მას პასპორტს ჩამოართმევენ და რატომღაც უდედმამო ბავშვთა საფეხბურთო გუნდის მწვრთნელად ნიშნავენ. პარალელურად, ლამაზმან ნადიასა (მილა იოვოვიჩი) და მისი თაყვანისმცემლის, წარმატებული ბიზნესმენის ჩაშლილი ქორწინების მოწმე ვხდებით. ბიზნესმენის როლს, ასე ვთქვათ, რუსული ტელევიზიის „დუტა“, ძალიან პოპულარული ივან ურგანტი თამაშობს. ფინალში, ცხადია, ბავშვთა საფეხბურთო გუნდი იმარჯვებს, უნებლიე მწვრთნელი და რუსული ლიტერატურის მასწავლებელი წარმატებული მწვრთნელი ხდება და ლამაზმანი ნადიაც მასზე აკეთებს არჩევანს!

კადრი ფილმიდან „ვიკრუტასები“

მოკლედ, მაყურებელი მორიგი „ბედის ირონიის“ მოწმეა. საფეხბურთო „ვიკრუტასებს“ კარგად გათვლილი კომერციის სურნელი უფრო აქვს, ვიდრე ლირიკული კომედიის. და ეს ნიშანდობლივია, რადგან მთელი რუსული კინო ჯერ კორპორაციულ ინტერესებს ემსახურება, მერე კარგად გათვლილ კომერციას და ბოლოს, თავშესაფრად სახალისო და ლირიკულ კომედიის ჟანრს იყენებს. სხვათა შორის, ამ უკვე გათელილ გზას ქართული კინოც დაადგა. მაგალითებად „ოცნების ქალაქი“, „ერთხელ შუა ქალაქში“ და „მამაჩემის გელფრენდიც“ გამოდგება (ეს ფილმი დაახლოებით მარტის შუა რიცხვებში გამოვა ეკრანებზე), რაც უკვე ირონიულ ან სახალისო-სახიფათო ტენდენციად შეიძლება, ჩაითვალოს.

კლასიკური საბჭოთა კინომითის ენაზე, ანუ ფილმ „ბრილიანტის ხელის“ პერსონაჟივით, ლევან გაბრიაძეს „ვიკრუტასების“ შემდეგ ნამდვილად შეუძლია, თქვას: „упал, очнулся – гипс“, რადგან ბიკმამბეტოვის სახელი ქართველ რეჟისორს კიდევ ბევრ ჯადოსნურ თუ საგანგებოდ დაგმანულ კარს გაუღებს. როგორც ამბობენ, „ვიკრუტასებს“ ახალი და მაცდური წინადადებები უკვე მოჰყვა და იმედია, ლევან რევაზის ძე გაბრიაძე კომერციული ლირიკის შემდეგ, უბრალოდ, კარგ ფილმებსაც გადაიღებს.

ექსპერიმენტი რომ ჩაგვეტარებინა და ფილმის შესახებ ყველაზე მოკლე რეცენზია დაგვეწერა, ის დაახლოებით ასეთი იქნებოდა – „ვიკრუტასები“ არის კარგი ნიმუში, როგორ შეიძლება, გრძნობდე მომხმარებელს და თითქმის უშეცდომოდ გათვალო ემოციები“. რუსულ კინოგაქირავებაში ფილმის წარმატება სწორედ ბიკმამბეტოვის დამსახურებაა, რომლის კომერციულმა ნიჭმა ჰოლივუდშიც შეაღწია. ამგვარი ჩვევები და ნიჭი შეიძლება ისწავლო, თუმცა კინოხელოვნებასთან ამას არავითარი კავშირი აქვს. და თუ მილიონობით მაყურებელი ამგვარ „იღბლიან ხრიკებს“ კინოდ აღიქვამს, ეს მხოლოდ უშეცდომოდ გათვლილი, წარმატებული სტრატეგიის შედეგია და არა კინოს, როგორც ხელოვნების არცოდნის.

თავის დროზე ლეონიდ გაიდაის ფილმების ფენომენალური წარმატება სწორედ ამგვარი სტრატეგიით შეიძლება, აიხსნას. იმ განსხვავებით, რომ გაიდაის ფილმების სცენარი, დიალოგები და ხარისხი ბევრად უკეთესი იყო, ხოლო მსახიობთა თამაში – შთამბეჭდავად ირონიული. ამ ყველაფერს კი თან ერთვოდა საბჭოთა სოციალური და პოლიტიკური რეალიების საგრძნობი თუ შეფარული დაცინვა. ტიმურ ბიკმამბეტოვის მიერ წახალისებული ლევან გაბრიაძის ფილმი კი სრულიად ნეიტრალური, კარგად აწონილი და უხერხულად ანემიურია... მილა იოვოვიჩის მსგავსად, რომელსაც ფინალში, ულამაზეს საპატარძლო კაბაშიც კი სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა.

ნუთუ, სამ მილიონად მხოლოდ გაფერმკრთალებული ვარსკვალები და კომერციული კომედიები იყიდება?!

წითელი ხალიჩის ღამე

„ოსკარების“ ღამე დიდი ხანია აღარ არის მხოლოდ კინოდაჯილდოება. ყოველ წელს, ფილმების გარდა, არანაკლები განხილვის საგანი ცერემონიაზე მისული ვარსკვლავების ჩაცმულობა ხდება. დაჯილდოების შემდეგ მსოფლიო პრესა აჭრელებულია წითელი ხალიჩის ფოტო-სესიებით, დგება „კარგად“ და „ცუდად“ ჩაცმული მსახიობების ათეულები.

2001 წელს ბიორკის თეთრი კაბა-გედი, 2002 წლის საუკეთესო მსახიობი ქალის შინდისფერი, გამჭვირვალე კაბა, რომელიც უფრო დასამახსოვრებელი აღმოჩნდა, ვიდრე ჰოლი ბერის ის როლი, რომლისთვისაც მან ჯილდო აიღო, ჰილარი სვონკის გრძელი ცისფერი, ლაროშეს კაბა ღრმად ამოღებული ზურგით (2005) და ჯულია რობერტსის ვალენტინოს შავი კაბა თეთრი დეტალით (2001) – ყოველ „ოსკარს“ აქვს თავისი „სახე“, რომელიც წლების განმავლობაში ხდება განსჯისა და შედარების საგანი.

რომელია 2011 წლის გამორჩეული კაბები, რომლებზეც, მიუხედავად იმისა, რომელ ათეულში მოხვდა, კიდევ დიდხანს ისაუბრებენ?

ჰელენა ბონემ კარტერი კოლინ ეტვუდის შავ, არაორდინალური ფორმის კაბაში, ფეხზე ბრიტანეთის დროშით. კარტერი მეორე ხარისხოვანი როლისთვის იყო წარდგენილი ოსკარზე ფილმისთვის „მეფის სიტყვა“. თუმცა მას მელისა ლეომ აჯობა.

„შავი გედი“ – მილა კუნისი ელი სააბის ლავანდისფერ, ჰაეროვან კაბაში.

ნიკოლ ქიდმანი ცერემონიაზე დიორის თეთრი, ნაქარგიანი კაბით და სტაფილოსფერი ფეხსაცმლით მივიდა. მისი ჩაცმულობა ბევრ გამოკითხვაში ერთ-ერთ ყველაზე უიღბლოდ შეფასდა. ქიდმანი ქალის მთავარი როლის შესრულებისთვის იყო წარდგენილი ოსკარზე.

მსახიობი ჰელენ მირენი ექსტრავაგანტული ხელწერით გამორჩეული ბრიტანელი დიზაინერის, ვივიენ ვესტვუდის რუხი ფერის კაბაში. ოსკარების 83-ე ცერემონიაზე მირენმა მამაკაცის მათავრი როლის საუკეთესო შესრულებისთვის კოლინ ფირსს გადასცა ოსკარი.

მსახიობი ქეით ბლანშეტი ჟივანშის გრძელ, მძივებით გაფორმებულ კაბაში. ბლანშეტმა საუკეთესო კოსტიუმისა და მაკიაჟისთვის გადასცა პრიზი გამარჯვებულებს.

ენ ჰეთეუეიმ, რომელსაც ოსკარების დაჯილდოების ცერემონია მიჰყავდა, სცენაზე კაბა 7-ჯერ გამოიცვალა. წითელ ხალიჩაზე პოზირებისთვის კი მან ვალენტინოს წითელი, ტრადიციული თარგის კაბა შეარჩია.

რიზ ვიზერსპუნის არმანი პრივეს შავ-თეთრი კაბა კრიტიკოსებმა ასე შეაფასეს: „ეს არჩევანი არავის გააღიზიანებს, თუმცა ის იმდენად მოსაწყენია, რომ კომენტარის გაკეთებადაც კი არ ღირს“.

ნატალი პორტმანს როდარტის ჟოლოსფერი კაბა ეცვა. ფერში შეხამებული კაბა, საყურე და ფეხსაცმელი საუკეთესო ქალის როლის შემსრულებლის გარეგნობას ზედმეტად ერთფეროვანს ხდიდა.

"ოსკარი" ყველაზე მოსაწყენი შოუსთვის გადაცემა...

ნიკო ნერგაძე

„მეფის სიტყვა“ კარგი ფილმია. უკიდურესად პროფესიონალურადაა გაკეთებული. კოლინ ფირთიც ყველანაირ ჯილდოს იმსახურებდა და ჯეფრი რაშიც. ისტორია იმისა, თუ როგორ ებრძვის ინგლისის ენაბლუ მეფე თავის პრობლემას უცნაური დამხმარის მეშვეობით, კარგ გუნებაზე გაყენებს. შეიძლება შთაგაგონოს კიდევაც. ფილმში აღწერილი პერიოდი მშვენივრადაა გადმოცემული. ნამდვილად ღირს ნახვად.

მაინც, იყო კი წლის საუკეთესო ფილმი „მეფის სიტყვა“? ერთი მხრივ – კი, უდავოდ საყვარელი ფილმია, მაგრამ განსაკუთრებულად გადასარევიც ნამდვილად არ არის. ანუ, მაყურებლისგან მაინცდამაინც არაფერს მოითხოვს. ბევრს არაფერს გიტოვებს და არც ახლებურად აკეთებს რამეს. ერთი კარგად გაკეთებული, სასიამოვნო ფილმია. საკმარისი უნდა იყოს ეს „ოსკარისთვის?“

მეორე მხრივ, ნომინაციებს თუ გადავხედავთ, მაინცდამაინც უსამართლოდაც არ გაუმარჯვია. კი, ზოგი უფრო „სოციალურ ქსელს“ გულშემატკივრობდა, ზოგი, სრულიად უიმედოდ, – Inception-ს, მაგრამ განსაკუთრებულად მგონი არავინ დაძაბულა (მე სამივეს „სათამაშოების ისტორია 3“ მერჩივნა, მაგრამ მართლა მაგას ხომ არ მოაგებინებდნენ...) ვერ იტყვი, რომ რომელიმე განსაკუთრებულად დაჩაგრეს. ნელთბილი ფილმებიდან ერთ-ერთმა გაიმარჯვა.

აი, ეგეთი “ოსკარები“ იყო. მოსაწყენი. გუგლში თუ Oscars boring-ს ჩაწერ, რამდენიმე ასეულ სტატიას ნახავ, სადაც პროფესიონალი კრიტიკოსები და არაპროფესიონალი ბლოგერები დაწვრილებით განიხილავენ, თუ რატომ. ცუდად იყო დადგმულიო. ხუმრობები იყო მოსაწყენიო. უმეტესობა წამყვანებს ერჩის – ჯეიმს ფრანკო დაბოლილს ჰგავდა, ენ ჰათეუეი კი უაზროდ ჭიკჭიკებდა და კაბების გამოცვლის მეტი არაფერი გაუკეთებიაო. რატომ უნდა სჯობნიდეს ცალი ფეხით სამარეში მდგომი კირკ დუგლასი ახალგაზრდებსო. მართალიცაა. ყველაფერს რიკი ჯერვეიზი ვერ წაიყვანს (რა გაუმართლა „ოქროს გლობუსს!) მაგრამ, ამავე დროს, მარტო შოუ რას უშველის, თუ ფილმებმაც არ უშველა.

ისე კი „მეფის სიტყვა“ „ოსკარს“ დიდწილად ფილმის ამერიკელ გამავრცელებლებს, ძმებ ჰარვი და ბობ ვაინშტაინებს უნდა უმადლოდეს. სტუდია „მირამაქსის“ დამფუძნებლებმა, რომლებიც ახლა „ვაინშტაინ კომპანის“ უდგანან სათავეში, ბოლო ოცი წლის განმავლობაში კარგად შეისწავლეს ამერიკის კინოაკადემია. ვერავინ ატარებს „ოსკარის“ კამპანიას ისე, როგორც ძმები ვაინშტაინები. გახსოვთ „ინგლისელმა პაციენტმა“ რომ „ოსკარი“ მიიღო? „ჩიკაგომ?“ ან, ყველაზე უარესი, „შეყვარებულმა შექსპირმა?“ იყო რომელიმე საოსკარე ფილმი? ალბათ, ბევრი დამეთანხმებით, რომ – არა. რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ ეს, ცხადია, უკეთ ჩანს, მაგრამ წესით, მაშინაც არ უნდა ყოფილიყო რთული დასანახი. განსაკუთრებით „შეყვარებული შექსპირი“. აბა, რა ფილმი ეგ იყო. სამივე ფილმის ოსკარების კამპანიას ვაინშტაინები კურირებდნენ. იციან საქმე...



„მეფის სიტყვა“ უდავოდ უკეთესი ფილმია, ვიდრე ეს სამი. მაგრამ, რა სახელი ექნება, თუნდაც, სამი წლის შემდეგ? ალბათ, იტყვიან, კი, მახსოვს, სასიამოვნო ფილმი იყოო. მეორედ ნახვა კი, ალბათ, არავის მოუნდება.

ხიდევ ეთი ოულდ ფირმი

გიო ახვლედიანი

თუკი რამეა გამორჩეული ძველ ფეხბურთში, ეს არის ოულდ ფირმ დერბი.

ოულდ ფირმ დერბი ნიშნავს, რომ გლაზგოში ერთმანეთს ხვდებიან „რეინჯერსი“ და „სელტიკი“.

თავის მხრივ, ეს ნიშნავს, რომ ერთმანეთს ხვდებიან სკოტების ქვეყნისა და კულტურის ერთ-ერთი გამოხატულება და ირლანდიელ ემიგრანტთა მიერ დაარსებული უტეხი კლუბი. ანუ, ეს კიდევ ნიშნავს, რომ ერთმანეთს ხვდებიან პროტესტანტული და კათოლიკური სამყაროს წარმომადგენლები. ფეხბურთში ოდნავ ჩახედულმა კაცმა იცის, რომ შოტლანდიის ჩემპიონობასაც, ძირითადად, ამ ორთაგან ერთი მოიპოვებს ხოლმე: ხან ერთი, ხან მეორე.

გუნდები წელიწადში ოთხჯერ აუცილებლად ხვდებიან ერთმანეთს, უფრო ხშირად კი ხუთჯერ და ექვსჯერ, ან მეტჯერაც, რახან საქმეში ქვეყნის თასებიც გაერევა ხოლმე.

ოდესღაც, როცა ოულდ ფირმი მოახლოვდებოდა, ქალაქი წინასაომარ ვითარებაში იყო. ყოფილა, რომ ამ თამაშისას მოედანზე ფეხბურთელიც დაღუპულა. მაგრამ იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. არც კათოლიკეები და პროტესტანტები ხოცავენ ერთმანეთს, და გუნდებშიც უმეტესად უცხოელები თამაშობენ, რომლებსაც დიდი არაფერი სურვილი უნდა ჰქონდეთ, რომ რჯული დაიცვან, რადგან სხვა რჯული აქვთ.

ამის მიუხედავად, ძველი დერბის სული დარჩენილია, რასაც კარგად გვიამბობენ ხოლმე რეინჯერსში ნათამაშევი უცხოელი ფეხბურთელები, მათ შორის, ქართველებიც.

როცა ოულდ ფირმი ახლოვდება, გუნდების ფეხბურთელების უმრავლესობა მხეცდება, ასევე, მწვრთნელებიც. ოულდ ფირმში გატანალი გოლი, შენს სამუდამო სიყვარულს განაპირობებს გულშემატკივართა შორის.

ხშირად, ოულდ ფირმის დაძაბულობა ერთგვარ ანაქრონიზმად ჩანს დღევანდელი მსოფლიოსთვის.

„რეინჯერსსა“ და „სელტიკში“ ძალიან იშვიათად თამაშობენ მსოფლიო ვარსკვლავები, ისინი, ვინც ფეხბურთის უმაღლეს კლასს განაპირობებს, მაგრამ ეს რეინჯერს-სელტიკი კვლავაც რჩება ფეხბურთის მოყვარულთა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სანახაობად მთელ მსოფლიოში.

ალბათ, სწორედ ამ წარმოუდგენელი დაძაბულობის გამო, მას რომ ახლავს.

ლონდონში „არსენალი“ და „ტოტენჰემი“ უფრო მორიგდებიან და პირნეებზე – „რეალი“ და „ბარსელონა“, ვიდრე გლაზგოში – „სელტიკი“ და „რეინჯერსი“. ოულდ ფირმში საქმე ისე მოტრიალდება ხოლმე, რომ ერთმანეთს არავინ ინდობს.

აგე, ამ დღეებშიც ერთი ამბავი ატყდა; ეს იყო თასის მეხუთე რაუნდის გადათამაშება, რომელიც ერთი ბურთით მოიგო „სელტიკმა“.

თამაშისას „რეინჯერსის“ ორი ფეხბურთელი გააძევეს: სკოტი გორდონ ვაიტეკერი და ალჟირელი მაჯიდ ბუგერა. იმავ „რეინჯერსის“ ცნობილ მაჩხუბარას, სენეგალელ ელ ჰაჯი დიუფს კი თამაშის შემდეგ უჩვენეს წითელი და საერთოდ, ვერ დააწყნარეს, ისე იწევდა „სელტიკის“ მენეჯერ ნილ ლეონზე, რომელიც, თავის მხრივ, „რეინჯერსის“ მწვრთნელ ალი მაკოისტს ექაჩებოდა, რახან იმან ხელის ჩამორთმევისას უთხრა, ჩემს ფეხბურთელებს თავს რატომ არ დაანებებო.

ეს იყო ერთი ჩვეულებრივი თამაში, მაგრამ ოულდ ფირმში ჩვეულებრივი არაფერი არსებობს.

ქვეყნის ჩემპიონატში პირველ ადგილზე „სელტიკია“, ის ხუთი ქულით უსწრებს „რეინჯერსს“, რომელსაც ორი თამაშით ნაკლები აქვს და შეუძლია კიდეც, გაუსწროს „სელტიკს“.

ასე გრძელდება უკვე ას წელიწადს და მეტსაც. ჰოდა, შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია თანდათან წუხილს უმატებს, ეს რა უბედურებაა, ასე არ შეიძლებაო, მსოფლიოში მილიონობით ხალხი უყურებს ოულდ ფირმს და ვინ გამოვდივართ, მხეცები და ნადირებიო. გლადიატორობა ხო არ არიო.

ალბათ, სწორია და ზოგჯერ, ოულდ ფირმის სული ისეთი ჩანს, რომ ფეხბურთელები თავად აიგდებენ ხოლმე თავს, რაც ამ დერბის ზედაძაბულობას ინარჩუნებს, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ეს არ იქნა, რატომ ჩართავ ტელევიზორს ოულდ ფირმის საყურებლად? უცნაურია, მაგრამ ასეა.

სტივ ჯობსმა მეორე თაობის iPad წარადგინა

Apple-მა პლანშეტური კომპიუტერის iPad-ის ახალი მოდელი წარადგინა. iPad 2-ის პრეზენტაცია სან-ფრანცისკოში 2 მარტს შედგა. ღონისძიების ერთ-ერთ მთავარ მოვლენად ახალი მოწყობილობის დემონსტრირებასთან ერთად სცენაზე კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის სტივ ჯობსის გამოჩენა იქცა, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო კომპანიის მართვას იანვარში ჩამოშორდა. იერბა ბუენას ხელოვნების ცენტრში შეკრებილი საზოგადოება მას ოვაციებით შეხვდა.

ახალი iPad წინა ვერსიაზე თხელია – მისი სისქე 8,8 მილიმეტრია, გამომთვლელი სიმძლავრე ორჯერ მეტი აქვს, გრაფიკასთან მუშაობაში კი 9-ჯერ სწრაფია. მოწყობილობა ორბირთვიანი პროცესორი A5-თაა აღჭურვილი.

iPad 2-ს ორი კამერა აქვს. მათი მეშვეობით მომხმარებელს საშუალება აქვს, გადაიღოს ფოტო და ვიდეო, მოაწყოს ვიდეოკონფერენციები და ვიდეოჩატი, როგორც iPad 2-ის, ისე Macintosh-ისა და iPhone-ის მომხმარებლებთან. ახალ პლანშეტს ვიდეომონტაჟის ფუნქციაც ექნება. ამას გარდა, კომპანია საკუთარ მუსიკალურ რედაქტორს GarageBand-საც გაუშვებს, რომელიც სრულად იქნება თავსებადი band-ის ფაილებთან.

iPad 2-ის გაყიდვა ამერიკაში 11 მარტიდან იწყება. ყველაზე იაფი – 16 გიგაბაიტიანი მოდელი იქნება და იგი 499 დოლარი ეღირება. შავ ფერთან ერთად მომხმარებლებს თეთრ კორპუსიანი მოდელის შეძენაც შეეძლებათ. 25 მარტს პლანშეტი 26 ქვეყანაში, მათ შორის, ევროპის ბაზარზეც გამოვა.

Sex.com გინესის წიგნში შევიდა

გინესის რეკორდების წიგნმა sex.com ოფიციალურად აღიარა ინტერნეტის ის-

ტორიაში ყველაზე ძვირადღირებულ დომენად. გარიგება გასული წლის 17 ნოემბერს დასრულდა და დომენის ახალი მფლობელი კარიბის ზღვის სენტ-ვინსენტის კუნძულზე დარეგისტრირებული, ნაკლებად ცნობილი Clover Holdings გახდა. კომპანიამ, რომელიც 12 პრეტენდენტს შორის შეირჩა sex.com-ში 13 მილიონი დოლარი გადაიხადავ. დომენის უკვე ყოფილმა მფლობელმა კომპანია Escom-მა იგი 2006 წელს 14 მილიონ დოლარად იყიდა, თუმცა 2010 წელს გაკოტრდა და იძულებული გახდა, სკანდალური დომენი გაეყიდა.

Sex.com-ს თითქმის დეტექტიური ისტორია აქვს და იგი ჯერ კიდევ ინტერნეტის გარიჟრაჟზე, 1994 წელს იწყება. სან-ფრანცისკოელმა პროგრამისტმა და ინჟინერმა გარი კრემენმა Sex.com რამდენიმე სხვა დომენთან ერთად საკუთარ სახელზე დაარეგისტრირა. თუმცა ერთი წლის შემდეგ იგი თაღლითური ხერხებით 46 წლის სტივენ კოენმა მიითვისა: მან დომენის პოტენციალი სწრაფად და სწორად შეაფასა, შემდეგ კი გაყალბებული წერილი რეგისტრატორს გაუგზავნა და Sex.com-ის მფლობელიც გახდა. ძალიან მალე კოენმა იგი უმსხვილეს პორნოსაიტად აქცია. ვებგვერდს უამრავი ვიზიტორი ჰყავდა და მფლობელისთვის ათეულობით მილიონი დოლარი მოჰქონდა. როდესაც კრემენმა დომენის მოპარვა აღმოაჩინა, სასამართლოში სარჩელი შეიტანა, თუმცა წააგო: მოსამართლემ განაცხადა, რომ ვებსაიტი საკუთრება არ არის და შესაბამისად, მისი მოპარვა შეუძლებელია.

კრემენს სამართლიანობის აღდგენა გაუთავებელი სასამართლო დავების ფასად დაუჯდა. 2000 წელს სასამართლომ კოენი გაამტყუნა და მას 65 მილიონი დოლარის გადახდაც დააკისრა. კოენი მექსიკაში გაიქცა, თუმცა მოგვიანებით პოლიციამ მისი დაკავება მოახერხა.

კრემენმა Sex.com 2006 წლის ზამთარში 14 მილიონ დოლარად ბოსტონურ კომპანია Escom-ს მიჰყიდა. ეს იმ დროისთვის დომენში გადახდილი რეკორდული ფული იყო.

2007 წლის 11 ოქტომბერს Playboy-ს დამფუძნებელმა ჰიუ ჰეფნერმა განაცხადა, რომ ამიერიდან სწორედ ის დაიწყებდა საიტის მართვას. ვებგვერდზე ეროტიკული ფოტო და ვიდეო მასალა განთავსდა, ამასთან, საიტის მფლობელად კვლავაც Escom რჩებოდა. ამჟამად Sex.com-ზე განთავსებულია ბმულები, რომლებსაც მომხმარებელი უფროსებისთვის განკუთვნილ კონტენტზე გადაჰყავს.

60 წელს გადაცილებული ინტერნეტ-მომხმარებლები, ძირითადად, მამაკაცები არიან

ის ადამიანები, რომლებიც ამჟამად 60 წელს გადაცილებულები არიან, „ციფრულ თაობას“ ნამდვილად არ მიეკუთვნებიან. მიუხედავად ამისა, ტექნოლოგიები იმდენად შემოიჭრა ყველას ცხოვრებაში, რომ დროსთან ადაპტირება მათაც უწევთ. იმ ინტერნეტ-მომხმარებლების 90%, რომელიც 60 წელს გადაშორდა, მამაკაცია. კომპანია PandaSecurity-ს მონაცემებით, ინტერნეტში ისინი კვირაში 5 საათზე მეტს ატარებენ და ძირითადად, ელექტრონულ ფოსტას ამოწმებენ (98%). ასევე, ეძებენ ინფორმაციას თუ როგორ გაატარონ თავისუფალი დრო (67%), კითხულობენ ახალ ამბებს (64%) და სარგებლობენ ინტერნეტბანკის მომსახურებით (58%).

ელექტრონული ფოსტა ჯერ კიდევ ცოცხალია

ანალიტიკური კომპანიების Pew Research Center-ისა და comScore-ის მონაცემებით, იმ საიტების ვიზიტორთა რიცხვი, რომლებიც მომხმარებელს ელექტრონული ფოსტის სერვისებს

სთავაზობენ, 6%-ით შემცირდა, რესურსებზე გატარებულმა დრომ კი 9%-ით იკლო. კვლევისთვის კომპანიებმა 2010 წლის ნოემბრის მონაცემები წინა წლის იმავე პერიოდს შეადარეს. სპეციალისტები ამბობენ, რომ ყველაზე დიდი 53%-იანი ვარდნა იმ ვიზიტორების შემთხვევაში ფიქსირდება, რომელთა ასაკიც 12-17 წელია. 18-54 წლამდე მომხმარებლების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 14-18%-ია, ხანდაზმულთა შემთხვევაში კი – 9-13%. სპეციალისტები ამბობენ, რომ მოზარდები, რომლებმაც ელექტრონული ფოსტა რამდენიმე წლის წინ მესინჯერებზე გაცვალეს, ახლა სოციალურ ქსელებში გადაბარგდნენ, განსაკუთრებით ეს ტენდენცია მეგობრებთან ვირტუალური ურთიერთობის დროს იკვეთება.

Google ციფრულ ჟურნალისტიკას 2,7 მილიონი დოლარით აფინანსებს

პრესის საერთაშორისო ინსტიტუტმა Google-სგან 2,7 მილიონი დოლარი მიიღო. ეს თანხა მთლიანად IPINewsInnovationContest-ის პროექტს მოხმარდება, რომელიც ციფრული ახალი ამბების განვითარებასა და ევროპაში, აღმოსავლეთსა და აფრიკაში ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე მეთოდების დანერგვას გულისხმობს.

IPINewsInnovationContest-ის ფარგლებში ინოვაციური იდეების ავტორების ქსელის გაფართოება და კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებისთვის საგრანტო დაფინანსება მოხდება. გრანტს ის ორგანიზაციები მიიღებენ, რომლებიც ტექნოლოგიებს მედიისთვის და ინტერნეტში ახალი ამბების გავრცელებისთვის ქმნიან.

Google -მა საძიებო ალგორითმი შეცვალა

ცვლილების შედეგად Google-ს საძიებო სისტემა ვებგვერდების მიმართ კიდევ უფრო მომთხოვნი გახდა, უფრო ღრმად სწავლობს

მათ კონტენტს და უპირატესობას ანიჭებს იმ რესურსებს, რომლებიც ინფორმაციის ორიგინალს აქვეყნებენ. ალგორითმის მოდერნიზება რეიტინგში „კოპიფეისტერების“ პოზიციებსაც შეამცირებს. ამას გარდა, ახალი ალგორითმი იზრუნებს იმაზე, რომ დაწინაურდეს მაღალხარისხიანი უნიკალური საიტების ადგილი, დაბალხარისხიანი კონტენტის ვებგვერდები კი ჩამონათვალში დაბალ საფეხურზე მოხვდეს.

ამერიკაში MotorolaXoom-ის გაყიდვები დაიწყო

Android 3.0-ზე აგებული პირველი პლანშეტური კომპიუტერის რეალიზაციას ფიჭური ოპერატორი Verizon ახორციელებს. პლანშეტი 599 დოლარი ღირს მათთვის, ვინც კომპანიის სერვისებით ისარგებლებს, კონტაქტის გარეშე კი მისი ფასი 799 დოლარია. ამჟამად მაღაზიებში მხოლოდ Xoom-ის ის ვერსია იყიდება, რომელსაც მონაცემთა გადაცემა ფიჭური ქსელებით შეუძლია, თუმცა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოსვლის შემდეგ მას LTE-ს მეოთხე თაობის ქსელებში მუშაობის საშუალებაც ექნება. მოწყობილობის WiFi ვერსია Verizon-ის მაღაზიებში ჯერჯერობით არ არის.

მარკ ცუკერბერგზე შექმნილი კომიქსი



48-გვერდიანი კომიქსი „Mark Zuckerberg: Creator of Facebook“ ჯერომ მაიდას მიერაა შექმნილი, ილუსტრაციების ავტორი კი სელ ფილდია. მათი თქმით, წიგნი დაგეგმილზე ორჯერ მეტი მოცულობის გამოვიდა. „ცუკერბერგმა მსოფლიო კულტურაში რევოლუციური მოვლენა შექმნა და უამრავი ადამიანის ცხოვრება შეცვალა“, – განაცხადა მაიდამ. თავად ცუკერბერგს წიგნის დაწერაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მაიდა ამბობს, რომ თავადაც არაერთი საინტერესო დეტალი აღმოაჩინა: მაგალითად, ის, რომ ცუკერბერგი ჰარვარდის საერთო საცხოვრებელში, სტუდენტი გოგონების ოთახებში ჩუმად იპარებოდა, რათა თავისი პირველი პროექტის FaceMash-ისთვის ფოტოები ჰქონოდა.

კომიქსების წიგნის ავტორები აცხადებენ, რომ წიგნში ცუკერბერგის პიროვნების გაცილებით ზუსტი და დაბალანსებული აღწერა იქნება, ვიდრე ეს ფილმ „სოციალურ ქსელშია“.

კომიქსის შეძენა 7 დოლარადაა შესაძლებელი. გამოცემის მოტივებზე კომპანია Hayden 5 Media მულტფილმის გადაღებასაც გეგმავს.

კულინარიული რეცეპტების საძიებელი- Google-ის ახალი სერვისი

Google-მა საძიებო სისტემის ახალი ფუნქცია აამოქმედა. კულინარიული რეცეპტების საძიებელი, რომელიც მომხმარებლებს სხვადასხვა კერძის მომზადების რეცეპტის მარტივად პოვნას სთავაზობს, ჯერჯერობით ამერიკასა და იაპონიაშია ხელმისაწვდომი. სერვისი სახელწოდებით, RecipeView მხოლოდ კულინარიულ რეცეპტებს ეძებს და მომხმარებლებს ძიების შედეგების ინგრედიენტების, კალორიებისა და მომზადების დროის მიხედვით გაფილტვრას სთავაზობს. Google-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რეცეპტის ზუსტი იდენტიფიცირებისთვის, რესურსის ადმინისტრაციამ იგი სპეციალური კოდით უნდა მონიშნოს. კოდის გამოყენება საკუთარ ვებგვერდებზე მსხვილმა რესურსებმა უკვე დაიწყეს.

მოამზადა ნინო ნატროშვილმა.

ბოლო ვინაა?

კახა თოლორდავა



უკანასკნელად თბილისურ რიგში როდის იდექით?

„სადღაა თბილისში რიგები?“ – მომახლის ვინმე ფრაერი თბილისელი. იმ ფრაერს ვუპასუხებ, რომ თუ ის გასული საუკუნის 90-იანების თუნდაც სასურსათო რიგების სიგრძე-სიგანეს გულისხმობს, მაშინ მართალია. თუმცა დღევანდელ თბილისშიც არსებობს საკმაოდ გრძელ რიგში მოხვედრის შანსი და თუ ასეთ რიგში კომპიუტერის მეშვეობით არ გადაადგილდები, როგორც, ვთქვათ, ეს რეესტრის სამსახურში ან თუნდაც ზოგიერთ ბანკშია, მაშინ იქ დგომისას აუცილებლად გაგიჩნდება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, ერთი შეხედვით თითქოს ყურით მოთრეული, ოდნავ ხუმრობანარევი, ლამის მივიწყებული, მაგრამ მაინც გულახდილი შეკითხვა. შეკითხვა, რომელიც, ალბათ, იმ ფრაერსაც უჩნდებოდა თავის დროზე, – როგორ გადავრჩით და როგორ მოვაღწიეთ აქამდის?

ამ შეკითხვის პროვოცირება კი იმან გამოიწვია, რომ ბოლო დროს, დაახლოებით, ხუთჯერ თუ ექვსჯერ მომიწია თბილისურ რიგებში დგომამ, რიგებში, სადაც თბილისელების მამა-პაპური თ ვ ი თ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს უნარი საქმის სწრაფად დასრულების ერთადერთი და ყველაზე სწორი საწინდარი იქნებოდა. ამის მაგივრად, კიდევ ერთხელ შემახსენეს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში თვითორგანიზაციის უნარი მამა-პაპებს ჩვენთვის ან საერთოდ არ უბოძებიათ, ან დროის განმავლობაში შემოგვეფლანგა.

ამ, ჩემთვის უკვე ლამის მივიწყებულ ფენომენს უკვე რამდენიმე თვეა ვაკვირდები, – ვგულისხმობ ორ, სამ და იშვიათად ოთხკაპა რიგებს სხვადასხვა დაწესებულებაში, სადაც ხან რა საქმე მიგიყვანს კაცს და ხან რა. „ბოლო ვინაა?“ — ხმამაღლა ვკითხულობ ხოლმე და წინასწარ ვიცი, ეს ჩემი მარტივი შეკითხვა დიდ დავიდარაბას გამოიწვევს სამივე რიგში ანუ, სამკაპად გაყოფილ ერთ რიგში. ყველაზე უცნაური ისაა, რომ ამ შეკითხვის წინ მდგომებსაც ეშინიათ ხოლმე; რიგის ბოლოში მდგარ ადამიანებზე აღარაფერს ვამბობ. გულახდილად გეტყვით, რომ უკანასკნელი ნახევარი თვის განმავლობაში პირადად მე ერთხელაც არ მომისმენია დაუყოვნებელი და მტკიცე პასუხი ჩემ მარტივ შეკითხვაზე, პასუხი, რომელიც, წესით, ასე უნდა „ჟღერდეს“: – „მე, ბატონო!“ ამის მაგივრად, რიგში მდგომები, ჯერ პირქუშად გადმომხედავენ, აინტერესებთ, ვინ უტიფარმა გაუბედა ასეთი შეკითხვის დასმა, მერე კი გაორმაგებული ეჭვით იწყებენ ერთმანეთის თვალიერებას. რა თქმა უნდა, გულის სიღრმეში ყველამ იცის, რომ ნებისმიერი რიგი აუცილებლად უნდა მთავრდებოდეს ვინმე უბედურით, ვინც ამ რიგის ერთადერთ და არა ერთ-ერთ კუდს დაამშვენებს, მაგრამ ამ დროისათვის იქ, როგორც წესი, უკვე სრული ქაოსი სუფევს. მინდა გითხრათ, რომ თბილისურ რიგებში დავიდარაბის შემდგომი განვითარების ბევრნაირი სცენარი არსებობს – გაწევ-გამოწევა, გულის წასვლები, წივილ-კივილი, დედის დაგინება, დედის შეგინება, დედის დაფიცება, დოკუმენტების იატაკზე დაყრა და შენობიდან გავარდნა, იქვე მდგარი ან ხელში აყვანილი შეშინებული ბავშვების სიცოცხლის დაფიცება, დიაბეტური შოკი, რიგის კუდების ზრდა და კლება, ჩვენიანებად და იმათიანებად დაყოფა და სხვა ასეთი უცნაური რამეები. მე ეს ყველაფერი რიგებში დგომის დროს ვნახე, მაგრამ იქ მიღებული გამოცდილებიდან ყველაზე საინტერესო ჩემთვის მაინც ისაა, რომ შემდეგი რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქში არაფერი გაღიზიანებს, პირიქით – ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ყველაფერი ზუსტად ისე უნდა იყოს, როგორცაა; თქვენ წარმოიდგინეთ, იმაზეც კი არ ბრაზობთ, მეტროს ვაგონიდან გამოსვლისას შემომსვლელები (იმის მაგივრად, რომ ჯერ გამოგიშვან და მერე თვითონ შევიდნენ) პირდაპირ შ ე ნ შ ი შ ე მ ო ს ვ ლ ა ს ლამობენ, როგორც გარდაცვლილთა აჩრდილები „ბეჭდების მბრძანებელში“. მერე კი, როდესაც რიგებში დგომის შედეგად მიღებული შთაბეჭდილება იცრიცება, თავში უზარმაზარი, დაჟანგული მატარებელივით კითხვა ჩამოგიდგება, – „ისე კი მართლა, როგორ გადავრჩით, ჰა?“

დეიდაჩემს უყვარდა ხოლმე ამ ისტორიის მოყოლა. როგორც კი საუბრისას შესაფერისი მომენტი ამის საშუალებას მისცემდა, ეშმაკურად გაიღიმებდა, უხილავ დემონს საჩვენებელ თითს მოუღერებდა და მოსაუბრეს მიახლიდა: „იცი თუ არა შენ, რომ რუსეთის ხელმწიფის სამსახურში მდგარი ქართველი ოფიცრები მოწყობის დროს გათვლისას „პირველი, მეორე, მესამე“-ს თქმის მაგივრად ყველა „პირველი, პირველი, პირველი“-ს გაიძახოდა?“ მერე კი, თითქოს სხვა არანაირი არგუმენტი აღარ ესაჭიროებოდა ქართული ხასიათის მოსანიშნად, ხითხითით დაუმატებდა, – „აი, ასეთები ვიყავით და ვართ ქართველები, მეორეობა არავის უნდა, მესამეობა და მეოთხეობაზე რომ არაფერი ვთქვათ!“

არ ვარ დარწმუნებული, რომ დეიდაჩემის ეს ამოჩემებული ისტორია მაინცდამაინც ამომწურავი პასუხია იმ აკვიატებულ შეკითხვაზე, მაგრამ თბილისურ რიგებში დგომის თითქმის ექვსთვიანი გამოცდილების შემდეგ, დღესაც მთელი გულით მაინტერესებს ერთი რამ – ბოლო ვინაა?

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



WWW.LIBERALI.GE